[illegible] კოოპერატივთა კავშირის გამოცემა № 10

# მოკლე სახელმძღვანელო

## მომხმარებელ კოოპერატივის ანგარიშთა წარმოებისა

ინსტრუქტორ ალ. კახელაძისა

მოწონებულია ინსტრუქტორთა კოლეგიის მიერ

ტფილისი 1919
სტამბა ვარლამ რუხაძისა, გაბაშვილის შესახვევი, № 1





ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამოცემა № 10.

# მოკლე სახელმძღვანელო

## მომხმარებელ კოოპერატივის ანგარიშთა წარმოებისა

33954

ინსტრუქტორ ალ. კახელაძისა.

მოწონებულია ინსტრუქტორთა კოლეგიის მიერ

Акад. И. Грашвили ... Академия наук

ტ ფ ი ლ ი ს ი.
სტამბა ვარლამ რუხაძისა, გაბაშვილის შესახვევი, № 1.
1918.

# წინასიტყვაობა.

ყოველგვარ კოოპერატივის განვითარების აუცილებელ პირობად უნდა ჩაითვალოს ანგარიშთა წარმოების წესიერად დაყენება. თუ ანგარიშთა წარმოება კოოპერატივში რიგზე არ სწარმოებს, თვით კოოპერატივის არსებობაც საეჭვო ხდება, წარმატება-განვითარებაზე ხომ ასეთს შემთხვევაში ლაპარაკიც ზედმეტია.

კოოპერატივმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მიდის მისი საქმე. წინსვლის, თუ უკან დახევის გზას ადგია იგი, რა მდგომარეობაშია მისი თანხები და, დაბოლოს, იგებს, თუ ზარალობს. ყველა ამის გაგება კოოპერატივს, რასაკვირველია, შეუძლიან მაშინ, თუ ანგარიშებს აწარმოებს.

ამას გარდა უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ქვეყნებში ადგილობრივი მთავრობა ვალდებულად ხდის ყოველგვარ წარმოებას, როგორც კერძოს, აგრეთვე საზოგადოს, აწარმოვოს საანგარიშო დავთრები: რათა ამით საშუალება მიეცეს მთავრობას უფრო სამართლიანად შეაწეროს გადასახადი შემოსავლის კვალობაზე. ეს ვალდებულება იცავს აგრეთვე იმ პირთა ინტერესებს, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ წარმოებასთან, რათა ანგარიშების არევ-დარევით მათ არ იზარალონ. თუ, ვინიცობაა, წარმოებას დავას აუტეხენ, უკანასკნელს შეუძლიან გასამართლებლად რიგზედ წარმოებული საანგარიშო დავთრები წარადგინოს სასამართლოში, რომელიც დავთრებს იღებს, როგორც საბუთებს.

დაბოლოს, თუ კოოპერატივში ანგარიშები რიგზე არ არის, უფრო მეტი გასაქანი აქვს ხალხში კოოპერატივის წინააღმდეგ მისი მტრების—ჩარჩ-ვაჭრების—მიერ გავრცელებულს ჭორებს. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც კოოპერატივს სათავეში პატიოსანი მუშაკნი უდგანან, კოოპერატივის საქმეებს სინდისიერად უძღვებიან, მაგრამ, რადგანაც ანგარიშის წარმოება არა აქვთ დაყენებული ისე, როგორც სასურველია და, მაშასადამე, ვერ შეუძლიანთ ათას გვარ არა-სასურველ ჭორებს ბოლო მოუღონ, იძულებულნი ხდებიან ჩამოშორდნენ თავიანთ საყვარელს საქმეს—კოოპერატივს.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი მიზეზები აუცილებელ საჭიროებად ხდიან ანგარიშის წარმოებას კოოპერატივებისათვის, მხოლოდ საჭიროა რაც შეიძლება მარტივი იყოს ანგარიშის წარმოება, რადგანაც კოოპერატივებს, ნამეტნავად სოფლებისას, ხშირად სათავეში უდგა-

ჩან მხოლოდ წერაკითხვის მცოდნე პირები. დაქირავება სპეციალურად განსწავლილი ბუჰგალტერ-მოანგარიშისა ჩვენი კოოპერატივების მომეტებულ ნაწილს უსახსრობის გამო არ შეუძლიან და ძალა-უნებურად კოოპერატივის გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრნი იოლად უნდა წავიდნენ თავიანთის ცოდნით. აი სწორედ ამათ დასახმარებლად განვიზრახეთ ამ მოკლე სახელმძღვანელოს შედგენა. ამ სახელმძღვანელოს მიზანია არა განმარტება ბუჰგალტერიის თეორეტიულ ცოდნათა, არამედ პრაქტიკული დარიგების მიცემა. ამ მიზნით ჩვენ ჩაურთეთ ყველა საჭირო დავთრების ფორმები და, რაც უმთავრესია, გავატარეთ ამ ფორმებში სანიმუშო ბრუნვები, რომლებსაც წინ წაუმძღვარეთ მოკლე ცნობები და საფუძველნი საზოგადო ბუჰგალტერიიდან.

ავტორი.

# შესავალი.

## I. მოკლე ცნობები საზოგადო ანგარიშის წარმოებიდან ანუ ბუჰგალტერიიდან.

### 1. სავაჭრო-სამრეწველო წარმოება.

სავაჭრო-სამრეწველო წარმოება ეწოდება ისეთს მეურნეობას, რომელიც ისახავს მიზნად შემოსავლის მიღებას მთელი რიგი მოქმედებით. ეს უკანასკნელი გამოიხატება სიაღებ-მიმცემო და სამრეწველო ბრუნვათა გაწევაში, რომელნიც მდგომარეობენ რაიმე ნაწარმოების დამზადებაში, საქონლის სყიდვა-გაყიდვაში და სხვა. ყველა ასეთი მოქმედებისათვის საჭიროა თანხა.

### 2. თანხა საკუთარი და ნასესხი თანხები.

**თანხა.** ეწოდება იმ ღირებულებათ, რომელნიც წარმოებაში არიან დაბანდებულნი. ასეთ ღირებულებათ ეკუთვნიან: ნაღდი ფული, საქონელი, ქონება, სარგებლიანი ქაღალდები და სხვა. თანხას ხმარობს ან თვითონ პატრონი, თუ, რასაკვირველია, მას საშუალება აქვს ასარგებლოს იგი, ე. ი. თანხას ატრიალებს საკუთარს წარმოებაში, ან და აძლევს სესხად მეორე წარმოებას. პირველ წარმოებისათვის თანხა იქნება **საკუთარი**, ხოლო მეორესათვის **ნასესხი.**

### 3. ღირებულებათა ანგარიშის გაწევა.

კეთილ დღეობა ყოველგვარ წარმოებისა გამოიხატება იმაში, თუ რამდენი აქვს მას საკუთარი თანხა, ხოლო წარმატება წარმოებისა—იმაში, რამდენად გაზრდილა წარმოების თანხა წინა წლების თანხასთან შედარებით. ცხადია, ამის გაგება შეიძლება მაშინ, თუ წარმოება უწევდა ანგარიშს ყველა იმ ღირებულებებს, რომელნიც შეადგენენ წარმოებაში დაბანდებულს თანხებს.

ანგარიშ გასაწევი ღირებულება არის ორგვარი: **ნივთიერი** და **პირობითი.**

**ნივთიერ** ღირებულებათა ეკუთვნიან საგნები, რომლებსაც ფასი აქვთ თავიანთი თანდაყოლილი თვისებების გამო, როგორადაც მაგალითად: ფული, სხვა და სხვა საქონელი, სახლები და სხვა.

**პირობით** ღირებულებებს შეადგენენ სხვა და სხვა საბუთები: ხელწერილები, ვექსილები, სარგებლიანი ქაღალდები და სხვა. ეს პირობითი ღირებულებანი თვითონ არავითარ ფასს არ წარმოადგენენ და მხოლოდ იძლევიან იმდენი ნივთიერი ღირებულების მიღების უფლებას, რამდენიც აღნიშნულია მათზე.

## 4. საანგარიშო დავთრები და მათი წარმოების ძირითადი წესები.

დავთრები უნდა სწარმოებდეს **სწორედ**, ე. ი. ბრუნვა უნდა იწერებოდეს ისე, როგორც ნამდვილად მოხდა. თუ რამდენად სწორედ არის ჩაწერილი დავთარში ბრუნვა, მოანგარიშეს უნდა შეეძლოს ამის დამტკიცება,, რასაც შესძლებს მაშინ, თუ ყველა დავთარში ჩაწერილი ბრუნვა დაფუძნებული იქნება საბუთებზე.

დავთარი უნდა სწარმოებდეს **გარკვევით**, რათა ყოველივე ბრუნვის ჩანაწერი გვიხატავდეს მომხდარ ბრუნვის სურათს, სახელდობრ: როგორი ბრუნვა მოხდა და რა ცვლილება და ან რა შედეგი მოჰყვა მას. თუ დავთრები გარკვევით არ არის ნაწარმოები, იწვევს გაუგებრობას და სხვა და სხვა ჭორებს.

დაბოლოს, დავთრები უნდა სწარმოებდეს **თავის დროზე**, ე.ი. ყოველი ბრუნვის ჩაწერა უნდა ხდებოდეს დაუყონებლივ და, თუ შესაძლებელი იქნება, მაშინათვე როცა ბრუნვა ხდება. თუ ბრუნვები თავის დროზე არ იწერება დავთარში, მაშინ საჭიროების დროს ცნობებსაც ვერ მოგაწვდის.

თუ ზემოდ ჩამოთვლილი პირობები არ იქნა დაცული დავთრების წარმოების დროს, წარმოება შეცდომებს ვერ ასცდება, ამას კიდევ ბოროტმოქმედება მოჰყვება; ბოროტ მოქმედების შედეგი კი ზარალია, რის გამოც შესაძლებელია წარმოება მოისპოს.

## 5. ანგარიშის წარმოება საზოგადო და სპეციალური.

რომ საანგარიშო დავთრები ასრულებდნენ ზემოდ დასახელებულს დანიშნულებას, საჭიროა თვით დავთრები სწარმოებდნენ მეცნიერების მიერ შემუშავებულ წესების მიხედვით. მეცნიერებას, რომელიც იკვლევს საანგარიშო დავთრების წარმოების წესებს ეწოდება **ანგარიშის წარმოება ანუ ბუჰგალტერია**.

ანგარიშის წარმოება არის **საზოგადო** და **სპეციალური**. **საზოგადო** ანგარიშის წარმოება იკვლევს და აწესებს საანგარიშო დავთრების წარმოების ისეთს წესებს, რომლებიც აუცილებლად საჭიროა საზოგადოთ ყოველ გვარ წარმოებისათვის; ხოლო **სპეციალური** აწესებს ისეთებს, რომლებიც გამოსადეგია მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ წარმოებისათვის. სპეციალური ანგარიშის წარმოება არის სავაჭრო, საბანკო, სასოფლო—სამეურნეო, საფაბრიკო და სხვა.

## II. ძირითადი საფუძველნი ანგარიშთა წარმოებისა.

### 1. ღირებულებათა გაცვლა, როგორც ძირითადი ფორმა ალებ-მიცემობისა.

ყოველივე სააღებ-მიმცემო ბრუნვა მდგომარეობს იმაში, რომ ერთი რომელიმე ღირებულება შემოდის, ხოლო სამაგიეროდ ეძლევა მეორე რაიმე ღირებულება; მაშასადამე ყოველივე ბრუნვა წარმოადგენს გაცვლას, რომელიც შესდგება ორ მოქმედებისაგან. პირველი მოქმედება გამოიხატება ღირებულების მიღებაში, ხოლო მეორე საბადლო ღირებულების მიცემაში. ყველა სააღებ-მიმცემო ბრუნვა შეიძლება შეერთდეს ოთხ შემდეგ ჯგუფებად:

1. გაცვლა ერთი ნივთიერი ღირებულებისა მეორე ამგვარსავე ღირებულებაზე.
2. გაცვლა რომელიმე ნივთიერი ღირებულებისა პირობით ღირებულებაზე.
3. გაცვლა პირობით ღირებულებისა ნივთიერ ღირებულებაზე და 4. გაცვლა პირობითი ღირებულებისა ამ გვარსავე ღირებულებაზე.

ბრუნვათა ჩაწერა დავთრებში დაფუძნებული უნდა იყოს ზემოდ აღნიშნულ ბრუნვათა ორმაგ თვისებაზე.

### 2. ბრუნვათა ჯგუფები.

ანგარიშის წარმოებაში სიადვილისათვის მიღებულია შეჯგუფება ერთგვარ ბრუნვებისა. ასე მაგალითად ფულის ბრუნვები თავმოყრილია ერთ ჯგუფად, საქონლის ბრუნვები—მეორე ჯგუფს შეადგენენ, ბრუნვები სხვა და სხვა პირებთან—მესამე ჯგუფს და სხვა.

ასეთი ჯგუფები წარმოებაში შეიძლება იყოს აუარებელი; ამასთანავე შეიძლება ერთი და იგივე ჯგუფი დაიყოს უფრო წვრილ ჯგუფებად. მაგალითად, საქონლის ბრუნვათა ჯგუფი შეიძლება ასეთ ჯგუფებად დანაწილდეს: საწვრილმანო საქონლის ბრუნვათა, საფართლეულო საქონლის ბრუნვათა, ჰინახულის ბრუნვათა და სხვა.

ბრუნვათა შეჯგუფება წარმოებაში დამოკიდებულია ანგარიშის მწარმოებლის პირადს შეხედულებაზე, თუმცა, რასაკვირველია, უნდა მიღებული იქნეს სახეში ჯერ ერთი ხასიათი წარმოებისა და მეორეც, თუ რამდენად არის წარმოებისათვის საჭირო დაწვრილებითი ცნობები.

### 3. ანგარიშები და მათი დაყოფა.

ყოველ ჯგუფისთვის საანგარიშო დავთარში არის განსაკუთრებული უჯრები. ისეთ უჯრებს, რომლებიც დანიშნულია ამა თუ იმ ჯგუფის ბრუნვებისათვის, ეწოდება **ანგარიში**.

ანგარიშები არის ორგვარი: 1. **ნივთიერ ღირებულებათა**, მაგალითად: კასისა, საქონლისა, ქონებისა და სხვა და 2. **პირადი**, მაგალითად: ვაჭრების, მსახურთა, კოოპერატივთა კავშირისა და სხვა.

## 4, საზოგადო ფორმა ანგარიშებისა.

რადგანაც ყოველივე ბრუნვა დაფუძნებულია ღირებულებათა გაცვლაზე, რომელიც შესდგება ორ მოქმედებისაგან—პირველი—ღირებულებათა მიღებისა და მეორე—ღირებულებათა მიცემისაგან, ამიტომ ყოველი ანგარიში, რომელშიაც, მაშასადამე, იწერება ორგვარი მოქმედება, სახელდობრ: მიღება და გაცემა, შესდგება ორ გვერდისაგან—მარცხენა და მარჯვენისაგან. მარცხენა გვერდი დანიშნულია მიღებულ ღირებულებათა ჩასაწერად, ხოლო მარჯვენა—გაცემულ ღირებულებათა.

ანგარიშთა საზოგადო სქემა.

| მარცხენა გვერდი. | მარჯვენა გვერდი. |
|---|---|
| აქ იწერება შემოსული ღირებულება. | აქ იწერება გაცემული ღირებულება. |

## 5. ნივთიერი და პირადი ანგარიშების ფორმები.

ნივთიერი და პირადი ანგარიშების წარმოების დროს მარცხენა და მარჯვენა უჯრები საზოგადო ანგარიშისა იღებენ განსაკუთრებულს სახელწოდებებს. ნივთიერი ანგარიშის მარცხენა გვერდზე იწერება წარმოების მიერ მიღებული ნივთიერი ღირებულება, ხოლო ანგარიშის მარჯვენა გვერდზე—წარმოების მიერ გაცემული ნივთიერი ღირებულება.

ნივთიერ ანგარიშთა სქემა.

| შემოსავალი. | გასავალი. |
|---|---|
| აქ იწერება წარმოების მიერ მიღებული ნივთიერი ღირებულება. | აქ იწერება წარმოების მიერ გაცემული ნივთიერი ღირებულება. |

პირადი ანგარიშის მარცხენა გვერდზე იწერება წარმოების მიერ გაცემული ნივთიერი ან პირობითი ღირებულება, ხოლო მარჯვენა გვერდზე—წარმოების მიერ მიღებული ასეთივე ღირებულებანი.

პირადი ანგარიშის სქემა.

| მართებს. | აქვს. |
|---|---|
| აქ იწერება წარმოების მიერ გაცემული ნივთიერი ან პირობითი ღირებულებანი. | აქ იწერება წარმოების მიერ მიღებული ნივთიერი და პირობითი ღირებულებანი. |

## 6. ანგარიშის მარცხენა და მარჯვენა გვერდების სახელწოდებანი.

რადგანაც ყოველივე ღირებულების მიღება წარმოებისათვის შემოსავალია, ხოლო ამავე წარმოების მიერ გაცემა რაიმე ღირებულების — გასავალი, ამიტომ საზოგადოთ ანგარიშის მარცხენა გვერდს ეწოდება **შემოსავალი**, მარჯვენას — **გასავალი**. ნივთიერ ანგარიშებში თავისთავად ცხადია შემოსავლის და გასავლის გვერდების დანიშნულებანი იმ წარმოებისათვის, რომელიც აწარმოებს ანგარიშს. თუ წარმოებამ ღირებულება მიიღო, ნივთიერს ანგარიშში იწერება ეს ღირებულება შემოსავალში, და თუ წარმოებამ, წინააღმდეგ, ღირებულება მისცა — ჩაიწერება გასავალში.

ასე არ არის **პირადს** ანგარიშებში. პირადი ანგარიში გვიჩვენებს, თუ რა დამოკიდებულებაშია ესა თუ ის პირი ან დაწესებულება იმ წარმოებასთან, რომელიც ამ პირს ან დაწესებულებას უხსნის ანგარიშს. თუ წარმოება აძლევს სხვა პირს ან დაწესებულებას რაიმე ღირებულებას, პირადი ანგარიში იქნება შემოსავალში და წარმოება კიდევ გასავალში. წინააღმდეგ, როდესაც სხვა პირი ან დაწესებულება მისცემს წარმოებას რაიმე ღირებულებას, პირადი ანგარიში იქნება გასავალში, ხოლო წარმოება შემოსავალში. პირველს შემთხვევაში პირი ან დაწესებულება, რომელსაც გახსნილი აქვს პირადი ანგარიში, იღებს წარმოებისაგან, მაშასადამე პირადს ანგარიშს მართებს წარმოებისა: მეორე შემთხვევაში წარმოება იღებს ანუ სესხულობს პირადი ანგარიშისაგან და, მაშასადამე, ამ უკანასკნელს აქვს მისაღები წარმოებისათვის მიცემული ღირებულება. ამის და მიხედვით იცვლება საზოგადო სახელწოდება ანგარიშის გვერდებისა, სახელდობრ: შემოსავალს ეწოდება **მართებს** (მიეცა მას) ლათინურად **დებეტი**, ხოლო გასავალს — **აქვს** (შემოვიდა მისგან) ლათინურად **კრედიტი**.

## 7. ძირითადი კანონი ანგარიშის წარმოებისა.

ეხლა, როდესაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყოველივე ბრუნვა მდგომარეობს ღირებულებათა გაცვლაში, რომელიც ორი მოქმედებისაგან შესდგება, სახელდობრ: შემოსავლისა და გასავლისაგან, ვიცით აგრეთვე ისიც, რომ ერთგვარი ბრუნვები ერთდება **ჯგუფებად**, რომელთათვისაც იხსნება განსაკუთრებული ანგარიშები და რომ ამ ანგარიშებს აქვთ ორი გვერდი — შემოსავლისა და გასავლის ჩასაწერად, — სიძნელეს არ წარმოადგენს ამა თუ იმ ბრუნვის ჩაწერის წესის გამოძებნა. ამისათვის **ჯერ** უნდა გავითვალისწინოთ, თუ რაში მდგომარეობს მომხდარი ბრუნვა. ე. ი. რა ღირებულება შემოვიდა და სამაგიეროდ რა ღირებულება გაიცა: ამის შემდეგ ვწერთ პირველად შემოსულ ღირებულების ანგარიშის მარცხენა (შემოსავლის) გვერდზე, ხოლო მეორედ გასულ ღირებულების ანგარიშის მარჯვენა (გასავლის) გვერდზე.

ამ გვარად ყოველივე ბრუნვა იწერება ორჯერ, ორ სხვა და სხვა ანგარიშში, ერთი ანგარიშის შემოსავალში და მეორის გასავალში. აი ეს ბრუნვის ორგვარად ჩაწერა შეადგენს ანგარიშის წარმოების ძირითად წესს და ეწოდება: **კანონი ბრუნვის ორმაგი ჩაწერისა**.

## 8. შედარება შემოსავლის და გასვლის გვერდის ჯამებისა.

თუ რომელიმე ანგარიშის შემოსავლის გვერდის საერთო ჯამს შევადარებთ ამავე ანგარიშის გასავლის გვერდის საერთო ჯამს, მივიღებთ შემდეგს:

ა. ან შემოსავალი **გაუთანასწორდება** გასავალს,
ბ. ან შემოსავალი იქნება **მეტი** გასავალზე,
და გ. ან შემოსავლი იქნეა **ნაკლები** გასავალზე.

ამ გვარად ერთს შემთხვევაში მივიღებთ თანასწორობას, ხოლო ორს შემთხვევაში უთანასწორობას — ან შემოსავალი იქნება მეტი გასავალზე და ან შემოსავალი იქნება ნაკლები გასავალზე. შემოსავლის და გასავლის გვერდის ჯამების განსხვავებას ეწოდება **სალდო**.

## 9. ანგარიშთა შეთავება.

თუ ნაკლებს ჯამს მიუმატებთ სალდოს, გვერდის ჯამები გათანასწორდებიან. გვერდის ჯამების გათანასწორებას ეწოდება **ანგარიშის შეთავება**.

## 10. ბრუნვათა უწყება.

შედარება ყოველივე ანგარიშის შემოსავლის და გასავლის გვერდის ჯამებისა და განსხვავების ანუ სალდოს გამოყვანა, შეიძლება მუდამ, როცა კი საჭირო იქნება ანგარიშის მდგომარეობის გაგება. ასეთი შედარება ყველა ანგარიშებისა და განსხვავების გაგება ხდება ჩვეულებრივ თვის ბოლოს. ამისთვის სდგება შემდეგი უწყება:

| ანგარიშები. | შემოსავალი (დებეტი). | | გასავალი (კრედიტი). | | სალდო. | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | დებეტი. | | კრედიტი. | |
| | მან. | კაპ. | მან | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| კასა (ნაღდი ფული) . . . | 50 | — | 40 | — | 10 | — | — | — |
| საქონელი . . . . . . | 60 | — | 20 | — | 40 | — | — | — |
| სხვა და სხვა პირების ანგარიში | 30 | — | 80 | — | — | — | 50 | — |
| და სხვა ანგარიშები . . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| ბალანსი . . | 140 | — | 140 | — | 50 | — | 50 | — |

ყველა ანგარიშების შემოსავლის და გასავლის გვერდის ჯამები რომ ჩამოვწეროთ ზემოდ მოყვანილ უწყების შესაფერს უჯრებში და ჩამოუსხათ ყველა უჯრებს ჯამები, მივიღებთ ორ წყვილ თანასწორ ციფირებს, სახელდობრ: 1. შემოსავლის (დებეტის) უჯრის ჯამი გაუთანასწორდება გასავლის (კრედიტის) უჯრის ჯამს და 2. სალდო დებეტის უჯრის ჯამი გაუთანასწორდება სალდო კრედიტის ჯამს.

ასეთი თანასწორობა შედეგია ანგარიშის წარმოების ძირითადი კანონისა,

რომელიც, როგორც უკვე ვიცით, მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი ბრუნვა იწერება ორჯერ:—ერთხელ დებეტში და მეორედ კრედიტში. ერთი სიტყვით დებეტში იწერება იმდენივე, რამდენიც კრედიტში და, მაშასადამე, ყველა ანგარიშების დებეტის ჯამები უნდა უდრიდეს ამავე ანგარიშების კრედიტის ჯამებს.

როდესაც ბრუნვის ჯამს ვწერთ რომელიმე ანგარიშის დებეტში, ამავე ჯამით მატულობს სალდო დებეტი, ან კლებულობს მისი სალდო კრედიტი, ხოლო რადგანაც იგივე ბრუნვის ჯამი მეორედ იწერება კრედიტში, ამიტომ იმავე ჯამით მატულობს სალდო კრედიტი, ან კლებულობს სალდო დებეტი, მაშასადამე სალდო დებეტიც უნდა უდრიდეს სალდო კრედიტს.

ამ გვარად ანგარიშის წარმოების ძირითად კანონიდან გამომდინარეობს ორი ახალი კანონი.

**პირველი.** ყველა ანგარიშის დებეტის ჯამები უნდა უდრიდეს ამავე ანგარიშის კრედიტის ჯამებს.

**მეორე.** ყველა ანგარიშების სალდო დებეტი უნდა უდრიდეს ამავე ანგარიშების სალდო კრედიტს.

თუ ასეთს თანასწორობას გვიჩვენებს ბრუნვათა უწყება, ეს ნიშანი იქნება იმისი, რომ, როგორც ანგარიშები, აგრეთვე თვით უწყებაც შედგენილია სწორედ.

## 11. ანგარიშთა მდგომარეობა ანუ ბალანსი.

ბრუნვათა უწყების გარდა უნდა შესდგეს მეორე უწყება, რომელიც გვიჩვენებს წარმოების ანგარიშთა მდგომარეობას და რომელსაც ამის გამო ეწოდება **ანგარიშთა მდგომარეობა ანუ ბალანსი.**

ბალანსი შესდგება ორი ნაწილისაგან — პასსივისა და აქტივისაგან.

**პასსივი** გვიჩვენებს, თუ რა თანხებია დაბანდებული წარმოებაში, ხოლო **აქტივი** — თუ რა და რა ღირებულებაშია მოთავსებული წარმოებაში დაბანდებული თანხები ანუ პასსივი.

ბალანსში იწერება ბრუნვათა უწყებიდან მხოლოდ ანგარიშთა სალდოები. ამასთანავე აქტივში დასახელებულ უწყებიდან იწერება სალდო დებეტი, პასსივში კი — სალდო კრედიტი.

ჩვენ მიერ ზემოდ მოყვანილ სანიმუშო ბრუნვათა უწყებიდან მივიღებთ შემდეგს ბალანსს:

**ბალანსი ანუ ანგარიშთა მდგომარეობა.**

| აქტივი. | | პასსივი. | |
|---|---|---|---|
| კასსა . . . | 10 მან. | სხვადასხვა პირების ანგარიში . . | 50 მან. |
| საქონელი . . | 40 „ | | |
| | 50 მან. | | 50 მან. |

ამ სანიმუშო ბალანსის პასსივი გვიჩვენებს, რომ წარმოებას ჰქონია თანხა სხვა და სხვა პირებისაგან შემოსული 50 მ. აქტივი კი გვიჩვენებს, რომ ეს თანხა მოთავსებულია „კასაში“ და „საქონელში“, ანუ წარმოებას თანხის ასანაზღაურებლად აქვს ნაღდი ფული და საქონელი.

# III. საანგარიშო დავთრები.

## 1. დავთრების დანიშნულება.

საანგარიშო დავთრების დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გვიჩვენებს თანხების რაოდენობას, რომლებიც დაბანდებულია წარმოებაში, წარმოების მოქმედების შედეგს, იმ პირების ხელმძღვანელობით, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ წარმოების ღირებულებანი და აგრედვე იმას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს წარმოებამ მომავალში, რომ აიცილოს თავიდან შეცდომები. რომ ჩამოხვლილი დანიშნულებანი დავთრების შესრულებული იქმნეს, საჭიროა მათი წარმოება იმ გვარად, რომ მუდამ შესაძლებელი იყოს გაგება საერთოდ წარმოების ყველა საქმეებისა და კერძოდ წარმოების თვითეული ნაწილსა.

## 2. დავთრები ძირითადი და დამხმარე.

საანგარიშო დავთრები იყოფა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს დავთრებისას ეკუთვნიან **ძირითადი** დავთრები, ხოლო მეორეს — **დამხმარენი**. ძირითადი დავთრები გვიჩვენებენ წარმოების საქმეების საერთო მდგომარეობას. ასეთ დავთრებს ეკუთვნიან: 1. **ჟურნალი**, რომელშიაც ქრონოლოგიურის თანდათანობით იწერება ბრუნვები, 2. **მთავარი დავთარი**, რომელშიაც სისტემატიურად იწერება ყველა ბრუნვები და 3. **ჟურნალმთავარი**, რომელიც აერთებს ჟურნალს და მთავარს დავთრებს და, მაშასადამე, სწარმოებს ქრონოლოგიურად და სისტემატიურად. ჟურნალ — მთავარს სხვანაირად კიდევ ეძახიან **კასსა-მემორიალს**.

დამხმარე დავთრები გვიჩვენებენ წარმოების ნაწილების მდგომარეობას ცალ-ცალკე. რაოდენობა და სახელწოდება დამხმარე დავთრებისა დამოკიდებულია წარმოების ხასიათზე. თავის მხრივ დამხმარე დავთრები განიყოფებიან **წინასწარ** და **დამატებითი** დავთრებად.

## 3. სხვა და სხვა წესი დავთრების წარმოებისა.

ძირითად და დამხმარე დავთართა ჯგუფს, რომელიც იხმარება ამა თუ იმ წარმოებაში, ეწოდება **წესი დავთართა წარმოებისა**. დავთართა წარმოების წესი არის ოთხ გვარი:

1. ჟურნალური,
2. მემორიალური,
3. მემორიალურ-ჟურნალური

და 4. კასსა-მემორიალური.

ყველაზე უფრო მარტივი წესი დავთართა წარმოებისა არის კასსა — მემორიალური, ამიტომ მომხმარებელ კოოპერატივებში ყველგან მიღებულია უკანასკნელი წესი.

# მომხმარებელ კოოპერატივის ანგარიშის წარმოება.

## ორდერის ტალონი

№ 1

არაშენდის მომხმ. საზოგადოება
„ მეურნე "

მისაღებად ივ. პეტ. დაბრუნდაშვილისაგან

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩასაწერი გადასახ. | — | მან. | 50 | კ. |
| საპაიო ფულის | 10 | მან. | — | კ. |
| სესხის | — | მან. | — | კ. |
| წესდებისა | — | მან. | 10 | კ. |
| | | მან. | | კ. |
| | | მან | | კ. |
| | | მან. | | კ. |
| სულ | 10 | მან. | 60 | კ. |
| ათი | | მან. | 60 | კ. |

1915 წ. იანვრ. „ 3 " დღესა

მივიღე ხაზინადარი

## ორდერი კასსას

№ 1

არაშენდის მომხმ. საზოგადოება
„ მეურნე "

მისაღებად ივ. პეტ. დაბრუნდაშვილისაგან

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩასაწერი გადასახ. | — | მან. | 50 | კ. |
| საპაიო ფულის | 10 | მან. | — | კ. |
| სესხის | — | მან. | — | კ. |
| წესდებისა | — | მან. | 10 | კ. |
| | | მან | | კ. |
| | | მან. | | კ. |
| | | მან. | | კ. |
| სულ | 10 | მან. | 60 | კ. |
| ათი | | მან. | 60 | კ. |

1915 წ. იანვრ. „ 3 " დღესა

მივიღე ხაზინადარი

## ორდერის კვიტანცია

№ 1

არაშენდის მომხმ. საზოგადოება
„ მეურნე "

მისაღებად ივ. პეტ. დაბრუნდაშვილისაგან

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩასაწერი გადასახ. | — | მან. | 50 | კ. |
| საპაიო ფულის | 10 | მან. | — | კ. |
| სესხის | — | მან. | — | კ. |
| წესდებისა | — | მან. | 10 | კ. |
| | | მან. | | კ. |
| | | მან. | | კ. |
| | | მან. | | კ. |
| სულ | 10 | მან. | 60 | კ. |
| ათი | | მან. | 60 | კ. |

1915 წ. იანვრ. „ 3 " დღესა

მივიღე ხაზინადარი

## I. საანგარიშო დავთრები და საბუთები.

მომხმარებელ კოოპერატივში იხმარება შემდეგი დავთრები: ძირითადი კასსა მემორიალი და დამხმარე წინასწარი დავთრები: კასსის და საქონლის ჟურნალები და დამატებითი დავთრები: წევრთა, ქონების, პირადი ანგარიშების, სათადარიგო და სხვა თანხების და სხვა.

როგორც ზემოთაც გვქონდა მოხსენებული, ყველა ჩანაწერი საანგარიშო დავთარში საზოგადოთ უნდა ხდებოდეს საბუთებით, რომლებსაც ეკუთვნიან:

1. საქონლის ანგარიშები, რომლებსაც იძლევა ვაჭარი ან ფირმა კოოპერატივის მიერ ნაყიდ საქონელზე.
2. ხელწერილები და ბარათები იმ პირებისა, რომლებიც მიიღებენ კოოპერატივისაგან ფულს.
3. კასსის შემოსავლის და გასავლის ორდერები, რომლებითაც უნდა ხდებოდეს როგორც მიღება, აგრეთვე გაცემა ფულისა.

რომ დაცული იქნეს თანდათანობა დავთრების წარმოების ახსნაში, ჩვენ ჯერ განვმარტავთ, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს საბუთები, შემდეგ წინასწარი და

მხმარე დავთრები, რომლებშიაც ბრუნვა იწერება წინასწარ, ვიდრე კასსა-შემოსავალში ჩაიწერებოდეს; ამის შემდეგ განვმარტავთ კასსა—შემოსავალის და დაბოლოს დამატებითი დავთრების წარმოებას.

## II. კასსის შემოსავლის და გასავლის ორდერები.

### 1. შემოსავლის ორდერი.

ეს ორდერი შესდგება სამი ნაწილისაგან: ტალონი ანუ ძირისა და ორი მოსახევი ორდერისაგან. აქვე მოგვყავს შემოსავლის ორდერის ნიმუში (იხ. გვ. 13).

კოოპერატივის მიერ ფულის მიღება უნდა სწარმოებდეს შემოსავლის ორდერით. ორდერი არ იწერება მხოლოდ დღიურს ნავაჭრზე; სხვა ყოველგვარი შემოსავალი უნდა ხდებოდეს ორდერით. ხაზინადარი სწერს მიღებულ ფულის ჯამს ორდერის იმ სტრიქონში, რომელსაც ეკუთვნის მიღებული ფული. თუ ვისმე ჩასაწერი გადასახადი შემოაქვს, იწერება ორდერის პირველ სტრიქონში, თუ საპაიო—მეორეში და სხვა. თუ ვისმე ერთად შემოაქვს ფული სხვა და სხვა დანიშნულებით, სახელდობრ: ჩასაწერი გადასახადი, საპაიო და სხვა ცალ-ცალკე ციფირები ჩაიწერება თავ-თავის სტრიქონში, ხოლო ბოლოში გაუკეთდება ჯამი. რომ აცილებული იქნას თავიდან რაიმე განზრახვით ციფრის გადასწორება, ჯამი უნდა გამეორებით ჩაიწეროს ხაზების ბადეში სიტყვებით ისე მოხერხებით კი, რომ შეუძლებელი იყოს სიტყვის მოწერა თავსა, ან ბოლოში.

სამივე პირი ორდერისა იწერება ერთნაირად. შემოსავლის ორდერებს ამოწმებს ხაზინადარი ხელის მოწერით. პირველი მოსახევი ორდერი მიეცემა ფულის შემომტანს, მეორე კასის დღიურთან გადაეცემა ანგარიშის მწარმოებელს, ხოლო ძირი ორდერისა რჩება წიგნაკში.

2. გასავლის ორდერი. როგორც მიღება ფულისა ხდება შემოსავლის ორდერით, აგრეთვე ყოველივე გასავალი ფულისა უნდა სწარმოებდეს გასავლის ორდერით, რომლის ნიმუშიც აქვე მოგვყავს (იხ. გვ. 15).

როგორც ამ ნიმუშიდან ვხედავთ, გასავლის ორდერი შესდგება ორი ნაწილისაგან —ტალონისა და მოსახევი ორდერისაგან. განსხვავება ამ ნაწილებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ მოსახევ ორდერს დატოვებული აქვს ფულის მიმღების ხელ მოსაწერი ადგილი. გასავლის ორდერში უნდა იწერებოდეს, თუ ვის, რაში და რამდენი ეძლევა ფული. თუ მისაცემ ფულიდან ფულის მიმღებს უნდა დაეჭიროს ნაწილი (ვადამდე ვალის გადახდის დროს, ნოქრის ჯამაგირიდან საწინდრის შესავსებლად ნაწილის დაჭერის და სხვა), ჯამი ამ უკან დასაჭერი ფულისა უნდა ჩაიწეროს ორდერში ცალკე სტრიქონად, ხოლო ბოლოში უნდა ჩაიწეროს ნაშთი, ანუ რამდენი ეძლევა ფულის მიმღებს ხელში ნაღდად. გასავლის ორდერს ამოწმებენ ხელის მოწერით გამგეობის წევრი და მოანგარიშე. გასავლის ორდერი მაშინ არის მისაღები საბუთად, თუ იგი ფულის მიმღების მიერ ხელმოწერილია, ან თან აქვს დართული ცალკე ფულის გასავლის საბუთი (ხელწერილი, ანგარიში, ფოსტის ბა-

რათი და სხვა). საზოგადოების წვრიმალ ხარჯებზე (როგორადაც: საწყობიდან საქონლის ამოსატანი მუშის ქირა, წყლის მოსატანი, მუშის ჩასმა ფანჯარაში და სხვა), რომლებზედაც ძნელია საბუთის მიღება, საკმარისია ნუსხა ასეთი ხარჯებისა შეამოწმოს ხელის მოწერით გამგეობის წევრმა რომ წვრიმალი ხარჯები გაწეულია მართლა კოოპერატივის საჭიროებისათვის. გასავლის ორდერიც საბუთებით კასსის დღიურთან გადაეცემა ხაზინადრის მიერ ანგარიშის მწარმოებელს.

არაშენდის

მომხმარებელი საზოგადოება

„მეურნე“

**გასავლის ორდ. ტალონი**

№ 1

მიეცით ბ. მ. ი. ქავჭანიძეს

საქონელში ანგარიშით № 1

200 მ. — კ.

აქედან დაუჭირეთ

— მ. — კ.

ნაღდად მიეცით 200 მ. — კ.

ორასი მ. — კ.

1915 წ. იანვრის „5“ დღეს.

მოანგარიშე:

მომხმარ. წიგნის ძირი

მომხმარ. წიგნის ძირი

არაშენდის მომხმარებელი

საზოგადოება „მეურნე“

**გასავლის ორდერი №**

მიეცით ბ. მ. ი. ქავჭანიძეს

საქონელში ანგარიშით № 1

200 მან. — კაპ.

აქედან დაუჭირეთ

— მან. — კაპ.

ნაღდად მიეცით 200 მან — კაპ.

— ორასი — მან. — კაპ.

1911 წლის იანვრის „5“ დღეს.

გამგეობის წევრი:

მოანგარიშე:

აღნიშნული ამ ორდერში მან. კაპ. სრულიად

მივიღე:

## III. წინასწარი დამხმარე დავთრები.

1. კასსის დღიური. კასსის დღიური შესდგება ორი ერთნაირ ნაწილისაგან—ერთი შეადგენს დღიურის ძირს, ხოლო მეორე—მოსახევ ნაწილს. კასსის დღიურის პირველ გვერდზე იწერება კასსის შემოსავალი, მეორე გვერდზე—გასავალი.

### კასსის დღიურის შემოსავლის გვერდი.

**კასსის დღიური № 1**

1915 იანვრის „ 3 "

შემოსავალი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| კასაში იყო ვაჭრობის დაწყებამდე | 400 | — |
| **დღიური შემოსავალი:** | | |
| ნავაჭრი . . . . | 50 | — |
| წევრთაგან საპაიო ფული, ორდერები №№ 1—5 . . . | 50 | — |
| წევრთაგან ჩასაწერი გადასახადი, ორდერები №№ 1—5 . . | 2 | 50 |
| სესხი, ორდ. №№ . . | — | — |
| სხვა და სხვა შემოსავალი, ორდერები №№ 1—5 . . . | — | 50 |
| სულ დღის განმავლობაში შემოვიდა | 103 | — |
| სულ შემოსავალი | 503 | — |
| დახარჯულია დღის განმავლობაში | 280 | — |
| დარჩა კასაში . | 223 | — |

**ფული ინახება:**

დუქნის კასაში მოლარესთან, 23 მ. — კ.

ხაზინადართან . . . 200 მ. — კ.

მოლარე

ხაზინადარი

**კასსის დღიური № 1**

1915 იანვრის „ 3 "

შემოსავალი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| კასაში იყო ვაჭრობის დაწყებამდე | 400 | — |
| **დღიური შემოსავალი:** | | |
| ნავაჭრი . . . . | 50 | — |
| წევრთაგან საპაიო ფული, ორდერები №№ 1—5 . . . | 50 | — |
| წევრთაგან ჩასაწერი გადასახადი, ორდერები №№ 1—5 . . | 2 | 50 |
| სესხი, ორდ. №№ . . . | — | — |
| სხვა და სხვა შემოსავალი, ორდერები №№ 1—5 . . . | — | 50 |
| სულ დღის განმავლობაში შემოვიდა | 103 | — |
| სულ შემოსავალი | 503 | — |
| დახარჯულია დღის განმავლობაში | 280 | — |
| დარჩა კასაში . | 223 | — |

**ფული ინახება:**

დუქნის კასაში მოლარესთან. 23 მ. — კ.

ხაზინადართან . . 200 მ. — კ.

მოლარე

ხაზინადარი

მომხმარებელი კოოპერატივის ყოველივე შემოსავალი კასის დღიურში ჩაიწერება თავ-თავის სტრიქონზე. პირველ სტრიქონზე იწერება დღიური ნავაჭრი, მეორეზე საპაიო და მესამეზე ჩასაწერი გადასახადი და სხვა. რაიმე შემთხვევითი შემოსავალი, რომლისთვისაც განსაკუთრებული სტრიქონი არ არის, ჩაიწერება დღიურის ბოლოში დატოვებულ თავისუფალ სტრიქონებზე, რადგანაც ყველა შემოსავალზე, გარდა დღიური ნავაჭრისა, უნდა იყოს შემოსავლის ორდერები. ამიტომ ყველა ორდერის ნომერი უნდა აღინიშნოს კასის დღიურში თავ-თავის ადგილას. დღიურს ბოლოში უკეთდება ჯამი დღიური შემოსავლისა.

კასის მეორე გვერდზე იწერება დღიური გასავალი. აქ უნდა ჩამოითვალოს, თუ ვის, რაში და რამდენი მიეცა. ყოველ გასავალზე უნდა აღინიშნოს გასავლის ორდერის ნომერი.

დღიურის გასავლის გვერდზე ჩამოწერილს უკეთდება ჯამი. დღიური გასავლის ჯამი უნდა გადაიწეროს დღიურის შემოსავლის გვერდზე შემოსავლის ჯამის ქვეშ. გასავალი უნდა გამოაკლდეს შემოსავალს და ნაშთს, ანუ ნაღდს ფულს ჩაეწერთ ბოლოში. კასის დღიურის ბოლოში იწერება, თუ ვის აქვს ფული — ხაზინადარს, თუ მოლარეს ან ნოქარს და რამდენი. დღიურს ხელს აწერენ ხაზინადარი და მოლარე ან ნოქარი.

ამ გვარად შეთავებული დღიურის მოსახევი ნაწილი ორდერებით და საბუთებით გადაეცემა ანგარიშის მწარმოებელს დავთრებში გასატარებლად.

**2. საქონლის დღიური.** საქონლის სყიდვა-გაყიდვა მომხმარებელ კოოპერატივში უმთავრესია, ამიტომ საქონლის ბრუნვის სისწორით და წესიერად წარმოებაზეა დამოკიდებული კოოპერატივის ბედ-იღბალი.

კოოპერატივის გამგეობა უმთავრეს ყურადღებას უნდა აქცევდეს საქონლის ბრუნვას; რადგანაც ყველა მისი თანხები დაბანდებულია საქონელში, მის საზრუნავს უნდა შეადგენდეს თვალ-ყურის დევნება იმაზე, თუ რამდენად წესიერად და სისწორით სწარმოებს საქონლის სყიდვა, ფასის დადება ნაყიდს საქონელზე და საქონლის გაყიდვა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მომხმარებელ კოოპერატივში მიღებულია საქონლის ანგარიშის წარმოება არა საგნური, ე. ი. თვითეულგვარ საქონელს სათითაოდ კი არ უწევს ანგარიშს კოოპერატივი, არამედ საერთოდ და ისიც არა რაოდენობით, არამედ საერთო ღირებულებით.

რადგანაც საქონლის ბრუნვა კოოპერატივში განიცდის სამს მოქმედებას, სახელდობრ: სყიდვას, საქონლის მიღებას კოოპერატივის სავაჭროში და გაყიდვას ან სხვა გვარ გასავალს საქონლისას, ამიტომ ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილავთ ყველა ამ მოქმედებას.

**ა. საქონლის სყიდვა.** უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ მომხმარებელი კოოპერატივი საქონელს უნდა იძენდეს კოოპერატივთა კავშირიდან და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდეს კერძო ვაჭრებს.

ყოველ ნაყიდ საქონელზე კოოპერატივს უეჭველად უნდა ჰქონდეს ანგარიში, თუ გინდ საქონელი შემთხვევით გამვლელ ფეხზე მოვაჭრისაგან იყოს ნაყიდი. საქონლის ანგარიში, რასაკვირველია, ხელმოწერილი უნდა იყოს საქონლის გამყიდველის მიერ; თუ ვაჭარმა წერა არ იცის, ანგარიში გამგეობის წევრებმა უნდა შეამოწმონ. საქონელს კოოპერატივისთვის უნდა ყიდულობდნენ ორნი: ნოქარი

კასსის დღიურის გასავლის გვერდი.

## კასსის დღიური № 1

გასავალი.

| №№ საბუთე-ბისა. | ვის და რაში მიეცა. | ჯამი. | |
|---|---|---|---|
| ანგ. № 00 | პავპანიძეს საქონელში გას. ორდ. № 1 | 200 | — |
| გას. ორდ. № 2 | მეურმე ბირინაშვილს ურმის ქირა . | 5 | — |
| „ „ № 3 | სახლის პატრონს ბერუაშვილს დუქნის ქირა. . . . . . | 25 | — |
| „ „ № 4 | შეტანილია საკრედიტო ამხანაგობაში შესანახად . . . . | 50 | — |
| | და სხვა მთელი დღის გასავალი . | | |
| | | 280 | — |

კასის დღიური გასავალი

ზემოაღნიშნული საბუთები მივიღე მოანგარიშე


## კასსის დღიური № 1

გასავალი.

| №№ საბუთე-ბისა. | ვის და რაში მიეცა. | ჯამი. | |
|---|---|---|---|
| ანგ. № 00 | პავპ ნიძეს საქონელში გას. ორდ. № 1 | 200 | — |
| გას. ორდ. № 2 | მეურმე ბირინაშვილს ურმის ქირა . | 5 | — |
| „ „ № 3 | სახლის პატრონს ბერუაშვილს დუქნის ქირა . . . . . | 25 | — |
| „ „ № 4 | შეტანილია საკრედიტო ამხანაგობაში შესანახად . . . . | 50 | — |
| | და სხვა მთელი დღის გასავალი . | | |
| | | 280 | — |

კასის დღიური გასავალი

ზემოაღნიშნული საბუთები მივიღე მოანგარიშე

ან ფიშკარი და ხაზინადარი. თუ საქონელს ყიდულობს მარტო ფიშკარი, საქონლის საყიდლად ფულს აძლევს მას ხაზინადარი დროებითი ხელწერილით, რომლის ნიმუშიც აქვე მოგვყავს.

„1916 წ. იანვრის 7-სა. მე, ქვემო ამისა ხელის მომწერელმა, არაშენდის მომხმარებელი კოოპერატივის ფიშკარმა პეტრე მოსეშვილმა მივიღე იმავე კოოპერატივის ხაზინადრისაგან ათასი (1000) მანეთი კოოპერატივისთვის საქონლის საყიდლად. პეტრე მოსეშვილი".

თუ საქონელს ყიდულობს ნოქარი დღიური ნავაჭრიდან, ასეთს შემთხვევაში საქონლის ანგარიშს ნოქარი ამოწმებინებს ხელმოწერით გამგეობის წევრთა და ანგარიშის ფულის ჯამს უთვლის ხაზინადარს დღიური ნავაჭრის ჩაბარების დროს, როგორც ნაღდ ფულს.

საქონლის ანგარიშზე უნდა გამოიწეროს გასავლის ორდერი. ორდერის გამოწერამდე უნდა გადათვალიერდეს ანგარიში, თუ რამდენისაა საქონელი ნაყიდი, რამდენისაა ანგარიშში მითვლილი ხარჯები (მუშის ფული, შესახვევი ქაღალდის და ყუთის ფასი და სხვა), რამდენისაა ამავე ანგარიშით ნაყიდი ქონება დუქნისათვის და სხვა. ორდერში სათითაოდ ჩამოითვლება საქონლის ღირებულება, ქონების ღირებულება (თუ, რასაკვირველია, რაიმე ქონება იქნება მოყოლილი ანგარიშში) და ხარჯები.

ფიშკრისთვის მიცემულ ფულზე დროებითი ხელწერილით, რომლის ნიმუშიც ზემოდ მოვიყვანეთ, გასავლის ორდერი არ გამოიწერება და, მაშასადამე, არც კასსის დღიურში გატარდება. ამ ხელწერილს ხაზინადარი ინახავს სალაროში, როგორც ნაღდს ფულს. როდესაც ფიშკარი იყიდის საქონელს და ამ საქონელზე მოიტანს ანგარიშებს, ხარჯების საბუთებს და მონარჩენ ფულს, ხაზინადარი ფიშკარს უბრუნებს დროებით ხელწერილს, ხოლო საქონლის ანგარიშებზე და ხარჯების საბუთებზე გამოსწერს ორდერებს ისევე, როგორც ზემოდ არის მოხსენებული.

**ბ. საქონლის მიღება კოოპერატივის სავაჭროში.** როდესაც კოოპერატივი მიიღებს ნაყიდს საქონელს, უნდა შეამოწმდეს შემოსული საქონელი ანგარიშით, თუ რამდენად სრულადაა საქონელი მოსული, უდრის, თუ არა მიღებულ საქონლის რაოდენობა ანგარიშში აღნიშნულს რაოდენობას, როგორი ღირსებისაა და სხვა: თუ, ვინიცობაა, საქონელი ნამდვილად ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ანგარიშშია აღნიშნული, ეს დანაკლისი უნდა ჩაიწეროს ანგარიშში და გამოძიებულ იქნეს, თუ რა მიზეზით აკლია საქონელი. ესეთი შემოწმება საქონლისა აუცილებლად საჭიროა და გულდასმით უნდა სწარმოებდეს მუდამ საქონლის მიღებისას. ამავე დროს საქონელს გასასყიდი ფასი უნდა დაედოს. გასასყიდი ფასები უნდა ჩაიწეროს ანგარიშის მარცხენა მხარეს წითელი მელნით.

გასასყიდი ფასები უნდა წაეწეროს თვით საქონელს ან იმ ჭურჭელს, რომელშიაც ინახება საქონელი. ეს საჭიროა მიტომ, რომ საქონელზე დადებულ ფასების დახსომება ნოქრისთვის ძნელია, ნამეტნავად თუ გამოუცდელია, ხოლო მუდამ ფასების ძებნა ანგარიშებში უხერხულია. საქონელზე ფასების წაწერა კიდევ იმითია კარგი, რომ კოოპერატივის წევრთ საშვალება ეძლევათ გაიგონ ფასი საქონლისა და მით დარწმუნდნენ, რომ ნაყიდს საქონელში აძლიან იმდენს, რამდენიც დადებულია თვით გამგეობის მიერ. დაბოლოს ფასების წარწე-

რა საქონელზე საჭიროა დუქნის აღწერისათვის. საქონელზე წარწერილი გასასყიდი ფასები უნდა ყველასთვის გასაგები იყოს, ე. ი. ჩვეულებრივი ციფრებით უნდა იყოს წარწერილი, ნაყიდობის ფასი კი უნდა დაეწეროს რაიმე განსაკუთრებული ნიშნებით, რომლებიც ეცოდინებათ მხოლოდ გამგეობის წევრთ.

გასასყიდი ფასის (ანუ ნიხრის) დადების შემდეგ უნდა გამოვიანგარიშოთ გასასყიდი ღირებულება ყველა საქონლისა ჯერ ცალ-ცალკე და შემდეგ საერთოდ გასასყიდი ღირებულება ანგარიშით შემოსულ საქონლისა. ნაყიდი საქონლის ღირებულების ჯამი უნდა წაეწეროს ანგარიშს. ანგარიშის ბოლოში ხელს აწერენ: გამგეობის წევრი, რომელიც დაესწრო საქონლის შემოწმებას და ნოქარი, რომელიც იღებს საქონელს ანგარიშით.

ნიმუშა ანგარიშისა.

ბარნაბე მოსეს ძე
გოგიელაშვილი
ქ. ტფილისი

9 აპრილი 1915 წ.

# ანგარიში №

არაშენდის მომხმარებელ საზოგადოებას „მეურნეს“.

| გასასყიდი ფასი მან. | გასასყიდი ფასი კაპ. | გასასყიდი ღირებულ. მან. | გასასყიდი ღირებულ. კაპ. | ფუთი. | გირვ. | ცალი. | საქონლის სახელწოდება | ნაყიდობის ფასი მან. | ნაყიდობის ფასი კაპ. | ნაყიდობის ღირებულ. მან. | ნაყიდობის ღირებულ. კაპ. | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | — | 60 | — | 10 | — | — | შაქარი 15 კაპ. . . . . . | 5 | 70 | 57 | — | |
| — | 30 | 6 | — | — | 20 | — | კარტოფილის სანთელი 30 კ. | 11 | 40 | 5 | 70 | |
| 5 | 20 | 41 | 60 | 8 | — | — | შაქრის ფხვნილი 13 კაპ. . . | 4 | — | 32 | — | |
| 6 | 40 | 123 | 20 | 19 | 10 | — | ზეთი „სემიჩკისა“ 16 კაპ. . . | 5 | 75 | 110 | 69 | |
| — | — | — | — | — | — | 1 | სასწორი . . . . . . . | — | — | 15 | — | |
| — | — | — | — | — | 10 | – | შესახვევი ქაღალდი დუქნისათვის. . . . . . . | — | 05 | — | 50 | |
| — | — | — | — | — | — | 2 | ცარიელი ყუთი . . . . . | — | 25 | — | 50 | |
| — | — | — | — | — | — | — | მუშის ფული . . . . . | — | — | — | 20 | |
| — | — | 230 | 80 | | | | სულ . . | — | — | 221 | 59 | |
| | | | | | | | ამ ანგარიშით ნაყიდი საქონელი | 205 | 39 | | | |
| | | | | | | | „ ქონება . . . | 15 | — | | | |
| | | | | | | | „ ხარჯი . . . . | 1 | 20 | | | |
| | | | | | | | საქონელმა უნდა ამოიღოს. . | 230 | 80 | | | |

გამგეობის წევრი **პეტრე უიშვილი.**

ამ ანგარიშით საქონელი მივიღე ნოქარი

**იორგი დარისპანაშვილი.**

ამ გვარად შეთავებული ანგარიშიდან ჯამები უნდა გადაიწეროს საქონლის დღიურში. საქონლის დღიურიც კასის დღიურივით სწარმოებს ორ გვერდზე— ერთზე იწერება საქონლის შემოსავალი, ხოლო მეორეზე—გასავალი. თვითეული

## საქონლის დღიური № 1

საქონლის შემოსავალი.

| № ანგარიშისა ანუ ნაკლადნ. | ვისგან და რა საქონელი შემოვიდა. | ჯამი ანგარიშისა ანუ ნაკლადნოისა. ნაყიდობა. | | გასაყიდ ფასებში. | |
|---|---|---|---|---|---|
| | გადმოტანილი წლის დასაწყისიდან . | — | — | — | — |
| 00 | გოგიელიშვილისაგან საწვრიმალო. . . | 205 | 39 | 230 | 80 |
| | ახლად შემოვიდა დღის განმავლობაში . | 205 | 39 | 230 | 80 |
| | მოემატა ფასი 1 ფუთ შაქარს გირვანქაზე ნახევარი კაპეიკი სულ | | | — | 20 |
| | სულ დღის განმავლობაში შემოვიდა . . | 205 | 39 | 231 | — |

ნოქარი

## საქონლის დღიური № 1

საქონლის შემოსავალი.

| № ანგარიშისა ანუ ნაკლადნ. | ვისგან და რა საქონელი შემოვიდა. | ჯამი ანგარიშისა ანუ ნაკლადნოისა. ნაყიდობა. | | გასაყიდ ფასებში. | |
|---|---|---|---|---|---|
| | გადმოტანილი წლის დასაწყისიდან . | — | — | — | — |
| 00 | გოგიელიშვილისაგან საწვრიმალო. . . | 205 | 39 | 230 | 80 |
| | ახლად შემოვიდა დღის განმავლობაში . . | 205 | 39 | 230 | 80 |
| | მოემატა ფასი 1 ფუთ შაქარს გირვანქაზე ნახევარი კაპეიკი სულ | | | — | 20 |
| | სულ დღის განმავლობაში შემოვიდა . . | 205 | 39 | 231 | — |

ნოქარი

გვერდი როგორც გასავლისა, აგრედვე შემოსავლისა შესდგება ორი ერთნაირი ნაწილისაგან; ერთი შეადგენს დღიურის ძირს, ხოლო მეორე მოსახევ გვერდს. სათითაოდ ყოველ ანგარიშიდან დღიურის შემოსავლის გვერდზე გადმოიწერება ნომერი, რომელიც დაესმის ანგარიშს რიგისამებრ, შემდეგ იწერება, თუ ვისგან და რა საქონელია ნაყიდი; დღიურის მესამე და მეოთხე უჯრებში იწერება საქონლის ნაყიდობის და გასასყიდი ფასები.

აქვე მოგვყავს საქონლის დღიურის შემოსავლის გვერდის ნიმუში, რომელშიაც ჩაწერილია ზემოდ მოყვანილი ანგარიშის ჯამები. (იხ გვ. 21)

საქონლის დღიურის შემოსავლის გვერდზედვე აღინიშნება აგრედვე წინად შემოსულ საქონლის ფასის წამატება. საქონელზე დადებულ ფასის წამატების დროს ჯერ უნდა გავიგოთ, თუ რამდენია ის საქონელი, რომელსაც ფასი უნდა წაემატოს, შემდეგ ვიგებთ, თუ რამდენი ემატება ახალი ფასით თვითეულს ერთეულს (გირვანქას, ცალს) და საერთოდ ფას-წასამატებელ საქონელს. მოვიყვანოთ მაგალითი: ფასი უნდა წაემატოს შაქარს გირვანქაზე $^1/_2$ კაპეიკი; შაქარი სულ დარჩენილია 1 ფუთი, მაშასადამე ფასის წამატება სულ მოგვცემს 20 კაპეიკს *) (იხილე ზემოდ მოყვანილი ნიმუში).

**გ. საქონლის გაყიდვა.** საქონელი უნდა იყიდებოდეს ნაღდზე. ნისიად ვაჭრობა სასურველი არ არის და არც ადგილი უნდა ჰქონდეს მომხმარებელ კოოპერატივში, ამიტომ აქ განვიხილავთ მხოლოდ ნაღდზე ვაჭრობას.

ნავაჭრის ანგარიშის გაწევა კოოპერატივში სწარმოებს ორ გვარი წესით: პირველი, როდესაც ვაჭრობის დროს საქონლის ფულს იღებს თვით ნოქარი და მეორე, როდესაც ფულის მისაღებად კოოპერატივში განსაკუთრებული მოლარეა. პირველს შემთხვევაში, ე. ი. როდესაც საქონლის ფულს იღებს თვით ნოქარი, ნავაჭრი გაიგება დახლის დათვლით საღამოთი—ვაჭრობის გათავების შემდეგ. ნოქარი დღის განმავლობაში იწერს მხოლოდ სხვა და სხვა შემოსავალს, როგორადაც: საპაიო ფულს, ჩასაწერ გადასახადს და სხვა. დღიურ დახლს თუ ამ სხვა და სხვა-შემოსავალს გამოვაკლებთ, მივიღებთ დღიურს ნავაჭრს. დღიური ნავაჭრი იწერება საქონლის დღიურის გასავალში (იხილე ნიმუში ქვემოდ). დღიური ნავაჭრის ჯამი, როგორც ზემოდაც გვქონდა მოხსენებული, იწერება უორდეროდ კასის დღიურშიაც; რომელშიც ხაზინადარი ხელს აწერს სხვათა შორის ნავაჭრის მიღებაზედაც.

თუ საზოგადოებას ეყოლება განსაკუთრებული მოლარე, უნდა შემოღებულ იქმნას ხმარება ჩეკისა, რომელიც შესდგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილს შეადგენს ძირი, მეორეს—კასაში დასატოვებელი და მესამეს ნოქრისთვის დასაბრუნებელი.

ჩეკის ნიმუში.

| ჩეკის ძირი | კასსა | უკან დასაბრუნებელი |
|---|---|---|
| ........ მ. ........ კ. | ........ მ. ........ კ | ........ მ. ........ კ |

*) ფასის წამატება საქონელზე უნდა ხდებოდეს გამგეობის ნებართვით.

ნოქარი საქონლის გაყიდვის დროს სწერს ჩეკის სამივე ნაწილზე საქონლის ღირებულებას და ორივე მოსახევ ნაწილებს აძლევს მუშტარს, რომელიც აძლევს ფულს. მოლარე „უკან დასაბრუნებელ“ ჩეკის ნაწილს, ფულის მიღების ნიშნად ასვამს ბეჭედს და უბრუნებს მუშტარს. მუშტარი ჩეკის ნაწილს უბრუნებს ნოქარს, ხოლო ეს უკანასკნელი აძლევს საქონელს. ამ გვარად, როგორც მოლარეს, აგრედვე ნოქარს მთელი დღის განმავლობაში უგროვდებათ ჩეკის ნაწილები. საღამოთი მოლარე და ნოქარი ცალ-ცალკე თავთავიანთი ჩეკების ნაწილებით სთვლიან ნავაჭრს. გამოთვლის შემდეგ ადარებენ თავ-თავიანთ ნავაჭრის ჯამებს და, თუ ეს უკანასკნელი ჯამები უთანასწორდებიან ერთი-ერთმანეთს, ნავაჭრი იწერება საქონლის და კასსის დღიურებში.

თუ კოოპერატივს განზრახვა აქვს მისცეს მყიდველთ საჩუქარი (პრემია) ნავაჭრზე, ჩეკი უნდა შესდგებოდეს ოთხი ნაწილისაგან. ჩეკის მეოთხე ნაწილი ეძლევა მყიდველს, რომელიც აგროვებს ამ ჩეკებს წლის ბოლომდე. წლის ბოლოს მყიდველი ჩეკებს უბრუნებს კოოპერატივს, რომელიც გამოიანგარიშებს, თუ რამდენისა უვაჭრია ჩეკების მიმტან მყიდველს კოოპერატივის სავაჭროში. საჩუქარი მყიდველს მიეცემა ნავაჭრის საერთო ჯამის მიხედვით (იხ. ქვემოდ დამატებაში თავი: „პაიზე დივიდენდის და ნავაჭრზე საჩუქრის გამოთვლა“).

**დ. დუქნის საჭიროებისათვის დახარჯული საქონელი.** დუქნის საჭიროებისათვის იხარჯება სხვა-და-სხვა საქონელი, როგორადაც: ნავთი, სპიჩკა, ქაღალდი და სხვა. ყველა ასეთი ხარჯები უნდა ხდებოდეს გამგეობის ან დუქნის გამგის ზედამხედველობით. დუქანში დახარჯული საქონელი იწერება გასასყიდი ფასით საქონლის დღიურში, რომელშიაც ასეთი ხარჯებისათვის არის ცალკე მუხლი (იხილე ნიმუში ქვემოდ).

**ე. გაფუჭებული საქონელი.** გაფუჭებული საქონელი ჩამოიწერება გასავალში გამგეობის ან დუქნის გამგის ნებართვით. გაფუჭებულ საქონლის გასავალში ჩამოწერამდე უნდა გამოძიებულ იქმნეს, თუ რა მიზეზით არის საქონელი გაფუჭებული. თუ საქონელი გაფუჭებულია ნოქრის დაუდევრობით, საქონელი არ ჩამოიწერება გასავალში, როგორც გაფუჭებული. ნოქრის დაუდევრობით გაფუჭებულ საქონლის ღირებულება წლის ბოლოს საერთო ანგარიშის დროს უნდა დაიფაროს ნოქრის კანონიერი პროცენტით, რომელიც ეძლევა ნოქარს აწონვის დროს გადაყოლაში, დაღვრაში და სხვა. თუ საქონლის საერთო დანაკლისი, რომელშიაც შევა ნოქრის დაუდევრობით გაფუჭებული საქონლის ღირებულებაც, აღემატება ზომიერს ნოქრის სარგებელს (საქონლის ზომიერ დანაკლისს), ზედმეტი დანაკლისი გადახდება ნოქარს. (ნოქრის პროცენტის შესახებ ქვემოდ დაწვრილებით გვექნება საუბარი). თუ საქონლის გაფუჭებაში ნოქარს არ ედება ბრალი, უნდა ჩამოიწეროს გასავალში. გაფუჭებულ საქონლის გასავალში ჩამოსაწერად უნდა გავიგოთ მისი რაოდენობა და გასასყიდი ღირებულება, რომელიც ჩაიწერება თავის ადგილას დღიურში: „გაფუჭებული საქონელი“ (იხილე ნიმუში ქვემოდ).

**ვ. დადებული ფასის დაკლება.** საქონელზე დადებულ ფასის დაკლებაც ხდება გამგეობის ან დუქნის გამგის ნებართვით. რომელიმე საქონელზე ფასის დაკლების დროს უნდა გავიგოთ ჯერ ამ საქონლის რაოდენობა, თუ რამდენია დარჩენილი საქონელი, რომლის ფასსაც უნდა დააკლდეს. შემდეგ ვადარებთ ერ-

თი-ერთმანეთს ძველს და ახალს ნიხრებს და ვიგებთ განსხვავებას ამ ნიხრებს შორის, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი დაიკლო საქონელმა ერთ გირვანქაზე ან ფუთზე. ამ განსხვავებით ვიგებთ მთლად დარჩენილ საქონლის დანაკლისს, რო-

საქონლის დღიურის გასავლის გვერდის ნიმუში:

## საქონლის დღიური № 1

1915 წ. იანვრის „ 3 "

### საქონლის გასავალი

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სულ გავიდა საქონელი წლის დასაწყისიდან . | — | — |
| გაიყიდა ნაღდად . | 50 | — |
| დაიხარჯა დუქნის საჭიროებისათვის . | 5 | — |
| დაეთმო მყიდველებს დაწესებულ ფასებიდან . | — | — |
| დაიკლდა ფასი 1 ფუთ შაქარს გირვანქაზე ½ კაპეიკი სულ . | — | 20 |
| დაწუნებული და გაფუჭებული . | 10 | — |
| დაუბრუნდა უკან გამყიდველთ . | 20 | — |
| გაიგზავნა განყოფილებაში . | — | — |
| სულ დღის განმავლობაში გავიდა . | 85 | 20 |

ნოქარი............................

გამგეობის წევრი............................

## საქონლის დღიური № 1

1915 წ. იანვრის „ 3 "

### საქონლის გასავალი

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სულ გავიდა საქონელი წლის დასაწყისიდან . | — | — |
| გაიყიდა ნაღდად . | 50 | — |
| დაიხარჯა დუქნის საჭიროებისათვის . | 5 | — |
| დაეთმო მყიდველებს დაწესებულ ფასებიდან . | — | — |
| დაიკლდა ფასი 1 ფუთ შაქარს გირვანქაზე ½ კაპეიკი სულ . | — | 20 |
| დაწუნებული და გაფუჭებული . | 10 | — |
| დაუბრუნდა უკან გამყიდველთ . | 20 | — |
| გაიგზავნა განყოფილებაში . | — | — |
| სულ დღის განმავლობაში გავიდა . | 85 | 20 |

ნოქარი............................

გამგეობის წევრი............................

მელსაც აღვნიშნავთ საქონლის დღიურის გასავლის გვერდზე მუხლში: «დადებულ ფასის დაკლება''. (იხილე ნიმუში).

**ზ. საქონლის უკან დაბრუნება**. ნაყიდი საქონელი, რომელიც აღმოჩნდება უვარგისი და ადგილობრივ მომხმარებელთათვის შეუფერებელი ღირსებისა, უკან უნდა დაუბრუნდეს ვაჭარს. თუ უკან დასაბრუნებელი საქონელი არ იყო ჩაწერილი დავთრებში, არც უკან დაბრუნება აღინიშნება სადმე. ასეთ საქონლის ღირებულებას ვაჭარი ან ფულად უბრუნებს კოოპერატივს ან და ამავე ღირებულების ახალ საქონელს მისცემს. იმ შემთხვევაში, თუ უკან დასაბრუნებელი საქონელი ჩაწერილია დავთრებში, მაშინ დაბრუნებული საქონელი აღინიშნება საქონლის დღიურის გასავლის გვერდზე მუხლში: „დაუბრუნდა უკან გამყიდველთ" უკან დაბრუნებულ საქონლის ნაყიდობის ღირებულება, რომელიც უნდა დაუბრუნოს საქონლის გამყიდველმა, ხოლო ამავე დღიურის მუხლში: ,,ფასის დაკლება"-ჩაიწერება ამ საქონელზე დადებული მოგება. (იხილე ქვემოდ ნიმუში დღიურისა). უკან დაბრუნებული საქონელი საქონლის დღიურში უნდა აღინიშნოს დაწვრილებით, თუ ვის და რა საქონელი უბრუნდება უკან, რათა ანგარიშის მწარმოებელს საშუალება მიეცეს დაწვრილებით აღნიშნოს მომხდარი ბრუნვა საპირადო ანგარიშების დავთარში.

საქონლის დღიურის გასავლის გვერდის ნიმუში (იხ. გვ. 24).

## IV. მთავარი დავთარი ანუ კასსა-მემორიალი.

### დანიშნულება კასსა-მემორიალისა.

მომხმარებელ კოოპერატივისათვის კასსა-მემორიალი აუცილებელი დავთარია. ამ დავთარში ეწევა ანგარიში ცალ-ცალკე ყველა იმ ბრუნვებს, რომლებსაც კი ადგილი ექნებათ კოოპერატივში. იგი კონტროლს უწევს ყველაფერს, რაც კი მოეპოვება კოოპერატივს, ყოველივე ოპერაციას, რომელსაც კი მოახდენს კოოპერატივი. ერთის სიტყვით კასსა-მემორიალი სარკეა კოოპერატივისა, რადგანაც იგი სარკესავით უჩვენებს კაცს კოოპერატივის მდგომარეობას, თუ, რასაკვირველია, იგი წესიერადაა ნაწარმოები.

### კასსა-მემორიალის ფორმა.

როგორც ზემოდაც გვქონდა თავის დროს აღნიშნული, კასსა-მემორიალი აერთებს ორ დავთარს, სახელდობრ: ჟურნალს და მთავარს, ამიტომ კასსა-მემორიალი შესდგება ორ უმთავრეს ნაწილისაგან — პირველ ნაწილს ეკუთნის პირველ უჯრიდან დაწყებული ვიდრე მეექვსე უჯრამდე; ეს ნაწილი კასსა-მემორიალისა წარმოადგენს ჟურნალს (იხ. ნიმუში კას.-მემ. ბოლოში). ამ ნაწილში იწერება რიცხვი, მუხლი, შინაარსი და საერთო ჯამი ბრუნვისა. დანარჩენი ნაწილი კასსა-მემორიალისა წარმოადგენს მთავარს დავთარს. ეს ნაწილი კასსა-მემორიალისა დაყოფილია თანაბარ სვეტებად, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია წარმოებაზე.

მომხმარებელ კოოპერატივისათვის საკმარისია 12-15 სვეტი. თვითეული სვეტი დანიშნულია თვითეულ ანგარიშისათვის, სახელდობრ: პირველი სვეტი დანიშნულია კასსის (ფულის) ანგარიშისათვის, მეორე საქონლისათვის, მესამე სხვა-დასხვა პირთა და დაწესებულებათა ანგარიშებისათვის, მეოთხე საპაიო თანხისთვის, მეხუთე შემოსავალი და ხარჯებისათვის, მეექვსე ქონებისთვის, მეშვიდე სხვა და სხვა თანხებისათვის, შემდეგ საკუთარი წარმოებისათვის (თოხის, სახარაზოსი და სხვა), განყოფილების, მოგება-ზარალის და, დაბოლოს, ბალანსისათვის.

თვითეული სვეტი ანუ ანგარიში (იძახიან, მაგალითად „კასსის სვეტი“ ანუ „კასის ანგარიში“) იყოფა ორ ნაწილად — მარცხენა და მარჯვენა უჯრებად, რომლებსაც თავ-თავიანთი სახელწოდება აქვთ. მაგალითად „კასსის“ სვეტს ანუ „კასსის“ ანგარიშს მარცხენა ნაწილს წარწერილი აქვს „შემოსავალი“ (ანუ დებეტი) და მარჯვენა უჯრას „გასავალი“ (ანუ კრედიტი). „საქონლის“ სვეტის მარცხენა უჯრას ეწოდება „შემოსავალი“ (დებეტი), ხოლო მარჯვენა უჯრას „გასავალი“ (კრედიტი) „სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა“ ანგარიშის მარცხენა სვეტს ეწოდება „მიეცა მათ“ (დებეტი) და მარჯვენა — „შემოვიდა მათგან“ (კრედიტი) და სხვა (იხ. ნიმ. კასსა-მემორ.)

## კასსა-მემორიალის წარმოება.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ძირითადი კანონი ანგარიშთა წარმოებისა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველივე ბრუნვა მთავარს დავთარში იწერება ორჯერ, ერთხელ ერთ-ერთ ანგარიშის შემოსავალში და მეორედ რომელიმე სხვა ანგარიშის გასავალში. ესევე კანონი, რასაკვირველია, დაცულია კასა-მემორიალის წარმოების დროსაც, ხოლო რადგანაც კასა-მემორიალი, როგორც ზემოდაც გვქონდა აღნიშნული, აერთებს ჟურნალს და მთავარს დავთარს, ამიტომ კასა-მემორიალში ყოველივე ბრუნვა იწერება სამჯერ: ერთხელ ,,საერთო ბრუნვის‘‘ სვეტში, მეორედ რომელიმე ანგარიშის მარცხენა (ან მარჯვენა) უჯრაში და მესამედ რომელიმე ანგარიშის მარჯვენა (ან მარცხენა) უჯრაში. პირველად ,,საერთო ბრუნვის“ ანგარიშში ჩაწერილი ჯამი გვიჩვენებს საზოგადოების ანგარიშთა ბრუნვის რაოდენობას. ,,საერთო ბრუნვის‘‘ ანგარიშს კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს, რაიც თავის დროზე გვექნება ქვემოდ აღნიშნული. მეორედ და მესამედ ჩაწერა, ვიმეორებთ, დაფუძნებულია იმაზე, რომ ყოველივე ბრუნვა, რა სახისაც უნდა იყოს იგი თავისი შინაარსით, მუდამ ხდება ორ ანგარიშთა შორის. რომ უფრო თვალნათლივ წარმოვიდგინოთ ანგარიშთა ასეთი დამოკიდებულება, შევადაროთ თვითეული ანგარიში ცოცხალს პირებს რომელთა შორისაც ხდება ჩასაწერი ბრუნვა. თუ მაგალითად, ვიყიდეთ ერთი ფუთი შაქარი 5მ. 70 კ. ასეთს შემთხვევაში ბრუნვა ხდება ,,კასსის‘‘ და ,,საქონლის‘‘ ანგარიშებს შორის. ერთის მხრივ კასამ დახარჯა 5 მ. 70 კ., ხოლო მეორე მხრივ საქონელს მოემატა 5 მ. 70 კ. შაქარი. რადგანაც ,,კასსამ‘‘ დახარჯა 5 მ. 70 კ. ამიტომ ეს ჯამი ჩაიწერება ,,კასსის‘‘ ანგარიშის მარჯვენა უჯრაში (გასავალში), ,,საქონლის‘‘ ანგარიშში კი ესევე ჯამი (5 მ. 70 კ.) ჩაიწერება მარცხენა უჯრაში (შემოსავალში), რადგანაც საქონელი მოემატა 5 მანეთის და 70 კაპეიკისა. ჩავწეროთ ეს ბრუნვა კასსა-მემორიალში.

რადგანაც აღნიშნული ბრუნვა (შაქრის სყიდვა) ხდება ორ ანგარიშის-,,კასსის'' და ,,საქონლის'' შორის, ამიტომ აქ მოგვყავს კასსა-მემორიალის მხოლოდ ეს ანგარიშები.

ნიმუში ა.

| შინაარსი ბრუნვისა | საერთო ბრუნვა | | კასსა | | | | საქონელი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შემოსავალი | | გასავალი | | შემოსავალი | | გასავალი | |
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან | კ. | მან. | კ. |
| 1. მიეცა ერთ ფუთ შაქარში . . | 5 | 70 | — | — | 5 | 70 | 5 | 70 | — | — |
| 2. გაიყიდა შაქარი . . . . . . | 3 | 50 | 3 | 50 | — | — | — | — | 3 | 50 |

როდესაც შაქარს გავყიდით ,,კასსა'' იქნება შემოსავალში, რადგანაც ფული შემოვა, ხოლო ,,საქონელი'' გასავალში, საქონელი დააკლდება. მაშასადამე ამ ბრუნვის დროს შემოსული ფული (მაგალითად 3 მ. 50 კ.) ჩაიწერება მარცხენა სვეტში ,,კასსის'' ანგარიშისა, ხოლო მარჯვენაში—,,საქონლის'' ანგარიშისა. (იხ. ნიმუში ა).

ასე იწერება, როცა საზოგადოება საქონელს ყიდულობს ნაღდზე, ხოლო როდესაც საქონელი ნისიად არის შეძენილი ვაჭრისაგან, მაშინ იცვლება ჩაწერის წესი. ჩვენ საქონელი ვიყიდეთ ნისიად, მაშასადამე კასსისათვის ხელი არ გვიხლია, ხოლო საქონელი კი შემოვიდა ვაჭრისაგან ნისიად. ასეთს შემთხვევაში ბრუნვა

ნიმუში ბ.

| შინაარსი ბრუნვისა | საერთო ბრუნვა | | კასსა | | | | საქონელი | | | | ანგარიშები სხვა და სხვა პირებთან | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შემოსავალი | | გასავალი | | შემოსავალი | | გასავალი | | მიეცა მათ | | შემოვიდა მათგან | |
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან | კ. |
| 1. ნაყიდია რუხაძესგან საქონელი ნისიად . . | 10 | — | — | — | — | — | 10 | — | — | — | — | — | 10 | — |
| 2. ვაჭარ რუხაძეს მიეცა ნისია. . | 10 | — | — | — | 10 | — | — | — | — | — | 10 | — | — | — |

ხდება ,,საქონლის“ და ,,სხვა და სხვა პირთა“ ანგარიშებს შორის. რადგანაც საქონელი შემოვიდა ,,საქონლის“ ანგარიშში შემოსულ საქონლის ჯამი ჩაიწერება მარცხენა უჯრაში, ხოლო ,,სხვა და სხვა პირთა“ ანგარიშში ჩაიწერება მარჯვენა უჯრაში. მაგალითად ნაყიდია საქონელი ნისიად ვაჭარი რუხაძესაგან 10 მანეთისა. ბრუნვა კასსა-მემორიალში ჩაიწერება ასე: (იხ. გვ. 27 ნიმუში ბ).

როდესაც ვაჭარს რუხაძეს დავუბრუნებთ ფულს, ბრუნვა მოხდება ,,კასის“ და ,,სხვა და სხვა“ ანგარიშებს შორის. ჩავწერავთ 10 მანეთს „კასის“ მარჯვენა სვეტში—გასავალში, ხოლო ,,სხვა და სხვა პირთა“ ანგარიშში 10 მ. ჩაიწერება მარცხენა სვეტში—,,მიეცა მათ“ (იხ. ნიმუში ბ. მეორე მუხლი).

როდესაც საზოგადოება იძენს ნაღდზე რაიმე ქონებას ანუ ავეჯს, ბრუნვა ხდება ,,კასსისა“ და ,,ქონების“ ანგარიშებს შორის. ვიყიდეთ, მაგალითად, კოოპერატივის დუქნისათვის ყაფაზა 15 მანეთად. ასეთს შემთხვევაში ,,კასსა“ იქნება გასავალში, რადგანაც დაიხარჯა 15 მ., ხოლო ,,ქონება“—შემოსავალში, რადგანაც ქონება მოემატა. მაშასადამე, ამ ბრუნვას ჩავწერთ ასე: 15 მანეთს ერთხელ ,,კასის“ გასავალში და მეორედ ,,ქონების“ ანგარიშის შემოსავალში ,,ნაყიდია ქონება“.

ნიმუში გ.

| შინაარსი ბრუნვისა | საერთო ბრუნვა | | კასსა | | | | ქონება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შემოსავალი | | გასავალი | | შემოსავალი | | გასავალი | |
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ნაყიდია დუქნისათვის ყაფაზა . . | 15 | — | — | — | 15 | — | 15 | — | — | — |

მოგვყავს კიდევ ერთი მაგალითი: მიეცა ნოქარს ჯამაგირში 25 მანეთი. ამ შემთხვევაში დამოკიდებულება ხდება ,,კასსისა“, რომლიდანაც გაიცა 25 მან. და ნოქარს შორის. მსახურთა ჯამაგირები და საზოგადოდ ყოველივე სავაჭრო ხარჯები კოოპერატივისა გროვდება ერთს ,,ხარჯების და შემოსავლის“ ანგარიშში, ამიტომ ზემოდ მოყვანილი მაგალითი პირველად ჩაიწერება ,,კასის“ ანგარიშის გასავალში და მეორედ ,,ხარჯების და შემოსავლის“ მარცხენა უჯრაში ,,დახარჯულია“.

## ნიმუში დ.

| შინაარსი ბრუნვისა | საერთო ბრუნვა | | კ ა ს ს ა | | | | ხარჯები და შემოსავალი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შემოსავალი | | გასავალი | | დახარჯული | | შემოვიდა ხარჯების [illegible] | |
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| მიეცა ნოქარს N იანვრის ჯამაგირი | 25 | — | — | — | 25 | — | 25 | — | — | — |

ზემოდ მოყვანილ ნიმუშებიდან სჩანს, რომ კოოპერატივის ყოველივე ბრუნვა კასსა-მემორიალში ჩაწერის დროს ნაწილდება ორ ანგარიშთა შორის. ერთ-ერთ ანგარიშისთვის მომხდარი ბრუნვა იქნება შემოსავალში, მეორესათვის-კი გასავალში, ხოლო რადგანაც საზოგადოთ შემოსავალი იწერება მარცხენა მხარეს, ხოლო გასავალი — მარჯვენა მხარეს, ამიტომ ყოველ ბრუნვის ჩაწერის დროს ამავე ბრუნვის ჯამი ერთხელ იწერება მარცხენა მხარეს (შემოსავალში) რომელიმე ანგარიშისა, მეორედ კი მარჯვენა მხარეს (გასავალში) მეორე ანგარიშისა.

მთელი სიძნელე კასსა-მემორიალის წარმოებისა მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად სისწორიოთ განაწილებული ანგარიშთა შორის მომხდარი ბრუნვა. კასსა-მემორიალში ჩაწერამდე მოანგარიშემ უნდა გაითვალისწინოს, თუ მომხდარი ბრუნვის ჯამი რომელ ანგარიშის შემოსავალში და აგრეთვე რომელ ანგარიშის გასავალში უნდა ჩაიწეროს ესევე ჯამი. ეს კი ძნელი არ არის, თუ ანგარიშის მწარმოებელი დაკვირვებით მოიქცევა ჩაწერის დროს.

ზოგიერთს შემთხვევაში მართლაც ძნელდება ბრუნვის გატარება ანგარიშებში. რომ შეცდომა არ მოუვიდეს მოანგარიშეს, ვურჩევთ ასე მოიქცეს: თუ იგი ვერ გამოარკვევს რომელიმე ბრუნვის ჯამი სად უნდა ჩაიწეროს პირველად, სახელდობრ — რომელ ანგარიშის შემოსავალში, თუ გასავალში, უნდა ყურადღება მიაქციოს მეორე ანგარიშს, რომელშიაც ესევე ბრუნვა იწერება მეორედ. ასეთ დაკვირვების შემდეგ ცხადი შეიქმნება ბრუნვის განაწილება ანგარიშთა შორის, ადვილად გაითვალისწინებს, თუ ბრუნვის ჯამი რომელ ანგარიშის შემოსავალში (ანუ მარცხენა მხარეს) უნდა ჩაიწეროს. როდესაც ერთს ანგარიშს გამოვარკვევთ, მეორეს გაგება უკვე ადვილია, რადგანაც უკვე ვიცით, რომ ბრუნვის ჯამი მეორედ იწერება მეორე ანგარიშის გასავალში. ერთის სიტყვით, თუ ერთს შემთხვევაში ბრუნვის ჯამი იწერება რომელიმე ანგარიშის შემოსავალში (მარცხენა მხარეს), მეორე ანგარიშში ესევე ჯამი ჩაიწერება გასავალში (მარჯვენა მხარეს).

რადგანაც ანგარიშის მარცხენა უჯრაში იწერება ამ ანგარიშის შემოსავალი, ხოლო მარჯვენაში — ამავე ანგარიშის გასავალი, ამიტომ შეიძლება კასსა-მემორია-

ლის ყოველი ანგარიშის მარცხენა უჯრისათვის დაგვერქმია „შემოსავალი", ხოლო მარჯვენა უჯრისთვის „გასავალი", ან ლათინური სიტყვები „დებეტი" და „კრედიტი", მაგრამ ასეთი ერთნაირი წარწერები გამოუცდელს კაცს შეცდომაში შეიყვანდა, ამიტომ ჩვენ ყოველ ანგარიშის მარცხენა და მარჯვენა უჯრებს შესაფერი სახელები დავარქვით, რისგამოც ადვილი გასაგები ხდება ანგარიშთა როგორც შემოსავალი, აგრეთვე გასავალი. მაგალითად ,,სხვა და სხვა პირთა'' ანგარიშების მარცხენა (შემოსავლის) უჯრას დავარქვით: ,,მიეცა მათ'', ხოლო მარჯვენა (გასავლის) უჯრას ,,შემოვიდა მათგან''. ასეთი წარწერები, ჩვენის აზრით, მეტად გაუადვილებს მოანგარიშეს ბრუნვათა განაწილების სიძნელეს ანგარიშთა შორის.

ზემოდ კასსა-მემორიალის დანიშნულების აღნუსხვის დროს ჩვენ მას მივაწერეთ სხვათა შორის კონტროლის როლიც. ეს უკანასკნელი დანიშნულება კასსა-მემორიალისა სრულდება იმავე ორმაგი ჩაწერით ყოველივე ბრუნვისა. ორმაგის ჩაწერით კასსა-მემორიალში აღინიშნება მაგალითად არა მარტო კასსის შემოსავალი, არამედ ისიც, თუ სახელდობრ რა ფული შემოვიდა--დღიური ნავაჭრი, საპაიო, თუ სხვა რაიმე შემოსავალი იყო. კასსის გასავლის დროსაც აგრეთვე აღინიშნება, თუ რამე დაიხარჯა ფული - საქონლის ან ქონების სყიდვაზე, თუ რაიმე ხარჯი იყო გაწეული. შესაძლებელია ნავაჭრი იყოს მაგალითად 100 მანეთისა, ხოლო ხაზინადარმა ჩასწეროს შემოსავალში 80 მანეთი, ან და საქონელი ნაყიდი იყოს 200 მანეთის, ნოქარს კი ჩაბარებული ჰქონდეს 150 მანეთისა. ასეთს ,,ნებსით'' თუ უნებლიეთი შეცდომებს ორმაგი ჩაწერის დროს ადგილი არ ექნება, რადგანაც შეუძლებელია, მაგალითად, ნავაჭრი კასსის შემოსავალში ჩაიწეროს 80 მანეთი, ხოლო საქონლის გასავალში კი 100 მანეთი. ასევე შეუძლებელია კასსის გასავალში საქონლის სყიდვის დროს ჩაიწეროს 200 მანეთი, ხოლო საქონელი კი აღინიშნოს 150 მანეთისა. ერთის სიტყვით კასსა-მემორიალის წარმოების დროს დასახელებულს შემთხვევებს ადგილი არ ექნება და მუდამ აცილებული იქნება თავიდან ასეთი შეცდომები.

### საბუთები კასსა-მემორიალში ჩასაწერად.

როგორც შესავალში გვქონდა აღნიშნული, ყოველივე ჩანაწერი საანგარიშო დავთარში უნდა დაფუძნებული იყოს საბუთებზე. კასსა-მემორიალშიც ყოველივე ბრუნვა უნდა იწერებოდეს საბუთების მიხედვით. ასეთი საბუთები არის კასსის და საქონლის დღიურების მოსახევი ფურცლები, რომლებსაც უნდა დართული ჰქონდეთ შემოსავლის და გასავლის ყველა საბუთებით—ორდერები, ხელწერილები, საქონლის ანგარიშები და სხვა.

### ბრუნვათა ჩაწერა კასსა-მემორიალში.

საბუთების შემოწმების შემდეგ დღის განმავლობაში მომხდარი ბრუნვები იწერება კასსა-მემორიალში.

ყოველივე ბრუნვა კასსა-მემორიალში იწერება მუხლობრივ. თვითეულ მუხლს პირველს უჯრაში დაესმის ნომერი რიგისამებრ. ნუმერაცია სწარმოებს წლის

ბოლომდე. ახალ წლიდან იწყება ახალი ნუმერაცია. კასსა-მემორიალის შემდეგს უჯრაში იწერება რიცხვი, როდესაც მოხდა ბრუნვა; წელიწადი და თვე იწერება კასსა-მემორიალის ყოველ გვერდის თავში. საბუთს, რომლის მიხედვითაც ჩაიწერება კასსა მემორიალში ბრუნვა, დაესმის ამ ბრუნვის მუხლის ნომერი. საბუთები უნდა ინახებოდეს რიგზე ცალკე პაპკაში.

ქვემოდ ჩვენ განვიხილავთ ყველა იმ ბრუნვებს, რომლებსაც კი ადგილი ექნებათ საშუალო ზომის მომხმარებელ კოოპერატივში. რომ ამ ბრუნვათა ახსნა-განმარტება უფრო გასაგები იყოს, საჭიროა თვალყურის დევნება ამ სახელმძღვანელოს ბოლოში დართულ კასსა-მემორიალის ნიმუშისა.

**1. საპაიო ფულის, საწევროს და წესდების გადასახადის მიღება.** შემოსული საპაიო ფული კასსა-მემორიალში ჩაწერის დროს, უჯრაში ,,შინაარსი ბრუნვისა'', უნდა აღინიშნოს, თუ ვისგან არის შემოტანილი საპაიო ფული. მიღებული საპაიო ფულის ჯამი იწერება პირველად „საერთო ბრუნვის" სვეტში, მეორედ ,,კასსის'' შემოსავალში და მესამედ ,,საპაიო თანხის'' უჯრაში ,,შემოვიდა'' (იხ. ნიმუში კას.-მემ. მუხლი 1). ჩასაწერი გადასახადი და წესდების ფული პირველად იწერება ,,საერთო ბრუნვაში'', მეორედ ,,კასსის'' შემოსავალში და მესამედ ,,ჩასაწერი გადასახადი, სათადარიგო და სხვა თანხების'' ანგარიშში ,,შემოვიდა'' (იხ. ნიმუში მუხ. 2). შეიძლება საპაიო ჩასაწერი და წესდების გადასახადი ერთ მუხლადაც ჩაიწეროს,-პირველად ,,საერთო ბრუნვაში'' 10 მ. 60 კ., მეორედ ,,კასსის'' შემოსავალში აგრეთვე 10 მ. 60 კ. და მესამედ ,,საპაიო თანხაში'' 10 მ. და ,,საწევრო გადასახადის და სხვა თანხების'' ანგარიშში 60 კ.*) (იხ. მუხ. 3). თუ ახლად შემოსული წევრები ბევრნი იქნებიან, როგორც ეს კოოპერატივის დაარსების დროს არის ხოლმე, კასსა-მემორიალში შეიძლება საერთო ჯამით ჩაიწეროს, როგორც საპაიო ფული, აგრეთვე საწევრო და წესდების გადასახადები. ასეთს შემთხვევაში ,,ბრუნვის შინაარსის'' უჯრაში აღინიშნება მხოლოდ ნომრები შემოსავლის ორდერებისა, რომლებითაც მიღებულია სათითაოდ თვითეულ ახლად ჩაწერილი წევრისაგან პაის ფული, საწევრო და წესდების გადასახადი.

**2. სესხის (ვალის) აღება.** კოოპერატივის მიერ საწარმოვო თანხის გასაძლიერებლად აღებული სესხი იწერება ჯერ ,,საერთო ბრუნვის'' უჯრაში და შემდეგ ,,კასსის'' მარცხენა და ,,სხვა და სხვა პირთა'' ანგარიშის მარჯვენა უჯრაში ,,შემოვიდა მათგან'' (იხ. მუხლი 6). თუ სარგებელს წინდაწინვე უანგარიშებენ კოოპერატივს, როგორც საკრედიტო კოოპერატივებშია მიღებული, სესხის მიცემის დროს, სახელდობრ, როდესაც თავნი ვალიდან იჭერენ წინდაწინვე სარგებელს, ბრუნვა რთულდება. თუ როგორ უნდა გატარდეს ასეთი ბრუნვა, მოვიყვანოთ მაგალითი. მომხმარებელი კოოპერატივი საკრედიტო ამხანაგობისაგან იღებს ვალად 300 მანეთს ერთი წლის ვადით 12%. საკრედიტო ამხანაგობა თავნიდან გამოიცხავს სარგებელს 36 მან. და დანარჩენს 264 მანეთს მისცემს ნაღდათ, ხოლო ვალად კი 300 მანეთს დაწერს სრულად. ასეთს შემთხვევაში ბრუნვა იწერება ,,საერთო ბრუნვის'' უჯრაში სრულად 300 მ., ,,კასსის'' შემოსავალში იწერება 264 მ. ნაღდათ მიღებული და 36 მ. სარგებელი ჩაიწერება

---

*) წესდების გაყიდვით შემოსული ფული უნდა მიეთვალოს სათადარიგო თანხას.

,,ხარჯების'' შემოსავალში ,,დახარჯულია'', ხოლო ,,პირად ანგარიშების'' მარ-ჯვენა უჯრაში ,,შემოვიდა მათგან''-სრულად 300 მანეთი.

3. **დუქნის ნავაჭრის ჩაწერა.** საქონლის გაყიდვით შემოსული ფული ჩაი-წერება ჯერ „საერთო ბრუნვაში", მეორედ „კასსის" შემოსავალში და მესამედ „საქონლის" გასავალში (იხ. მუხლი 4).

4. **შესანახად მობარებული ფულის მიღება.** მობარებული ფული იწერება ჯერ „საერთო ბრუნვაში", მეორედ „კასსის" შემოსავალში და მესამედ „პირადი ანგარიშების" მარჯვენა უჯრაში „შემოვიდა მათგან". (იხ. მუხ. 7).

5. **საწინდრის მიღება** იწერება ისევე, როგორც შესანახად მობარებული ფული (იხ. მუხ. 8).

6. **უკან დაბრუნებული საქონლის ღირებულების მიღება.** თუ კოოპერა-ტივს შემთხვევა ექნება ვაჭრისაგან უკან დაბრუნებულ საქონლის ღირებულების მიღებისა, ბრუნვა ჩაიწერება ასე: „საერთო ბრუნვაში", შემდეგ „კასსის" შემო-სავალში და „საქონლის" გასავალში. (იხ. მუხ. 15).

უკან დაბრუნებული საქონლის ღირებულება იანგარიშება ნაყიდობის ფასით, რადგანაც, ცხადია, ვაჭარი საქონელს უკან აიღებს იმ ფასში, როგორშიაც მიჰ-ყიდა კოოპერატივს. ხოლო, რადგანაც კოოპერატივს ეს საქონელი ჩაწერილი ექნება გასასყიდი ფასით, ანუ მოგებით, რომელსაც კოოპერატივი ველარ აიღებს, ამიტომ მოგება უკან დაბრუნებულ საქონლისა უნდა ჩამოიწეროს ხარჯებში. ეს ბრუნვა იწერება პირველად „საერთო ბრუნვაში", მეორედ „საქონლის" გასავალ-ში და მესამედ „ხარჯების და შემოსავლის" ანგარიშის მარცხენა უჯრაში „დახარ-ჯულია". (იხ. მუხ. 16).

ზემოდ ჩვენ მოვიყვანეთ საქონლის უკან დაბრუნების ისეთი შემთხვევა, რო-დესაც ვაჭარი უკან დაბრუნებულ საქონლის ღირებულებას ფულად უბრუნებს. არის ისეთი შემთხვევაც, როცა უკან დაბრუნებულ საქონლის ღირებულებას ვა-ჭარს ვაწერთ ვალად. (იხ. მუხ. 36).

7. **საკრედიტო დაწესებულებიდან შესანახად მიბარებული ფულის უკან დაბრუნება.** როდესაც კოოპერატივი უკან გამოიტანს რომელიმე საკრედიტო და-წესებულებიდან შესანახად მიბარებულს ფულს, ბრუნვას კასსა-მემორიალში ჩას-წერს ასე: ჯერ „საერთო ბრუნვაში", შემდეგ „კასსის" შემოსავალში და, დაბო-ლოს, „სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა ანგარიშის" მარჯვენა უჯრაში „შემოვიდა მათგან". (იხ. მუხ. 9).

8. **სხვა და სხვა შემთხვევითი შემოსავალი კასსის. ა. ცარიელა ყუთების გაყიდვით შემოსული.** შემოსული ფული ისეთ ყუთების გაყიდვით, რომლებიც ხოქარს ან გამგეს არ ჰქონდა მითვლილი, როგორც საქონელი, ჩაითვლება შემთხვე-ვით მოგებად. ბრუნვა იწერება „საერთო ბრუნვაში", ,,კასსის'' შემოსავალში და „ხარჯების და შემოსავლის" მარჯვენა უჯრაში „შემოვიდა ხარჯების დასაფარად" (იხ. მუხ. 5). **ბ. შეცდომით გადაყოლილი ფულის უკან მიღება.** თუ შემ-თხვევა იქნება შეცდომით გადაყოლილ ფულის უკან დაბრუნებისა, ბრუნვა ჩაი-წერება ასე: მაგალითად მეურმეს საქონლის მოსატანი შეცდომით ერთი მანეთით მეტი მიეცა, ვიდრე მას ერგებოდა, და დავთრებშიაც ასე შეცდომით იყო ჩაწე-რილი მიცემული ქირა. ზედმეტად გადაყოლილი ერთი მანეთი ჩაიწერება „საერთო

ბრუნვაში", „კასსის" შემოსავალში და „ხარჯების და შემოსავლის" მარჯვენა უჯრაში (იხ. მუხ. 10). გ. **სხვა და სხვა შემთხვევითი შემოსავალი.** ასევე იწერება „სკიდკა", რომელსაც კოოპერატივს მისცემს ვაჭარი წლიურ ნავაჭრზე ან ნაღდზე ვაჭრობისათვის, საკომისიო, კოოპერატივთან დადებულ პირობის დარღვევით შემოსული ჯარიმა (იხ. მუხ. 11, 12, 13, და 14) და აგრეთვე „სკიდკის" მიღება საქონლით. (იხ. მუხ. 37).

კასსის შემთხვევითსავე შემოსავალს ეკუთვნის ქონების (ავეჯის) გაყიდვით მიღებული ფული. ასეთი ბრუნვა იწერება „საერთო ბრუნვაში", ,,კასსის" შემოსავალში და „ქონების" ანგარიშის გასავალში—,,გაყიდულია და გაბათილებულია ქონება". (იხ. მუხ. 19). თუ, ვინიცობაა, გაყიდული ავეჯი ნაყიდი იყო მეტს ფასში და ამავე ფასში იყო ჩაწერილი ,,ქონების" ანგარიშში, ზარალი ანუ დანაკლისი ჩამოიწერება ხარჯებში (იხ. მუხ 20). თუ, წინაამდეგ, ზედმეტად გაიყიდება, ვიდრე ნაყიდი იყო, განსხვავება ჩაიწერება მოგებაში. ასევე იწერება ქონების ღირებულება, რომელსაც გადიხდის კოოპერატივის მსახური, თუ მისი დაუდევრობით გაფუჭდება ავეჯი (იხ. მუხ. 17). თუ, ვინიცობაა, გაფუჭებული ავეჯის ღირებულებას არ გადიხდის მსახური, იგი მას გამოერიცხება მის საწინდრიდან (იხ. მუხ. 18).

**9. საქონლის ყიდვა ნაღდზე.** საქონლის სყიდვა კასსა-მემორიალში იწერება ორ-ორი ბრუნვით. პირველ ბრუნვაში იწერება შემოსული საქონელი ნაყიდობის ფასით ,,საერთო ბრუნვაში", ,,კასსის" გასავალში და ,,საქონლის" შემოსავალში (იხ. მუხ. 21 და 26). მეორე ბრუნვაში იწერება ამ საქონელზე დადებული მოგება- დადებულ მოგების ჯამი ჯერ იწერება ,,საერთო ბრუნვაში", შემდეგ, ,,საქონლის" ანგარიშის შემოსავალში და, დაბოლოს, ,,ხარჯების და შემოსავლის" მარჯვენა უჯრაში (იხ. მუხ. 22, 24, 27, 31, 34 და 38).

**10. საქონლის სყიდვა კოოპერატივს მიერ ნისიად.** ნისიად ნაყიდ საქონლის ნაყიდობის ღირებულება იწერება ,,საერთო ბრუნვაში", ,,საქონლის" შემოსავალში და ,,სხვა და სხვა პირების" ანგარიშის გასავალში „შემოვიდა მათგან". (იხ. მუხ. 23 და 33).

**11. ნისიად ნაყიდ საქონლის ღირებულების მიცემა.** ნისიის გადახდა იწერება ,,საერთო ბრუნვაში", ,,კასსის" გასავალში და ,,სხვა და სხვა პირთა" ანგარიშის შემოსავალში ,,მიეცა მათ". (იხ. მუხ. 25 და 35).

**12. შერეული სყიდვა საქონლისა.** საქონლის შერეულს სყიდვას ვუწოდებთ საქონლის შეძენას ნაღდზე და ნისიად. საქონლის შერეული სყიდვის სანიმუშო ბრუნვები გატარებული გვაქვს მუხლებში 28, 30 და 33. სიადვილისათვის შერეული სყიდვა საქონლისა დანაწილებული გვაქვს სამ მუხლად, თუმცა შესაძლებელია ერთ მუხლადაც გატარდეს. ერთ მუხლად ზემოდ მოყვანილი მაგალითი საქონლის შერეული სყიდვისა გატარდება ასე: ,,საერთო ბრუნვის" უჯრაში ვწერთ სრულად საქონლის ნაყიდობის ღირებულებას 150 მ., ,,კასსის" ანგარიშის გასავალში ნაღდათ მიცემის 25 მ. და დარჩენილს ნისიას 125 მ.—,,პირადი ანგარიშების" გასავალში—,,შემოვიდა მათგან".

**13. სავაჭრო ხარჯების გაწევა.** კოოპერატივის ჩვეულებრივი ხარჯები იწერება ,,საერთო ბრუნვაში", ,,კასსის" გასავალში და ,,ხარჯების და შემოსავლის"

შემოსავალში—,,დახარჯულია'' (იხ. მუხ. 29, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46 და 47).

**14. წინ და წინ გაწეული ხარჯები.** მდგომარე წლის მიერ მომავალ წლის ანგარიშში გაწეული ხარჯები იწერება კასსა-მემორიალში როგორც ჩვეულებრივი სავაჭრო ხარჯები. იხილე მუხლი 48 ბრუნვა: ,,მიეცა მომავალი წლის საწყობის ქირა''. წლის ბოლოს ასეთი ხარჯები ,,ხარჯების და შემოსავლის'' ანგარიშიდან გადიწერება ,,პირად ანგარიშებში''. წინ და წინ გაწეულ ხარჯების შესახებ ქვემოდ დავთრების წლიური შეთავების დროსაც გვექნება საუბარი.

**15 გასული წლის გაწეული ხარჯები.** ზოგჯერ მოხდება ხოლმე გასული წელიწადი უტოვებს შემდეგს ახალს წელიწადს გადასახდელად ზოგიერთს ხარჯებს. ჩვენს ნიმუშში მოყვანილია მაგალითად ნოქრის დეკემბრის ჯამაგირი. ეს მაგალითი ჩაწერილია კასსა-მემორიალის ნიმუშში პირველ გვერდზე, დასაწყისი ბალანსის პასსივში, მუხლი: ,,გასული წლის გაწეული ხარჯები 48 მ.'' გადახდა ასეთი ხარჯისა გატარებულია კასსა-მემორიალის ნიმუშის 49 მუხლში.

**16. სარგებლის მიცემა ნასესხზე.** სარგებელი ნასესხზე მიეცემა მოვალეს ან ხელში, ან და მიეთვლება ნასესხის თავნს. პირველს შემთხვევაში, ე. ი. როდესაც სარგებელი ეძლევა ხელში, მიცემული სარგებელი იწერება „საერთო ბრუნვაში", „კასსის" გასავალში და „ხარჯების და შემოსავლის" შემოსავალში „დახარჯულია" (იხ. მუხ. 54). როდესაც სარგებელი ეთვლება ნასესხის თავნს, იწერება „საერთო ბრუნვაში", „ხარჯების და შემოსავლის" შემოსავალში „დახარჯულია" და ,,პირადი ანგარიშების'' გასავალში ,,შემოვიდა მათგან'' (იხ. მუხ. 52).

**17. ნასესხის უკან დაბრუნება.** მოვალისათვის უკან დაბრუნებული ნასესხი იწერება ,,საერთო ბრუნვაში'', „კასსის'' გასავალში და ,,პირადი ანგარიშების'' შემოსავალში ,,მიეცა მათ''. (იხ. მუხ. 53).

**18. საპაიო ფულის შეტანა კოოპერატივთა კავშირში.** კავშირში შეტანილი საპაიო ფული იწერება ,,საერთო ბრუნვის'' შემდეგ ,,კასის'' გასავალში და ,,პირადი ანგარიშების'' შემოსავალში ,,მიეცა მათ''. (იხ. მუხ. 55).

**19. შესანახად მიბარება ფულისა საკრედიტო დაწესებულებაში.** შესანახად მიბარებული ფული იწერება ,,საერთო ბრუნვაში'', ,,კასსის'' გასავალში და ,,პირადი ანგარიშების'' შემოსავალში ,,მიეცა მათ'' (იხ. მუხ. 56).

**20. წევრთა საპაიო ფულის დაბრუნება.** დაბრუნებული პაი იწერება ,,საერთო ბრუნვაში'' ,,კასსის'' გასავალში და ,,საპაიო თანხის'' შემოსავალში ,,დაუბრუნდათ'' (იხ. მუხ. 57).

**21. მოძრავი ქონების (ინვენტარის) შეძენა ნაღდზე.** შეძენილი ქონების ღირებულებას ვწერთ კასსა-მემორიალში ჯერ ,,საერთო ბრუნვაში'' შემდეგ ,,კასსის'' გასავალში და დაბოლოს ,,ქონების'' ანგარიშის შემოსავალში ,,ნაყიდია ქონება'' (იხ. მუხ. 59).

**22. უძრავი ქონების შეძენა.** უძრავი ქონების შეძენის ბრუნვაც იწერება ისევე, როგორც მოძრავისა (იხ. მუხ. 58).

**23. ქონების შეკეთება.** უძრავი ან მოძრავი ქონების შეკეთების ღირებულებას, რომელიც ქონებას ფასს ჰმატებს, ვათვლით ქონებას. კასსა-მემორიალში შეკეთებას ვწერთ ჯერ ,,საერთო ბრუნვაში'', შემდეგ ,,კასსის'' გასავალში და და-

ბოლოს ,,ქონების'' შემოსავალში (იხ. მუხ. 61). წვრილმანი შეკეთება ქონებისა, როგორიცაა მაგალითად ფეხმოტეხილ სკამის შეკეთება, შუშების ჩასხმა ფანჯრებში და სხვა, უნდა გატარდეს ხარჯებში.

**24. ნისიად სყიდვა ქონებისა.** ნისიად ნაყიდი ქონება იწერება ,,ქონების'' შემოსავალში და ,,პირადი ანგარიშების'' გასავალში (იხ. მუხ. 60). როდესაც ამ ნისიას დავუბრუნებთ, ჩავწერთ ,,კასსის'' გასავალში და ,,პირადი ანგარიშების'' შემოსავალში ,,მიეცა მათ''.

**25. ქონებიდან ჩამოწერა უვარგისი ავეჯისა.** ასეთი ქონების ღირებულება იწერება ,,საერთო ბრუნვაში'', ,,ქონების'' გასავალში და ,,ხარჯების და შემოსავლის'' შემოსავალში ,,დახარჯულია''. (იხ. მუხ. 62).

**26. გაფუჭებული საქონლის ჩამოწერა.** გაფუჭებული საქონლის გასასყიდი ღირებულება იწერება ,,საერთო ბრუნვაში'', ,,საქონლის'' ანგარიშის გასავალში და ,,ხარჯების და შემოსავლის'' შემოსავალში ,,დახარჯულია'' (იხ. მუხ. 50).

**27. დუქნის საჭიროებისათვის დახარჯული საქონელი.** ჩამოიწერება ისევე, როგორც გაფუჭებული საქონელი. (იხ. მუხ. 51).

**28. საქონელზე დადებულ გასასყიდი ფასის წამატება და დაკლება.** საქონელზე დადებული მოგების წამატება იწერება ,,საერთო ბრუნვაში'', ,,საქონლის'' ანგარიშის შემოსავალში და ,,ხარჯების და შემოსავლის'' გასავალში — ,,შემოვიდა ხარჯების დასაფარად''. ფასის დაწევა საქონელზე, წინააღმდეგ, იწერება ,,საერთო ბრუნვის'' შემდეგ ,,საქონლის'' გასავალში და ,,ხარჯების და შემოსავლის'' შემოსავალში ,,დახარჯულია''.

**29. გასული წლის მოგების განაწილების ჩაწერა.** თანახმად წესდებისა, წმინდა მოგებას ანაწილებს კოოპერატივის საზოგადო წლიური ყრილობა. წესდებით წმინდა მოგებიდან სათადარიგო თანხაში უნდა გადაირიცხოს არა ნაკლებ 20 %; ძირითად თანხაში—არა ნაკლებ 10 %, ხოლო დანარჩენი ნაწილი მოგებისა განაწილდება საზოგადო ყრილობის შეხედულებით. (იხ. ნიმუში წმინდა მოგების განაწილებისა მუხ. 63). დივიდენდათ წევრთ პაიზე შეიძლება მიეცეთ არა უმეტეს 6% წლიური თვითეულ საპაიო მანეთზე. მოგებიდან გადარიცხვა ნაწილისა სხვა და სხვა თანხებში: სათადარიგოში, ძირითადში და გარდამავალ თანხებში*) იწერება ,,საერთო ბრუნვაში'', ,,მოგება-ზარალის'' მარცხენა უჯრაში ,,ჩამოწერილია მოგებიდან'' და ,,ჩასაწერი გადასახადის, სათადარიგო და სხვა თანხების'' მარჯვენა უჯრაში ,,შემოვიდა''. თუ წმინდა მოგებიდან ნაწილი განაწილებისთანავე ნაღდ ფულად გაიცემა, იწერება ასე: ,,საერთო ბრუნვაში'', ,,მოგება-ზარალის'' მარცხენა უჯრაში ,,ჩამოწერილია მოგებიდან'' და ,,კასსის'' ანგარიშის გასავალში. (იხ. მე 7-დე აბზაცი 63-მე მუხლისა).

**30. პაიზე დივიდენდის (სარგებლის) და ნავაჭრზე პრემიის (საჩუქრის) მიცემის ჩაწერა.** როდესაც დივიდენდი ან პრემია მიეცემათ წევრთ (იხილე ქვემოდ თავი: ,,პაიზე დივიდენდის და ნავაჭრზე პრემიის გამოანგარიშება''), ჩამოიწერება ასე: ,,საერთო ბრუნვაში'', ,,კასსის'' გასავალში და ,,ჩასაწერი გადასახადის და სხვა თანხების'' ანგარიშის შემოსავალში ,,გაიცა'', (იხ. მუხ. 64 და 65).

---

*) გარდამავალი თანხები ისეთი თანხებია, რომლებიც დროებით რჩებიან წარმოებაში.

**31. გარდამავალ თანხიდან ხარჯის გაწევა.** გარდამავალ თანხიდან ხარჯების გაწევა იწერება ისევე, როგორც წინა მაგალითი (§ 30). ჩვენს ნიმუშში მოყვანილია საგანმანათლებლო თანხიდან ჟურნალის ხელის მოსაწერი ფასის გადახდა (მუხ. 66) და გამგეობის წევრთათვის გადადებულ საჩუქრის მიცემა (მუხ. 69).

| შინაარსი ბრუნვისა | საერთო ბრუნვა | | საპაიო თანხა | | | | საწევრო გადასახადი, სათადარიგო და სხ. თანხები | | | | მოგება-ზარალი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დაუბრუნდათ | | შემოვიდა | | გაიცა | | შემოვიდა | | მიღებული ზარალი | | ჩამოწერილი ზარ. | |
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| **პირველი შემთხვევა** | | | | | | | | | | | | | | |
| 1 გადარიცხულია სათადარიგო თანხიდან ზარალის დასაფარად . . | 150 | — | — | — | — | — | 150 | — | — | — | — | — | 150 | — |
| **მეორე შემთხვევა** | | | | | | | | | | | | | | |
| 1. გადაირიცხა სათადარიგო თანხიდან ზარალის დასაფარად . . . . . | 100 | — | — | — | — | — | 100 | — | — | — | — | — | 100 | — |
| 2. გადაირიცხა საპაიო თანხიდან ზარალის დანარჩენ ნაწილის დასაფარად . . . . . . | 50 | — | 50 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 50 | — |

**32. დივიდენდის და პრემიის ჩათვლა საპაიო ფულში.** ზოგიერთი წევრი თავის ხვედრს პრემიას და დივიდენდს არ გაიტანს კოოპერატივიდან და ითხოვს ეს ფული ჩაეთვალოს მას საპაიო ფულში. (იხ. მუხ. 67) ასევე შეიძლება მოიქცნენ არა წევრნიც და ითხოვონ პრემიის ჩათვლა პაიში (იხ. მუხ. 68).

**33. ზარალის გატარება კასსა-მემორიალში·** თუ კოოპერატივმა წელიწადი ზარალით დააბოლოვა, ზარალი უნდა დაიფაროს სათადარიგო თანხით. თუ ეს უკანასკნელი არ იკმარებს ზარალის დასაფარად, დახარჩენი ნაწილი ზარალისა უნდა დაიფაროს საპაიო თანხით. ქვემოდ მოგვყავს ზარალის დაფარვის ნიმუშები. მაგალითად ზარალი იყო მიღებული 150 მანეთი.

აღნიშნულ ბრუნვების გატარებით ზარალის მარჯვენა უჯრის ჯამი გაუთანასწორდება მარცხენისას და ამ გვარად ზარალი დაფარული იქნება. ზარალის დაფარვით კოოპერატივს შეუმცირდება სათადარიგო და საპაიო თანხები იმდენით, რაც ზარალი მოუვიდა კოოპერატივს. კასსა-მემორიალში ეს გადარიცხვა სრულდება ერთი სტატიით. ამ სტატიის გატარებამდე კასსა-მემორიალში უნდა შესდგეს წევრთა სია საპაიო ფულებით და გამოითვალოს, თუ თვითეულს წევრს რამდენი აკლდება პაის ფული-

დან ზარალის დასაფარად. მთელი ჯამი წევრთა საპაიო თანხის დანაკლისის უნდა უდრიდეს ზარალის ნაწილს, რომელიც მოეჭარბება სათადარიგო თანხით დაფარვის შემდეგ. ამ სიიდან თვითეულ წევრის საპაიო ფულის დანაკლისი უნდა გადატანილ იქნეს წევრთა დავთარში და ამის შემდეგ ჩაიწეროს კასსა-მემორიალში საერთო ჯამით ეს გადარიცხვა საპაიო თანხისა ზარალის დასაფარად.

**34. ვექსილების გატარება კასსა-მემორიალში.** ზოგიერთს კოოპერატივს, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც შემთხვევა აქვს ხოლმე ვექსილების გაცემისა, ამიტომ მოკლედ განვიხილავთ ვექსილების ანგარიშის გაწევას.

ვექსილებს დამხმარე პირადი ანგარიშების დავთარში უნდა გაეხსნას საკუთარი ანგარიში. კასსა-მემორიალში საჭირო არ არის ცალკე ვექსილების ანგარიშის გახსნა. ეს ანგარიშიც უნდა მოთავსდეს „სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა ანგარიშში“.

მოვიყვანოთ მაგალითი: კოოპერატივი აძლევს კოოპერატივთა კავშირს ვექსილს 1000 მან.

ეს ბრუნვა დამხმარე პირადი ანგარიშების დავთარში იწერება ორ ანგარიშში: 1) კოოპერატივთა კავშირის ანგარიშის შემოსავალში და 2) მიცემულ ვექსილების ანგარიშის გასავალში. კასსა-მემორიალში გაცემული ვექსილის ჯამი ჯერ იწერება „საერთო ბრუნვაში“ და შემდეგ „სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა ანგარიშის“ გასავალში და შემოსავალში ერთ-და იმავე დროს, რადგანაც ორივე ანგარიში, რომელთაც შეეხება ეს ბრუნვა, სახელდობრ—კოოპერატივთა კავშირისა და ვექსილების, მოთავსებულია კასსა-მემორიალის ამ ანგარიშში. დამხმარე დავთარში ეს ბრუნვა, ვიმეორებთ, ნაწილდება ორ ანგარიშთა შორის კოოპერატივთა კავშირის და ვექსილებისაში. პირველი ანგარიში, სახელდობრ კოოპერატივთა კავშირისა იქნება შემოსავალში, ხოლო მეორე—ვექსილებისა—გასავალში.

როდესაც კოოპერატივი გამოიხსნის ვექსილს, ბრუნვა ჩაიწერება დამხმარე პირად ანგარიშების დავთრის მხოლოდ ვექსილების ანგარიშის შემოსავალში. კასსა-მემორიალში ესევე ბრუნვა იწერება: ჯერ „საერთო ბრუნვაში“, შემდეგ „კასსის“ გასავალში და „სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა“ ანგარიშის შემოსავალში.

დახსნილ ვექსილის საბუთად კოოპერატივს უნდა ჰქონდეს თვით ეს ვექსილი, რომელიც ნიშნად დახსნისა უნდა გადიხაზოს მელნით ჯვარედინათ ან შუაგული ამოეჭრას.

თუ ვექსილი ვადამდე იქნება დახსნილი, კოოპერატივს დაუბრუნდება სარგებლის ნაწილი. ასეთს შემთხვევაში ვექსილში ნამდვილად მიცემული ფული იწერება „კასსის“ გასავალში, ხოლო დაბრუნებული სარგებელი „ხარჯების და შემოსავლის“ მარჯვენა უჯრაში „შემოვიდა ხარჯების დასაფარავად“.

### კასსა-მემორიალის გვერდის ჯამები და შემოწმება გვერდზე ჩანაწერისა.

როდესაც კასსა-მემორიალში ჩამოთავდება გვერდი, ბოლოზე უნდა გადიხაზოს და ხაზს ქვეშ ყველა უჯრებში ჩამოიწეროს ამ უჯრების გვერდის ჯამები. ვიდრე ამ ჯამებს გადავიტანდეთ მეორე გვერდზე და განვაგრძობდეთ ბრუნვათა წერას, უნდა შევამოწმოთ შეთავსებული გვერდი, თუ რამდენად სწორედ არის გატარებული ბრუნვები ანგარიშებში. მოგეხსენებათ, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ანგარიშების სწორედ წარმოებას; საკმარისია ერთი მცირედი შეცდო-

მა, რომ თვის ბოლოს, თვიურ ანგარიშის შედგენის დროს, გასტანჯოს მოანგარიშე და იძულებული ჰყოს თავიდან გადაათვალიერებინოს სათითაოდ ყველა ბრუნვები. აი სწორედ აქ ეხმარება ანგარიშის მწარმოებელს „საერთო ბრუნვის“ სვეტი. რადგანაც, როგორც უკვე ვიცით, თვითეული ბრუნვის ჯამი იწერება სამჯერ—ერთხელ „საერთო ბრუნვაში“, მეორედ რომელიმე ანგარიშის მარცხენა (ან მარჯვენა) უჯრაში და მესამედ მეორე ანგარიშის მარჯვენა (ან მარცხენა) უჯრაში, ე. ი. ერთი და იგივე ციფრი იწერება ჯერ „საერთო ბრუნვაში*, შემდეგ ერთ-ერთ ანგარიშის შემოსავალში და, დაბოლოს, ესევე ციფრი მეორე ანგარიშის გასავალში; ამიტომ კასსა-მემორიალის გვერდზე „საერთო ბრუნვის“ სვეტის ჯამი უნდა უდრიდეს როგორც ყველა ანგარიშების შემოსავლის (მარცხენა) უჯრების ჯამებს ერთად, აგრეთვე ყველა ანგარიშების გასავლის (მარჯვენა) უჯრების ჯამებს. თუ ასეთი თანასწორობა მივიღეთ, დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ მთელ გვერდზე გატარებული ბრუნვები სწორედ არის ჩაწერილი. რომ უფრო თვალსაჩინო იყოს ზემოაღნიშნული, მოვიყვანოთ ნიმუში.

| შინაარსი ბრუნვისა | საერთო ბრუნვა | კ ა ს ს ა | | ს ა ქ ო ნ ე ლ ი | | ხარჯები და შემოსავალი | | ანგარიშები სხვა და სხვა პირებთან | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შემოსავალი | გასავალი | შემოსავალი | გასავალი | დახარჯულია | შემოვიდა ხარჯის დასაფარ. | მიეცათ მათ | შემოვიდა მათგან |
| შემოვიდა დღიური ნავაჭრი | 10 | 10 | — | — | 10 | — | — | — | — |
| მიეცა ვაჭარ ქავჭანიძეს ანგ. № 0 . . . . . | 50 | — | 50 | 50 | — | — | — | — | — |
| ვიყიდეთ საქონელი ნისიად № . . . . | 20 | — | — | 20 | — | — | — | — | 20 |
| მიეცა ნოქარს ჯამაგირი . | 30 | — | 30 | — | — | 30 | — | — | — |
| შემოვიდა დღიური ნავაჭრი | 100 | 100 | — | — | 100 | — | — | — | — |
| გვერდის ჯამი . | 210 | *) 110 | **) 80 | *) 70 | **) 110 | *) 30 | — | — | **) 20 |

ამ ნიმუშებიდან სჩანს, რომ „საერთო ბრუნვის“ გვერდის ჯამი უდრის **210 მან.** დანარჩენი ანგარიშების მარცხენა უჯრების*) ჯამები ერთად (110 + 70 + 30) = **210 მან.** აგრეთვე ყველა ანგარიშების მარჯვენა **) უჯრის ჯამები ერთად (80 + 110 + 20) = **210 მან.** ამ გვარად „საერთო ბრუნვის“ გვერდის ჯამი უთანასწორდება სათითაოდ ყველა შემოსავლის უჯრის ჯამებს და ყველა გასავლის უჯრის ჯამებს, მაშასადამე კასსა-მემორიალის გვერდზე ანგარიშებში ბრუნვები სწორედ არის გატარებული. თუ, ვინიცობაა, ასეთი თანასწორობა არ მივიღეთ, უეჭველად შეცდომა გვექნება სადმე, რომელიც უნდა მოვსძებნოთ და გავასწოროთ წითელი მელნით.

ასეთი შემოწმების შემდეგ გვერდის ჯამები უნდა გადავიტანოთ მეორე გვერდის პირველ სტრიქონზე.

მეორე გვერდი რომ ჩამოთავდება, ჩამოვწერთ ისევე, როგორც პირველ გვერდზე, მეორე გვერდის ჯამებს, რომლებსაც ვუმატებთ პირველ გვერდის ჯამებს და გადაგვაქვს მესამე გვერდის დასაწყისში. ასე სწარმოებს გვერდის ჯამების გადატანა ერთი გვერდიდან მეორეზე თვის ბოლომდე (იხ. კასსა-მემორიალის ნიმუში).

## კასსა-მემორიალის ჯამები თვიური და წლის დასაწყისიდან.

როდესაც თვე გათავდება, ჩამოვწერთ მთელი თვის ჯამებს (იხ. ნიმუში კასსა-მემორიალისა). ეს ჯამებიც ისევე უნდა შემოწმდეს, როგორც ზემოდ გვქონდა აღწერილი გვერდის ჯამების შემოწმება, ე. ი. მთელი თვის „საერთო ბრუნვის" ჯამი უნდა უდრიდეს სათითაოდ ყველა ანგარიშების შემოსავლის და გასავლის უჯრების ჯამებს.

შემდეგი თვის ბრუნვები იწერება ახალი გვერდიდან. გვერდიდან გვერდზე გადაგვაქვს მხოლოდ ამ თვის ჯამები. მეორე თვის ბოლოს ვუკეთებთ თვიურ ჯამებს ისევე, როგორც პირველს თვეში (იხ. კას. მემ. ნიმუშში თებერვლის ჯამები). მეორე თვის ჯამების ქვეშ ხელ-ახლად უნდა გადიხაზოს ყველა უჯრები და ჩამოიწეროს ჯამები წლის დასაწყისიდან, ე ი პირველი და მეორე თვეების ჯამები ერთად შეერთებული (იხილე ნიმუშში თებერვლის ჯამებს შემდეგ ჯამები „წლის დასაწყისიდან"). ჯამებში წლის დასაწყისიდან არ უნდა შედიოდეს წინა წლის ნაშთები. ასევე ვიქცევით შემდეგ თვეებშიაც წლის ბოლომდე. წლის ბოლოს, როცა შევათავებთ დეკემბრის თვეს, უკვე მზად გვექნება მთელი წლის ჯამები. კასსა-მემორიალში წლიური ჯამების შეკვრის შესახებ ქვემოდ გვექნება საუბარი.

## თვიური ბრუნვათა უწყება და ანგარიშთა მდგომარეობა ანუ ბალანსი.

როგორც ზემოდაც გვქონდა მოხსენებული, მუდამ, როცა კი საჭიროა წარმოების მდგომარეობის გაგება, სდგება ბრუნვათა უწყება. კოოპერატივებში ჩვეულებრივ მიღებულია ბრუნვათა უწყების შედგენა თვის ბოლოს. ზემოდ შესავალში ჩვენ მოყვანილი გვაქვს მარტივი სქემა ბრუნვათა უწყებისა. იქვე განმარტებულია, თუ როგორ უნდა შესდგეს ბრუნვათა უწყება. აქ კი მოგვყავს მომხმარებელ კოოპერატივთა ანგარიშის წარმოებაში მიღებული სრული ნიმუში ბრუნვათა უწყებისა, რომელშიაც გატარებული გვაქვს იანვრის ბრუნვათა ჯამები კასსა-მემორიალის ნიმუშიდან. (იხილე იანვრის თვიური უწყება).

ამ სრულ ბრუნვათა უწყების პირველ უჯრაში იწერება ამ ანგარიშთა სახელწოდებანი, რომლებიც გახსნილი გვაქვს კასსა-მემორიალში. მეორე უჯრაში იწერება წინა წლის სალდოები. მესამე უჯრაში თავთავის ადგილას იწერება კასსა-მემორიალის ყველა ანგარიშის იანვრის შემოსავლის (დებეტის) და გასავლის (კრედიტის) თვიური ჯამები. მეოთხე უჯრაში იწერება ჯამები წლის დასაწყისიდან.

ჩვენს ნიმუშში ამ უჯრაში გამეორებულია იგივე ციფრები; რაც წინა მესამე უჯრაშია, რადგანაც პირველ თვის ბოლოს კასსა-მემორიალში, როგორც ზემოდაც გვქონდა ახსნილი, ჯამები წლის დასაწყისიდან არ გვექნება. მეხუთე უკანასკნელს უჯრაში იწერება სათითაოდ სალდოები ყველა ანგარიშებისა. ეს სალდოები გამოიანგარიშება ასე: წინა წლიდან გადმოსულ სალდო დებეტს (ან სალდო კრედიტს) ვუმატებთ ,,წლის დასაწყისიდან'' ჯამების დებეტს (ან კრედიტს), შემდეგ ვაკლებთ იმავე ანგარიშის კრედიტის (ან დებეტის) ჯამს წლის დასაწყისიდან და ნაშთს ვწერთ მეხუთე უჯრის შესაფერს სვეტში; თუ ნაშთი გვიჩვენებს სალდო დებეტს, ჩაიწერება ,,დებეტში'', თუ წინააღმდეგ, ნაშთი გვიჩვენებს სალდო კრედიტს, ვწერთ ,,კრედიტში''.

ასე ვიქცევით ყველა ანგარიშების სალდოების გამოანგარიშების დროს. გამონაკლისს შეადგენს ,,სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა'' ანგარიშის სალდოს გამოყვანა. ამ ანგარიშის დებეტის და კრედიტის შედარება იმ გვარად, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, არ შეიძლება, რადგანაც ამ გვარად მიღებული სალდო იქნება განყენებული ციფრი და ვერ

**იანვრის ბრუნვათა უწყება.**

| 1 | 2 | | | | 3 | | | | 4 | | | | 5 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ანგარიშები | 1915 წ. 1-ლ იანვრისათვის იყო სალდო | | | | იანვარში | | | | წლის დასაწყისიდან | | | | 1915 წ. 1 თებერვლისათვის რჩება სალდო | | | |
| | დებეტი | | კრედიტი | | დებეტი | | კრედიტი | | დებეტი | | კრედიტი | | დებეტი | | კრედიტი | |
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| კასსა | 885 | — | — | — | 395 | 20 | 1193 | 29 | 395 | 20 | 1193 | 29 | 86 | 91 | — | — |
| საქონელი | 2097 | — | — | — | 1177 | — | 70 | 60 | 1177 | — | 70 | 60 | 3203 | 40 | — | — |
| სხვა და სხვა პირთა და დაწესებულ. ანგ. | 48 | — | 1187 | — | 586 | 50 | 790 | — | 586 | 50 | 790 | — | 18 | — | 1360 | 50 |
| ხარჯები და შემოსავალი | — | — | 273 | — | 106 | 89 | 178 | 50 | 106 | 89 | 178 | 50 | 106 | 89 | 451 | 50 |
| ქონება | 2007 | — | — | — | — | — | 12 | — | — | — | 12 | — | 1995 | — | — | — |
| საპაიო თანხა | — | — | 2493 | — | — | — | 20 | — | — | — | 20 | — | — | — | 2513 | — |
| ჩასაწერი გად. და სხვა თანხები | — | — | 474 | — | — | — | 1 | 20 | — | — | 1 | 20 | — | — | 475 | 20 |
| მოგება-ზარალი | — | — | 610 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 610 | — |
| | 5037 | — | 5037 | — | 2265 | 59 | 2265 | 59 | 2265 | 59 | 2265 | 59 | 5410 | 20 | 5410 | 20 |

დაგვანახვებს, თუ რამდენი აქვს კოოპერატივს გაცემული კერძო პირებზე და დაწესებულებებზე და აგრეთვე, წინააღმდეგ, რამდენი მართებს კოოპერატივს კერძო პირების და დაწესებულებებისა. ასეთი ცნობები კი აუცილებლად საჭიროა იყოს თვიურს ანგარიშში, ამიტომ საპირადო დამხმარე დავთრიდან უნდა ამოიკრიბოს ცნობები, თუ რამდენი აქვს კოოპერატივს გასესხებული და რამდენი მართებს თვით კოოპერატივს. პირველი ჯამი ჩაიწერება სალდო დებეტის უჯრაში, ხოლო მეორე-სალდო კრედიტისაში.

წარმოების შედეგის მაჩვენებელ „ხარჯების და შემოსავლის“ ანგარიშის სალდოების გამოყვანა თვიურ ბრუნვათა უწყებაში, ანუ თვიურს ანგარიშში, არ არის საჭირო, ამიტომ სალდოების სვეტის უჯრებში ვწერთ ამ ანგარიშის დებეტის და კრედიტის სრულს ჯამებს, როგორც ეს ჩვენს ნიმუშშიაც არის მოყვანილი. (იხ. გვ. 40).

როგორც „შესავალშიაც“ გვქონდა მოხსენებული, ბრუნვათა უწყებიდან სდგება ბალანსი ანუ ანგარიშთა მდგომარეობა. ბალანსი შესდგება ორი ნაწილისაგან—პასსივისა და აქტივისაგან. პასსივი, ვიმეორებ, გვიჩვენებს, თუ რამდენი აქვს კოოპერატივს წარმოებაში დატრიალებული თანხები, როგორც საკუთარი, აგრეთვე ნასესხი, ხოლო აქტივი— თუ რაშია მოთავსებული პასსივი, ანუ რა აქვს კოოპერატივს თანხების გასანაღდებლად. როგორც უკვე ვიცით, უწყებიდან ბალანსში იწერება მხოლოდ სალდოები, ამასთანავე სალდო დებეტი იწერება აქტივში, ხოლო სალდო კრედიტი -პასსივში. ზემოდ მოყვანილ ბრუნვათა უწყებიდან შესდგება შემდეგი ბალანსი 1-ლ თებერვლისათვის:

| აქტივი: | | | | პასსივი: | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კასსა . . . . . | 86 მ. | 91 კ. | | საპაიო თანხა . . | 2513 მ. | — კ. | |
| საქონელი . . . . | 3203 „ | 40 „ | | საწევრო და სხვა თანხები | 475 „ | 20 „ | |
| კოოპერატივისა მართებთ | 18 „ | — „ | | კოოპერატივს მართებს | 1360 „ | 50 „ | |
| ქონება . . . . | 1995 „ | — „ | | ჩათვლილია მოგებაში | 451 „ | 50 „ | |
| ხარჯები . . . . | 106 „ | 89 „ | | გასული წლის მოგება | 610 „ | — „ | |
| | 5410 მ. | 20 კ. | | | 5410 მ. | 20 კ. | |

## მომხმარებელი კოოპერატივის თვიური ანგარიში.

თვიური ანგარიში, რომელსაც ადგენს მომხმარებელი კოოპერატივი, გარდა ზემოდ მოყვანილ ბრუნვათა უწყებისა და ამ უწყებიდან გამომდინარე ბალანსისა, შეიცავს კიდევ სხვა ცნობებს, სახელდობრ: წევრთა რიცხვის მოძრაობას და გაწეულ ხარჯებს საანგარიშო თვის განმავლობაში. აქვე მოგვყავს თვიური ანგარიშის ნიმუში, რომელშიაც გატარებულია კასსა-მემორიალის თებერვლის ჯამები.

ვაჭშორის სი.ი.თ:
№.................

წესდება შეტანილია რეესტრში 1914 წ.
ვაჭრობა დაიწყო . . . 1914 წ.

# ანგარიში

არაშენდის მომხმარებელი კოოპერატივის „ მეურნე "
სოფელი არაშენდა ტფილისის გუბ. დუშეთის მაზრ.

1915 წლის თებერვლისა

## კასსა-მემორიალის ანგარიშების მოძრაობა

| ანგარიშები | 1915 წ. 1-ლ იანვრისათვის იყო | | | | საანგარიშო თვეს | | | | წლის დასაწყისიდან | | | | 1915 წ. 1-ლ მარტისთვის ჩრება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აქტივი | | პასსივი | | დებეტი | | კრედიტი | | დებეტი | | კრედიტი | | აქტივი | | პასსივი | |
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| კასსა . . . . | 885 | — | — | — | 1900 | — | 1908 | — | 2295 | 20 | 3101 | 29 | 78 | 91 | — | — |
| საქონელი . . . | 2097 | — | — | — | 1380 | — | 1550 | — | 2557 | — | 1620 | 60 | 3033 | 40 | — | — |
| მონისიავენი. . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| სხვა და სხვა პირნი და დაწესებულ. | 48 | — | 1187 | — | 751 | — | 813 | — | 1337 | 50 | 1603 | — | 668 | — | 2072 | 50 |
| საპაიო თანხა . . | — | — | 2493 | — | 10 | — | 246 | 58 | 10 | — | 266 | 58 | — | — | 2749 | 58 |
| სავაჭრო ხარჯები . | — | — | 273 | — | 11 | — | 180 | — | 117 | 89 | 358 | 50 | 117 | 89 | 631 | 50 |
| ქონება . . . . | 2007 | — | — | — | 322 | — | 6 | — | 322 | — | 18 | — | 2311 | — | — | — |
| ძირითადი, სათადარიგო და სხვა თანხები . . . | — | — | 474 | — | 299 | 58 | 580 | — | 299 | 58 | 581 | 20 | — | — | 755 | 62 |
| მოგება და ზარალი | — | — | 610 | — | 610 | — | — | — | 610 | — | — | — | — | — | — | — |
| ბალანსი . . | 5037 | — | 5037 | — | 5283 | 58 | 5283 | 58 | 7549 | 17 | 7549 | 17 | 6209 | 20 | 6209 | 20 |

## ცნობები წევრთა რიცხვისა და საპაიო თანხის შესახებ.

| | რიცხ. წევრ. | თანხის რაოდენობა |
|---|---|---|
| წლის დასაწყისს ირიცხებოდა კოოპერატივში. . | 249 | 2493 |
| საანგარიშო თვეში შემოვიდა „—" წევრი თანხით მან. — | | |
| ამავე თვეში მიიმატეს პაიები „248" წევრმა . . მან. 246 | | |
| ს ულ მან. 246 | | |
| წლის დასაწყისიდან შემოვიდა კოოპერატივში . . | 2 | 20 |
| „248" წევრმა მიიმატე პაიები . . . . . | — | 246 |
| ს უ ლ . | 251 | 2759 |

| უნდა დაუბრუნდეს წევრებს: | წევრ. რიცხ. | თანხის რაოდენობა |
|---|---|---|
| რომლებმაც საანგარ. თვეში განაცხადეს კოოპერატივიდან გასვლის სურვილი „1" მან. 10 | | |
| რომლებმაც საანგ. თვეში განაცხადეს პაიების რიცხვის შემცირების სურვილი „—" მან — | | |
| ს უ ლ მან. 10 | | |
| რომლებმაც წლის დასაწყისიდან განაცხადეს კოოპერატივიდან გასვლის სურვილი . . . . . . | 1 | 10 |
| რომლებმაც წლის დასაწყისში განაცხადეს პაიების რიცხვის შემც. სურვილი — „ წევრ . . . . | — | — |
| 19 8 წლის თებერვალში გ და კოოპერატივში. . | 250 | 2749 |
| ს უ ლ . . | 251 | 2759 |

## ს ა ვ ა ჭ რ ო ხ ა რ ჯ ე ბ ი.

| | ამ თვეს | | წლის დასაწყ. | |
|---|---|---|---|---|
| შენობის ქირა . . . | — | — | — | |
| შენობის შეკეთება . . | — | — | 1 | — |
| ჯამაგირი მოსამსახურეთ . | — | — | 25 | — |
| სანოვაგე მოსამსახურეთ . | — | — | — | — |
| სასყიდელი გამგეობის და სარევიზიო კომ. წევრებს . | — | — | 5 | — |
| საზოგ საქმეების გამო მგზავრობა . . | — | — | — | — |
| გათბობა და განათება. . | — | — | — | — |
| თამბაქოს პატენტი . . | — | — | 8 | — |
| ფოსტა-ტელეგრაფის და საგერბო ხარჯები . . | — | | — | 29 |
| ქონების და საქონლ. დაზღვევა | — | — | 12 | — |
| უძრავ ქონების დაზღვევა . | — | — | — | — |
| დავთრები, ბლანკები და სხვა საკანც. ხარჯები . | — | — | 2 | — |
| წლიური ანგარიშების დაბეჭდ. | — | — | — | — |
| საქონლის მოტანის ხარჯები. | — | — | 15 | — |
| საზოგადო კრებების ხარჯები | — | — | — | — |

| | ამ თვეს | | წლის დასაწყ. | |
|---|---|---|---|---|
| ჟურნალ-გაზეთების და სხვა კოოპერ. გამოცემათა გამოწ. | — | — | — | — |
| კულტურულ-განმანათლებელ მიზნით დახარჯული . | — | — | — | — |
| საქონლის შესახვევ-შესაკ. მას. | — | — | — | — |
| გაფუჭებული და დაწუნებული საქონელი . . | — | — | 1 | — |
| ფასდაკლებული დათმობით გაყიდული საქონელი | — | — | — | — |
| სარგებელი ნასესხზე და მობარებულ ფულზე . . | 5 | — | 5 | — |
| ქონების გაბათილება . . | 6 | — | 6 | — |
| წვრილი ხარჯები | — | — | — | — |
| შემთხვევითი ზარალი . . | — | — | 37 | 60 |
| ნოქართან ხელშეკრულობის ფარგლებში დაკლებ. საქონ. | — | — | — | — |
| ს უ ლ . . | 11 | — | 11 | 89 |

# ბალანსი

(ქონებისა და თანხების მდგომარეობა)

1915 წლის 1-ლ მარტისთვის

**აქტივი**

(ნაღდი და გაცემული)

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| ნაღდი ფული კასსაში . . | 78 | 91 |
| საკრედიტო დაწესებულებაში შენახული . . . . . | 68 | — |
| სარგებლიანი ქაღალდები . . | — | — |
| საპაიო თანხა კოოპერატივის კავშირში . . . . . | 250 | — |
| ავანსი კოოპერატივის კავშირში . | — | — |
| მოსკოვის სახალხო ბანკის აქციები. | — | — |
| სხვა დაწესებულებებში შეტანილი . | 350 | — |
| საქონელი გასასყიდი ფასით . . | 3033 | 40 |
| კოოპერატივისა მართებთ სხვა და სხვა პირებს . . . | — | — |
| ქონება . . . . . | 2311 | — |
| სავაჭრო ხარჯები . . . | 117 | 89 |
| ........................................ | | |
| ........................................ | | |
| ........................................ | | |
| წინა საანგარიშო წლის ზარალი . | | |
| ჯამი . . | 6209 | 20 |

**პასივი**

(თანხები და ვალი)

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| საპაიო თანხა . . . . . | 2749 | 58 |
| საწევრო გადასახადი . . | | |
| ძირითადი თანხა . . | 755 | 62 |
| სათადარიგო თანხა . . | | |
| კავშირიდან წამოღებული საქონლის ვალი . . . . | | |
| სხვა ფირმებისგან წამოღებული საქონლის ვალი . . | | |
| კოოპერატივის სხვა და სხვა ვალები . . . | 2072 | 50 |
| მობარებული წევრთაგან . | | |
| ნასესხი დაწესებულებათაგან . | | |
| „ კერძო პირებისაგან . | | |
| მსახურთა საწინდარი. . | | |
| მოგებაში ჩარიცხული . . | 631 | 50 |
| ........................................ | | |
| წინა წლების გაუნაწილებელი მოგება. . . . | | |
| ........................................ | | |
| ჯამი . . | 6209 | 20 |

გამგეობის თავმჯდომარე:

გამგეობის წევრნი: 1. 2.

ანგარიში შეადგინა:

სარევიზიო კომისიის წევრნი: 1. 2. 3.

## V. დამატებითი დამხმარე დავთრები.

**1. წევრთა საპაიო დავთარი.** ყოველ წევრს ამ დავთარში ეხსნება საკუთარი ანგარიში. თვითეულს ანგარიშს უჭირავს ერთი გვერდი, რომელიც საკმარისია 5-6 წლის განმავლობაში. თვითეულს ანგარიშს აქვს ექვსი უჯრა. პირველში იწერება კასსა-მემორიალის №-რი, რომლითაც ამ უკანასკნელში ჩაწერილია შემოსული საპაიო ფული; მეორეში იწერება შემოტანილი ან მოგებიდან ჩათვლილი საპაიო ფული, მესამეში-უკან გატანილი პაი და მეოთხეში-რამდენიც რჩება. საპაიო თანხაში ყოველ გვერდზე აღინიშნება წევრის გვარი, სახელი და მამის სახელი, აგრეთვე საცხოვრებელი ბინა და № წევრად ჩაწერისა რიგისამებრ.

წევრთა დავთარში იწერება წევრის მიერ შემოტანილი და აგრეთვე უკან გატანილი საპაიო ფული, რომელიც აღინიშნება კასსა-მემორიალის „საპაიო თანხის“ ანგარიშში. ამავე დავთარში იწერება სარგებელი პაიზე და ნავაჭრზე მიცემული საჩუქარი, რომელსაც წევრი კოოპერატივში სტოვებს. წევრთა დავთარში უეჭველად უნდა იწერებოდეს კასსა-მემორიალში ჩაწერის შემდეგ. აქვე იწერება საპაიო ფულის შემცირება, როდესაც კოოპერატივს ზარალი მოსდის და ეს ზარალი იფარება საპაიო ფულით.

წელიწადი რომ გათავდება და შევათავებთ კასა-მემორიალს, უნდა შეთავდეს ყველა დამხმარე დავთრები და მათ შორის წევრთა დავთარიც. შეთავება ამ დავთრისა გამოიხატება იმაში, რომ სათითაოდ უნდა გადათვალიერდეს ყველა წევრის ანგარიში და გამოირკვეს, თუ ვის რამდენი რჩება წლის ბოლოს საპაიო ფული. ამ მიზნით ყველა წევრის ანგარიშში ვადარებთ-რამდენი აქვს წევრს შემოტანილი, რამდენი აქვს გატანილი და, მაშასადამე, რამდენი რჩება საპაიო ფული. განსხვავება (ნაშთი) იწერება ბოლო უჯრაში „რჩება“, რომლის პირდაპირაც ფართე უჯრაში იწერება: „დარჩა 31 დეკემბრისათვის“. ამის შემდეგ გაისმის ხაზი და ხაზს ქვეშ ფართე უჯრაში დაიწერება: „1-ლ იანვრისათვის რჩება“, რომლის პირდაპირაც 31 დეკემბრისათვის დარჩენილი საპაიო ფულის რაოდენობა ბოლო უჯრიდან გადმოგვაქვს მეორე უჯრაში (იხილე ქვემოდ წევრთა დავთრის ნიმუში). ასე უნდა შეთავდეს ყველა წევრის ანგარიში.

## წევრთა დავთრის ნიმუში.

№ 250 ქაიხოსრო ივანეს ძე დაბრუნდაშვილი. სოფ. არაშენდა.

| კასსა-შემოსავლის №№-ბი | 1915 წ. | შემოტანილია და ჩათვლილია მოგებიდან | | გატანილია | | რ ჩ ე ბ ა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მამ. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| 1 | 3 იანვარს შემოიტანა სასპაიო ფული . | 10 | — | — | — | — | — |
| 67 | ჩაეწერა სასპაიო ფულში დივიდენდი და პრემია ნავაჭრზე . . . | 3 | — | — | — | — | — |
| | 31 დეკემბრისათვის დარჩა . | — | — | — | — | 13 | — |
| | **1916 წ.** | | | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის რჩება . . | 13 | — | — | — | — | — |

№ 251 პეტრე მოსეს ძე ქინქარაული. სოფ. არაშენდა.

| კასსა-შემოსავლის №№-ბი | 1915 წ. | შემოტანილია და ჩათვლილია მოგებიდან | | გატანილია | | რ ჩ ე ბ ა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| 3 | 3 იანვარს შემოიტანა სასპაიო ფული . | 10 | — | — | — | — | — |
| 57 | 1 თებერვალს გაიტანა სასპაიო ფულიდან | — | — | 10 | — | — | — |
| 67 | ჩაეწერა სასპაიო ფულში % და პრემია ნავაჭრზე. . . . . | 4 | 20 | — | — | — | — |
| | 31 დეკემბრისათვის დარჩა . | — | — | — | — | 4 | 20 |
| | **1916 წ.** | | | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის რჩება . . | 4 | 20 | — | — | — | — |

№ 252 ბართლომე ივანეს ძე შავგულაშვილი სოფ. არაშენდა.

| კასსა-შემოსავლის №№-ბი | 1914 წ. | შემოტანილია და ჩათვლილია მოგებიდან | | გატანილია | | რ ჩ ე ბ ა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | 1-ლ იანვრისათვის იყო . . . . | 30 | — | — | — | — | — |
| | სასპაიო ფულიდან ჩამოეწერა ხვედრი ნაწილი ზარალის დასაფარავად . . | — | — | 4 | — | — | — |
| | გაიტანა სასპაიო ფულიდან . | — | — | 26 | — | — | — |
| | ანგარიში გასწორებულია . . | 30 | — | 30 | — | — | — |

წევრთა დავთრის შეთავების შემდეგ ისე, როგორც ზემოდ გვქონდა ახსნილი და ნიმუშებშიაც არის გატარებული, ვადგენთ წევრთა სიას ცალკე თაბახ ქაღალდზე. გვარი და სახელის გარდა ამ სიაში ვწერთ,—რამდენი აქვს დარჩენილი თვითეულს წევრს საპაიო ფული, რომლის საერთო ჯამსაც ვადარებთ კასსა- მემორიალის „საპაიო თანხის“ ანგარიშს. წევრთა სიით მიღებული საპაიო თანხის ჯამი უნდა უდრიდეს კასსა-მემორიალის „საპაიო თანხის“ ანგარიშის ნაშთს. ამ ნაშთს ვიღებთ ამ გვარად: მარჯვენა უჯრის ჯამს (შემოვიდა) ვაკლებთ მარცხენა უჯრისას (დაუბრუნდათ). მიღებული ნაშთი უნდა უდრიდეს წევრთა სიის ჯამს. თუ ეს ჯამები არ ეთანხმებიან ერთმანეთს, შეცდომა გვექნება სადმე, როგორიც უნდა მოვსძებნოთ და გავასწოროთ.

**წევრთა საანგარიშო წიგნაკი.** ყოველ წევრს წესდების მე 15 მუხლის ძალით ეძლევა საანგარიშო წიგნაკი და წესდების ერთი ცალი. წევრთა საანგარიშო წიგნაკი წარმოადგენს თაბახ ქაღალდის ერთს მეოთხედს, რომელიც გაკრულია თხელს კარდონზე და მოკეცილია შუაზე ისე, რომ სუფთა, დასაწერი ადგილი მოქცეულია შიგნიდან. გარედან კარდონს გაეკვრის ფერადი ქაღალდი და წაეწერება წევრის გვარი, სახელი, მამის სახელი და №-რი. შიგნითი გვერდზე იწერება წევრის მიერ შეტანილი საპაიო ფული. აქვე იწერება წლის ბოლოს კოოპერატივის მოგებიდან მიცემული დივიდენდი პაიზე და პრემია ნავაჭრზე.

წევრთა საანგარიშო წიგნაკის ნიმუში.

| №№ კასსა-მემორიალ. | ქაიხოსრო ივანეს ძე დაბრუნდაშვილი № 250 | მიეცა მას | | შემოიტანა და ჩაეთვალა მოგებიდან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| 1 | 1915 წ. 3/I შემოიტანა საზოგადოებაში . . | — | — | 10 | — |
| 67 | „ 3/II ჩაეწერა საპაიო ფულში დივიდენდი და პრემია . . . . | — | — | 3 | — |
| | **ხაზინადარი** (ხელს აწერს) | | | | |

**2. ქონების დავთარი.** ქონების ანუ საინვენტარო დავთარი სწარმოებს ერთს გვერდზე (იხ. ნიმუში გვ. 48); შემოსული ქონება იწერება რიგისამებრ—ნაყიდი ქონება ჯერ იწერება კასსა-მემორიალში და შემდეგ გადაგვაქვს ქონების დავთარში. ამ უკანასკნელში იწერება წელიწადი, თვე, რიცხვი, ნომერი კასსამემორიალის მუხლისა, რომლითაც არის ჩაწერილი ნაყიდი ქონება, სახელწოდებს ქონებისა, რაოდენობა და ღირებულება. ქონების დავთრის უჯრების წარწერები თავის-თავად გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა ჩაიწეროს შემოსული ქონება, ამიტომ ახსნა-განმარტება ზედმეტად მიგვაჩნია. ქვემოდ მოგვყავს ქონების დავთრის ნიმუში, რომელშიაც ჩაწერილია სანიმუშოდ როგორც მოძრავი, აგრეთვე უძრავი ქონება.

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | | 7 | | 8 | | 9 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თვე | რიცხვი | კასსა-მე-მორიალის №№-ბი | სახელწოდება ქონებისა | რაოდენობა | ღირე-ბულება | | გამო-რიცხუ-ლია | | დააკლდა ღირებუ-ლებას | | რჩება | |
| | | | | | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| | | | **დარჩა 1915 წ. 1 იანვრისთვის.** | | | | | | | | | |
| | | | 1. ყაფაზები . . . . | 5 | 50 | — | — | — | 5 | — | 45 | — |
| | | | 2. შკაფი . . . . | 2 | 30 | — | — | — | 3 | — | 27 | — |
| | | | 3. სასწორი . . . . | 7 | 9 | — | 9 | — | — | — | — | — |
| | | | 4. სასწორი . . . . | 3 | 90 | — | — | — | 9 | — | 81 | — |
| | | | 5. ქილა . . . . | 1 | 1 | 50 | 1 | 50 | — | — | — | — |
| | | | 6. გირები 10 გ. . . . | 2 | 6 | — | — | — | — | 60 | 5 | 40 |
| | | | 7. „ 5 . . . | 3 | 7 | 50 | — | — | — | 75 | 6 | 75 |
| | | | 8. „ 3 . . . | 4 | 12 | — | — | — | 1 | 20 | 10 | 80 |
| | | | 9. „ 2 . . . | 5 | 12 | — | — | — | 1 | 20 | 10 | 80 |
| | | | 10. „ 1 . . . | 5 | 12 | — | — | — | 1 | 20 | 10 | 80 |
| | | | 11. „ ნახევარი . . . | 5 | 6 | — | — | — | — | 60 | 5 | 40 |
| | | | 12. „ მეოთხედი . . . | 5 | 6 | — | — | — | — | 60 | 5 | 40 |
| | | | 13. მაგიდა საკანტორო . . | 1 | 30 | — | — | — | 3 | — | 27 | — |
| | | | 14. საანგარიშო შჩოტი . . | 4 | 20 | — | — | — | 2 | — | 18 | — |
| | | | 15. წყლის ჭურჭელი . . | 1 | 1 | 50 | 1 | 50 | — | — | — | — |
| | | | 16. ფულის სკივრი . . . | 1 | 100 | — | — | — | 5 | — | 95 | — |
| | | | და სხვა . . . . | — | 1613 | 50 | 6 | — | 64 | 65 | 1542 | 85 |
| | | | | — | 2007 | — | 18 | — | 97 | 80 | 1891 | 20 |
| თებერვ. | 1 | 58 | ადგილი საწყობის ასაშენებლად . | — | 200 | — | — | — | — | — | 200 | — |
| „ | 1 | 59 | სასწორი დასადგმელი . . | 1 | 40 | — | — | — | 4 | — | 36 | — |
| „ | 1 | 60 | შკაფი . . . . . | 1 | 12 | — | — | — | 1 | 20 | 10 | 80 |
| „ | 1 | 61 | საწყობის ადგილის შემოსალობი . | — | 70 | — | — | — | 7 | — | 63 | — |
| | | | დანარჩენი ქონება . . . | — | 230 | — | — | — | 10 | -- | 220 | — |
| | | | სულ . . | — | 2559 | — | 18 | — | 120 | — | 2421 | — |
| | | | **დარჩა 1916 წ. 1 იანვრისათვის მოძრავი ქონება.** | | | | | | | | | |
| | | | 1. ყაფაზები . . . . | 5 | 45 | — | — | — | — | — | — | — |
| | | | 2. შკაფი . . . . | 2 | 27 | — | — | — | — | — | — | — |
| | | | 3. სასწორი . . . . | 3 | 81 | — | — | — | — | — | — | — |
| | | | 4. გირები 10 გ. . . . | 2 | 5 | 40 | — | — | — | — | — | — |
| | | | 5. „ 5 . . . | 3 | 6 | 75 | — | — | — | — | — | — |
| | | | 6. „ 3 . . . | 4 | 10 | 80 | — | — | — | — | — | — |
| | | | 7. „ 2 . . . | 5 | 10 | 80 | — | — | — | — | — | — |
| | | | 8. „ 1 . . . | 5 | 10 | 80 | — | — | — | — | — | — |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | | 7 | | 8 | | 9 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თვე | რიცხვი | კასსა-მემორიალის №№-ბი | სახელწოდება ქონებისა | რაოდენობა | ღირებულება | | გამორიცხულია | | დაკლება ღირებულებას | | რჩება | |
| | | | | | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| | | | 9. გირები ნახევარი გირვ. . . | 5 | 5 | 40 | — | — | — | — | — | — |
| | | | 10. „ მეოთხედი „ . . | 5 | 5 | 40 | — | — | — | — | — | — |
| | | | 11. მაგიდა საკანტორო . . | 1 | 27 | — | — | — | — | — | — | — |
| | | | 12. საანგარიშო შჩოტი . . | 4 | 18 | — | — | — | — | — | — | — |
| | | | 13. ფულის სკივრი . . | — | 95 | — | — | — | — | — | — | — |
| | | | 14. საწორი დასადგმელი . . | — | 36 | — | — | — | — | — | — | — |
| | | | 15. შკაფი . . . | — | 10 | 80 | — | — | — | — | — | — |
| | | | და სხვა. . . . | — | 1762 | 85 | — | — | — | — | — | — |
| | | | **უძრავი ქონება.** | | | | | | | | | |
| | | | 1. ადგილი საწყობისათვის. . | — | 200 | — | — | — | — | — | — | — |
| | | | 2. ამ ადგილის ღობე . . | — | 63 | — | — | — | — | — | — | — |
| | | | | — | 2421 | — | — | — | — | — | — | — |

ქონების დავთარში იწერება, თუ რა ცვლილება განიცადა ქონებამ. ცვლილება ქონებისა იქნება ამ გვარი: მოემატება—ახალი ქონების სყიდვით, გამორიცხება-როგორც უვარგისი, მოემატება ღირებულება შეკეთებით და, დაბოლოს, დაიკლებს ღირებულებას ხმარება-გაცვეთით.

შემოსული (მომატებული) ქონება ჩაიწერება ისევე, როგორც პირველად ნაყიდი ქონება; გამორიცხვა ქონებისა, როგორც უვარგისისა, აღინიშნება ქონების დავთრის მეშვიდე უჯრაში. ამ უჯრაში იწერება ღირებულება გამორიცხული ქონებისა იმის გასწვრივ, სადაც გამორიცხული ქონება სწერია. გამორიცხული ქონების ღირებულება, როგორც ზემოდაც გვქონდა ახსნილი, იწერება კასსა-მემორიალში ამ გვარად: პირველად ღირებულება იწერება „საერთო ბრუნვაში“, მეორედ „ქონების“ ანგარიშის მარჯვენა უჯრაში „გაყიდულია ანუ გაბათილებულია ქონება“ და მესამედ „ხარჯების და შემოსავლის“ მარცხენა უჯრაში „დახარჯულია“. (იხ. მუხ. 20 და 62 კას.-მემ. ნიმუშის). ქონების გაყიდვაც ისევე აღინიშნება ქონების დავთარში, როგორც გამორიცხული ქონება, ხოლო კასსა-მემორიალში იწერება სხვაფრივ. გაყიდული ქონების ღირებულება იწერება „საერთო ბრუნვაში“, „კასსის“ შემოსავალში და „ქონების“ მარჯვენა უჯრაში „გაყიდულია ანუ გაბათილებულია ქონება“ (იხ. 19 მუხ. კას.-მემ. ნიმ). თუ ქონება იმაზე ნაკლებად გაიყიდა, რაც მასში იყო მიცემული, კასსა-მემორიალში გაყიდულ ქონების ღირებულებას გავანაწილებთ „კასსისა“ და „ხარჯების და შემოსავლის“ ანგარიშებს შორის. ქონების გაყიდვით აღებულ ნაღდს ფულს ჩავწერთ „კასსის“ შემოსავალში, ხოლო ქონების პირვანდელ ღი-

რებულების და გაყიდვით აღებულ ფულის განსხვავებას გავატარებთ ,,ხარჯების და შემოსავლის'' ანგარიშში. (იხ. კას.-მემ. 19 და 20 მუხლები).

თუ ქონება გაფუჭებულია ან დაკარგულია ნოქრის დაუდევრობით და ამ ქონების ღირებულებას გამოვურიცხავთ ნოქარს საწინდრიდან, ქონების დავთარში აღვნიშნავთ ისევე, როგორც ზემოდ გვქონდა ნათქვამი, ხოლო კასსა-მემორიალში ვწერთ ბრუნვის შინაარსის უჯრაში ასე: ,,ნოქრის საწინდრიდან გამოკლებულია მისი დაუდევრობით დაკლებულ ქონების ღირებულება''. ქონების ღირებულება იწერება ,,ქონების'' ანგარიშის მარჯვენა უჯრაში და „სხვა და სხვა პირთა ანგარიშის'' მარცხენა უჯრაში. ესევე ბრუნვა გადაგვაქვს პირადი ანგარიშების დამხმარე დავთარში და ვწერთ ნოქრის პირადს ანგარიშში (იხ. მუხ. 18 კას.-მემ. ნიმ).

ქონების შეკეთება, თუ ეს უკანასკნელი მცირედია, არ იწერება ქონების დავთარში; თუ შეკეთებით ქონებას ღირებულება საგრძნობლად ემატება, შეკეთების ღირებულებას ვუმატებთ ქონებას.

ქონების ხმარების გამო დაკლებულს ღირებულებას ვწერთ წლის ბოლოს ქონების დავთრის მერვე უჯრაში. საზოგადოთ მიღებულია მოძრავი ქონების ღირებულებიდან გამოკლება (ღირებულების გაბათილება) ყოველ წლივ არა ნაკლებ ათი პროცენტისა, ხოლო უძრავ ქონების ღირებულებიდან—ორიდან ათ პროცენტამდე, იმის მიხედვით, თუ რა ქონებაა, რა მასალისაგან არის აშენებული და სხვა. ქონების ნაწილის გაბათილება იწერება კასსა-მემორიალშიაც. (იხ. კასსა-მემორ. 837 მუხლი).

დაბოლოს, ქონების დავთრის მეცხრე უჯრაში „რჩება“ იწერება, თუ რა ღირს წლის ბოლოს დარჩენილი ქონება სათითაოდ. თუ რომელიმე ქონება აღარა გვრჩება, დავთრის მეცხრე უჯრაში გაუსვამთ ხაზებს. შემდეგ ყველა უჯრებს ჩამოვუწერთ ჯამებს, რომლებსაც ვადარებთ კასსა-მემორიალის „ქონების“ ანგარიშის ჯამებს. ქონების დავთრის მეექვსე უჯრის ჯამი უნდა უდრიდეს კასსა-მემორიალის „ქონების“ ანგარიშის მარცხენა უჯრის (,,ნაყიდია ქონება'') ჯამს; ქონებისავე დავთრის მეშვიდე და მერვე უჯრის ჯამები ერთად უნდა უდრიდეს კასსა-მემორიალის ,,ქონების'' ანგარიშის მარჯვენა უჯრის ჯამს. აქედან ცხადია,—განსხვავება კასსა-მემორიალის ,,ქონების'' ანგარიშის დებეტისა და კრედიტის უნდა უდრიდეს ქონების დავთრის მეცხრე უჯრის ჯამს.

მეორე წლისათვის დარჩენილს ქონებას ხელ-ახლად ჩამოვწერთ ქონების დავთარში ახალ გვერდზე, მეექვსე უჯრაში ყოველ ქონებას ჩავუწერთ ღირებულებას იმდენს, რამდენიც გვიწერია წინა წლის სიაში სათითაოდ დარჩენილ ქონების ფასი მეცხრე უჯრაში „რჩება“.

3. **საპირადო ანგარიშების დავთარი.** ამ დავთარში ვწერთ იმ პირთა და დაწესებულებათა ანგარიშებს, რომლებთანაც კოოპერატივს დამოკიდებულება აქვს. საპირადო ანგარიშების დავთარში სათითაოდ ვუხსნით ანგარიშს-კერძო ვაჭრებს, რომლებისგანაც ნისიად მოგვაქვს საქონელი; კერძო პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც კოოპერატივი მისცემს სესხად ან მიაბარებს ფულს შესანახად. ამავე დავთარში ვუხსნით ანგარიშს ნოქარს, მდგომარე წლის მიერ მომავალ წლის ანგარიშში გაწეულს ხარჯებს და სხვა.

თვითეულ ანგარიშს პირად ანგარიშების დავთარში ეთმობა ერთი ან რამ-

დენიმე გვერდი, იმისდა მიხედვით, თუ რა ზომის დამოკიდებულება ექნება კოოპერატივს იმ პირთან ან დაწესებულებასთან, რომელსაც გახსნილი აქვს ანგარიში. რადგანაც ანგარიშები გაფანტული იქნება მთელს დავთარში და, რომ ადვილი იყოს ამა-თუ-იმ ანგარიშის მოძებნა, დავთარს თავში უნდა ჩაერთვას სარჩევი, რომელშიაც იქნება მოხსენებული სახელწოდება ანგარიშისა და დავთრის გვერდი, რომელზედაც არის ეს ანგარიში.

ქვემოდ მოგვყავს რამდენიმე ნიმუში საპირადო ანგარიშებისა პირად ანგარიშების დავთარში ვაჭრისათვის გახსნილ ანგარიშისა.

## ნიმუში 1.

| №№ კასსა-მემორიალ. | ანგარიში ვაჭარი მ. თ. გველესიანისა | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | 1915 წ. 1-ლ იანვრისათვის დარჩა ვალი. | — | — | 250 | — |
| 23 | 4 იანვარს მივიღეთ საქონელი ნისიად ანგარიში № 2 | — | — | 100 | — |
| 25 | 5 იანვარს მიეცა მას ნისია | 100 | — | — | — |
| 33 | 20 „ მივიღეთ საქონელი ანგარიშით № 5 | — | — | 250 | — |
| 35 | 20 „ მიეცა მას ნისია | 300 | — | — | — |
| 36 | 20 „ მიეცა მას უკან დაბრუნებული საქონელით ანგარიში № 5 | 10 | — | — | — |
| | | 410 | — | 600 | — |
| | 31 დეკემბერს დარჩა ვალი | 190 | — | — | — |
| | | 600 | — | 600 | — |
| | 1916 წ. | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის ვალი იყო | — | — | 190 | — |

## ნიმუში 2.

| №№ კასსა-მემორიალ. | ანგარიში ვაჭარი პ. ი. ძეგველოვისა | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | 1915 წ. | | | | |
| 28 | 10 იანვარს გაეგზავნა საქონლის ბედ | 25 | — | — | — |
| 32 | 15 „ მიეცა დადებული ფასი საქონელზე ანგარიშით № 4 | 125 | — | — | — |
| 32 | 15 იანვარს მოვიდა საქონელი ანგარიშით № 4 | — | — | 150 | — |
| | ანგარიში გასწორებულია | 150 | — | 150 | — |

კოოპერატივის მიერ სესხად აღებულ ფულის ანგარიში.

ნიმუში 3.

| №№ კასსა-მემორიალ. | ა. ი. კასრაძისაგან სესხად აღებულ ფულის ანგარიში. ფული ნასესხია უვადოთ; $^0/_0{}^0/_0$-6,5 | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| 831 | 1915 წ. 1-ლ იანვარისათვის დარჩა ვალი . | — | — | 750 | — |
| | 31 დეკემბერს მიეთვალა ნასესხზე გასული წლის სარგებელი . . . . . | — | — | 48 | 50 |
| | 31 დეკემბრისათვის ვალი იყო . . | 798 | 50 | — | — |
| | | 798 | 50 | 798 | 50 |
| | 1916 წ. | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის დარჩა ვალი . . | — | — | 798 | 50 |

კოოპერატივში შესანახად მობარებულ ფულის ანგარიში.

ნიმუში 4.

| №№ კასსა-მემორიალ. | გ. პ. ართმელაძის მიერ შესანახად მობარებული ფულის ანგარიში. ფული მობარებულია უვადოთ 5% | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | 1915 წ. 1-ლ იანვრისთვის დარჩა . . | — | — | 100 | — |
| 7 | 3 იანვარს შემოვიდა მისგან შესანახად მობარებული ფული . . . . . | — | — | 50 | — |
| 831 | 31 დეკემბერს მიეთვალა სარგებელი შესანახად მობარებულს ფულს . . | — | — | 7 | 50 |
| | 31 დეკემბრისთვის იყო შესანახად მობარებული . . . . | 157 | 50 | — | — |
| | | 157 | 50 | 157 | 50 |
| | 1916 წ. | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის დარჩა შესანახად მობარებული ფული . . . . | — | — | 157 | 50 |

ნოქრის საწინდრის ანგარიში.

ნიმუში 5.

| №№ კასსა-მემორიალ. | ნოქ. ივ. ბ. ბერიძის მიერ შემოტანილ საწინდრის ანგარიში. | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | 1915 წ. 1-ლ იანვრისათვის დარჩა საწინდარი. | — | — | 62 | — |
| 8 | 3 იანვარს შემოვიდა საწინდარი კიდევ. . | — | — | 10 | — |
| 831 | 31 დეკემბერს მიეთვალა საწინდარზე სარგებელი | — | — | 3 | — |
| | 31 დეკემბრისათვის იყო საწინდარი . | 75 | — | — | — |
| | | 75 | — | 75 | — |
| | 1916 წ. 1-ლ იანვრისათვის დარჩა საწინდარი . | — | — | 75 | — |

კოოპერატივის მიერ საკრედიტო დაწესებულებაში შესანახად მიბარებული ფულის ანგარიში.

ნიმუში 6.

| №№ კასსა-მემორიალ. | არაშენდის საკრედიტო ამხანაგობაში შესანახად მიბარებულ ფულის ანგარიში. | მიეცა მას. (შეტანილია) | | შემოვიდა მისგან. (გამოტანილია) | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | 1915 წ. 1-ლ იანვრისათვის იყო შესანახად შეტანილი ფული . . . . . | 48 | — | — | — |
| 9 | 3 იანვარს გამოვიტანეთ საკრ. ამხან. შესანახად მობარებული ფულიდან . . . | — | — | 30 | — |
| 56 | 3 თებერვალს შევიტანეთ საკრედიტო ამხ. შესანახად . . . . . . . | 50 | — | — | — |
| 832 | 31 დეკემბერს საკრედიტო ამხ. შესანახად მიბარებულ ფულზე მიათვალა სარგებელი . | 4 | — | — | — |
| | 31 დეკემბერს იყო შესანახად მიბარებული | — | — | 72 | — |
| | | 102 | — | 102 | — |
| | 1916 წ. 1-ლ იანვრისათვის დარჩა მიბარებული ფული. . . . . . | 72 | — | — | — |

კოოპერატივის მიერ კოოპერატივთა კავშირში შეტანილ საპაიო ფულის ანგარიში.

ნიმუში 7.

| №№ კასსა-შემოსავ. | მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის პაის ანგარიში | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | 1915 წ. | | | | |
| 55 | 1 თებერვალს შეტანილია კოოპერატივის მიერ მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის საპაიო ფულში . . . . | 250 | — | — | — |
| | 31 დეკემბრისათვის იყო საპაიო ფული . | — | — | 250 | — |
| | | 250 | — | 250 | — |
| | 1916 წ. | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის დარჩა საპაიო ფული . | 250 | — | — | — |

ზემოდ მოყვანილი პირადი ანგარიშების ნიმუშები თითქმის ყველა მომხმარებელ კოოპერატივისათვის აუცილებელია. ამ ანგარიშებს გარდა კოოპერატივს ექნება შემთხვევითი პირადი ანგარიშები, რომლების ნიმუშებიც აქვე მოგვყავს.

ნიმუში 8.

| №№ კასსა-შემოსავ. | ხელოსან გ. მ. დვალიშვილის ანგარიში | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | 1915 წ. | | | | |
| 60 | 3 თებერვ. ვიყიდეთ ნისიად დვალიშვილისაგან შკაფი . . . . . . | — | — | 12 | — |
| | 31 დეკემბ. საზოგადოებას ემართა შკაფის ფული . . . . . | 12 | — | — | — |
| | | 12 | — | 12 | — |
| | 1916 წ. | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის ჭარჩა საზოგ. ვალი . | — | — | 12 | — |

წლის ტამლევს დავთრების შეთავების და წლიური ანგარიშის შედგენის დროს, საჭიროა რამდენიმე პირადი ანგარიშის გახსნა. მოგვყავს ამ ანგარიშების ნიმუშებიც.

ნიმუში. 9.

| №№ კასსა-მემორიალ. | ნოქარ ი. მ. ხუხიშვილის გასული წლის დარჩენილ ჯამაგირის ანგარიში | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | **1915 წ.** | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის დარჩა მიუცემელი ჯამაგირი . . . . . . . | — | — | 25 | — |
| 49 | 1-ლ თებერვალს მიეცა სუხიშვილს 1914 წ. დეკემბრის დარჩენილი ჯამაგირი . . | 25 | — | — | — |
| | ანგარიში გასწორებულია . . | 25 | — | 25 | — |

ნიმუში 10.

| №№ კასსა-მემორიალ. | ნოქარ. ტ. მ. ოსიაშვილის დარჩენილ ჯამაგირის ანგარიში | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | **1915 წ.** | | | | |
| 833 | 31 დეკემბ. გადმოიწერა ოსიაშვილის მიერ ამა წლის დეკემბრის მიღებული ჯამაგირი . | — | — | 25 | — |
| | 31 დეკემბ. იყო დარჩენილი ჯამაგირი . | 25 | — | — | — |
| | | 25 | — | 25 | — |
| | **1916 წ.** | | | | |
| 2 | 1-ლ იანვრისათვის დარჩა მიუცემელი ჯამაგირი | — | — | 25 | — |
| | 3 იანვარს მიცა ოსიაშვილს გასულ წლის დეკემბრის ჯამაგირი . . . . | 25 | — | — | — |
| | ანგარიში გასწორებულია . . | 25 | — | 25 | — |

## ნიმუში 11.

| №№ კასსა-მემორიალ. | 1915 წ. მიერ 1916 წლის გაწეულ ხარჯების ანგარიში. | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | 1615 წ. | | | | |
| 834 | 31 დეკემ. გადმოიწერა წინდაწინ მიცემული საწყობის ქირა . . . . . | 30 | — | — | — |
| | 1916 წ. | | | | |
| 1 | 1-ლ იანვრისთვის 1916 წ. საწყობის ქირა მიცემული იყო . . . . . | 30 | — | — | — |
| | 3 იანვ. გადაიწერა 1916 წ. ხარჯებში საწყობის ქირა . . . . . | — | — | 30 | — |
| | ანგარიში გასწორებულია . . | 30 | — | 30 | — |

## ნიმუში 12.

| №№ კასსა-მემორიალ. | 1915 წ. მიერ საქონლის მოტანაში გაწეულ ხარჯების ანგარიში | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| 835 | 31 დეკემბ. გადმოიწერა პირადს ანგარიშებში 1916 წლისათვის მაღაზიაში დარჩენილ საქონლის ხვედრი მოსატანი ხარჯი . | 40 | — | — | — |
| | 1916 წ. | | | | |
| 1 | 3 იანვარს გადაიწერა 1916 წ. ხარჯებში წინა წლიდან დარჩენილ საქონლის მოსატანი ხარჯი . . . . . | — | — | 40 | — |
| | ანგარიში გასწორებულია . . . | 40 | — | 40 | — |

## ნიმუში 13.

| №№ კასსა-მემორიალ. | დაუხარჯავ საქონლის შესახვევი ქაღალდის, ქაღალდის პარკების და სხ. შესახვევ მასალის ანგარიში | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | **1915 წ.** | | | | |
| 836 | 31 დეკემბერს გადმოიწერა პირადს ანგარიშებში 1915 წელს ნაყიდი და 1916 წლისათვის დარჩენილ საქონლის შესახვევ მასალის ფასი . . . . . . | 10 | — | — | — |
| | **1916 წ.** | | | | |
| 1 | 3 იანვარს გადაიწერა 1916 წ. ხარჯებში წინა წლიდან გადმოსულ შესახვევ მასალის ფასი | — | — | 10 | — |
| | ანგარიში გასწორებულია . . . | 10 | — | 10 | — |

## ნიმუში 14.

| №№ კასსა-მემორიალ. | პასუხის მგებელ ნოქრის ანგარიში | მიეცა მას | | შემოვიდა მისგან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | **1915 წ.** | | | | |
| 839 | 31 დეკემბერს დაეწერა ნოქარს ზომაზე მეტი დანაკლისი საქონლისა. . . . | 50 | — | — | — |

წლის დამლევს უნდა შეთავდეს პირადი ანგარიშების დავთარი. თუ როგორ უნდა შეთავდეს თვითეული პირადი ანგარიში, ამის ახსნა ზედმეტად მიგვაჩნია, რადგანაც ზემოდ მოყვანილი ნიმუშებიდან მკითხველი ადვილად გაეცნობა პირადი დავთრის ანგარიშების შეთავების წესს. როდესაც ყველა ანგარიში შეთავდება, ანუ დაიხურება, შეიკვრება, უნდა შესდგეს აღმოწერა, რომლის ნიმუშიც აქვე მოგვყავს.

| ანგარიშთა სახელწოდება | კოოპერატივისა მართებთ (დებიტორები) | | კოოპერატივს მართებს (კრედიტორები) | |
|---|---|---|---|---|
| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| ანგარიში გველესიანისა | — | — | 190 | — |
| „ კასრაძესი | — | — | 798 | 50 |
| „ ართმელაძისა | — | — | 157 | 50 |
| „ ბერიძისა | — | — | 75 | — |
| „ საკრედიტო ამხანაგობისა | 72 | — | — | — |
| „ კოოპერატივთა კავშირისა | 250 | — | — | — |
| „ დვალიშვილისა | — | — | 12 | — |
| „ ოსიაშვილისა | — | — | 25 | — |
| „ 1916 წ. ხარჯების | 30 | — | — | — |
| „ „ „ | 40 | — | — | — |
| „ „ „ | 10 | — | — | — |
| „ პასუხის მგებელ ნოქრისა | 50 | — | — | — |
| „ დანარჩენი | — | — | 461 | — |
| | 452 | — | 1719 | — |

ამ სიის ჯამები გვიჩვენებენ:—პირველი ჯამი, თუ რამდენი ევალებათ კოოპერატივისა და მეორე-რამდენი მართებს თვით კოოპერატივს. ამავე სიით მიღებული ჯამები უნდა შევადაროთ კასსა-მემორიალის ,,სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა'' ანგარიშის ჯამებს ამ გვარად: სიის მარცხენა უჯრის ჯამი უნდა მიემატოს კასსა-მემორიალს „სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა“ ანგარიშის მარჯვენა უჯრის ჯამს, ხოლო სიის მარჯვენა უჯრის ჯამი უნდა მიემატოს კასსა-მემორიალის ,,სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა'' ანგარიშის მარცხენა უჯრის ჯამს. ამის შემდეგ ორივე უჯრა კასსა-მემორიალში ამ ანგარიშისა უნდა გათანასწორდეს, ანუ ბალანსი უნდა მივიღოთ: თუ ასეთი თანასწორობა არ გამოდის, შეცდომა იქნება სადმე, რომელიც უნდა მოიძებნოს.

### 4. საწევრო გადასახადის, სათადარიგო და სხვა თანხების დავთარი.

ზემოდ ჩამოთვლილი დამხმარე დავთრები აუცილებელია ახლად დაარსებულ მომხმარებელ კოოპერატივისათვის. როდესაც კოოპერატივი გაფართოვდება და დაიარსებს სათადარიგო და სხვა თანხებს, საჭირო იქნება ამ თანხებისათვის ცალკე დამხმარე დავთარი. ამ დავთრისათვის საკმარისია 20-30 გვერდიანი დავთარი, რომელშიაც თვითეულს თანხას გაეხსნება სათითაოდ ანგარიში ისევე, როგორც საპირადო დავთარში. აქვე მოგვყავს ამ დავთრის ანგარიშების ნიმუშები.

## ნიმუში 1.

| №№ კასს-მემორიალ. | სათადარიგო თანხის ანგარიში | გაიცა | | შემოვიდა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | **1915 წ.** | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის იყო სათადარიგო თანხა . | — | — | 219 | — |
| 2—3 | 3 იანვარს შემოვიდა წესდების და საწევრო წიგნაკების ფული . . . . | — | — | — | 20 |
| 63 | 1 თებერვალს სათადარიგო თანხაში გადმოიწერა გასული წლის მოგებიდან . . | — | — | 120 | — |
| | დანარჩენ თვეებში შემოვიდა . . . | — | — | 5 | — |
| | 31 დეკემბრისთვის იყო . . . | 344 | 20 | — | — |
| | | 344 | 20 | 344 | 20 |
| | **1916 წ.** | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის დარჩა სათადარიგო თანხა | — | — | 344 | 20 |

## ნიმუში 2.

| №№ კასს-მემორიალ. | საწევრო გადასახადის ანგარიში | გაიცა | | შემოვიდა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | **1915 წ.** | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის იყო ჩასაწერი გადასახადი | — | — | 205 | — |
| 2—3 | 3 იანვარს შემოვიდა ჩასაწერი გადასახადი ორი წევრისა . . . . . | — | — | 1 | — |
| | 31 დეკემბრისათვის იყო . . . | 206 | — | — | — |
| | | 206 | — | 206 | — |
| | **1916 წ.** | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის დარჩა ჩასაწერი გადასახადი | — | — | 206 | — |

## ნიმუში 3.

| №№ კასსა-მემორიალ. | საგანმანათლებლო მიზნით გადადებული თანხის ანგარიში. | გაიცა | | შემოვიდა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | **1915 წ.** | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის იყო სამკითხველოს თანხა | — | — | 50 | — |
| 63 | 1 თებერვალს გადმოიწერა გასული წლის მოგებიდან . . . . | — | — | 50 | — |
| 66 | 3 „ მიეცა საკოოპერაციო ჟურნალის გამოსაწერი . . . . . | 10 | — | — | — |
| | 31 დეკემბრისთვის იყო . . . | 90 | — | — | — |
| | | 100 | — | 100 | — |
| | **1916 წ.** | | | | |
| | 1-ლ იანვრისთვის დარჩა . . . | — | — | 90 | — |

## ნიმუში 4.

| №№ კასსა-მემორიალ. | ძირითადი თანხის ანგარიში | გაიცა | | შემოვიდა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | **1915 წ.** | | | | |
| 63 | 1 თებერვალს გადმოიწერა გასული წლის მოგებიდან . . . . . | — | — | 60 | — |
| | 31 დეკემბრისათვის იყო . . . | 60 | — | — | — |
| | | 60 | — | 60 | — |
| | **1916 წ.** | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის დარჩა . . . | — | — | 60 | — |

ნიმუში 5.

| №№ კასსა-მემორიალ. | | გარდამავალი თანხის ანგარიში | გაიცა მან. | გაიცა კაპ. | შემოვიდა მან. | შემოვიდა კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 63 | 1 თებერვალს | გადმოიწერა მოგებიდან დივიდენდათ პაიებზე . . . | — | — | 149 | 58 |
| 63 | 1 „ | პრემიად ნავაჭრზე . . | — | — | 100 | — |
| 63 | 1 „ | საჩუქრად გამგეობის წევრთ . | — | — | 40 | — |
| 64 | 3 „ | მიეცა წევრს მოდებაძეს დივიდენდი და პრემია . . | 2 | — | — | — |
| 65 | 3 „ | მიეცა წევრს ივანაშვილს დივიდენდი და პრემია . . | 1 | — | — | — |
| 67 | 3 „ | გადაირიცხა საპაიო თანხაში დივიდენდი და პრემია, რომელიც წევრებმა არ მიიღეს ხელში . | 206 | 58 | — | — |
| 68 | 3 „ | არა წევრთა პრემია გადაიწერა საპაიო თანხაში . . | 40 | — | — | — |
| 69 | 3 „ | მიეცა გამგეობის წევრთ მათთვის გადადებული საჩუქარი | 40 | — | — | — |
| | | ანგარიში გასწორებულია . . | 289 | 58 | 289 | 58 |

ნიმუში 6.

| №№ კასსა-მემორიალ. | საკუთარ შენობის ასაშენებელი თანხის ანგარიში | გაიცა | | შემოვიდა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| | 1915 წ. | | | | |
| 63 | 1 თებერვალს გადმოიწერა მოგებიდან . . | — | — | 60 | 42 |
| | 31 დეკემბრისთვის იყო . . . | 60 | 42 | — | — |
| | | 60 | 42 | 60 | 42 |
| | 1916 წ. | | | | |
| | 1-ლ იანვრისათვის რჩება . . | — | — | 60 | 42 |

როგორც ზემოდ მოყვანილ ნიმუშებიდან სჩანს, ყოველ ანგარიშის მარჯვენა უჯრაში იწერება ამ ანგარიშის შემოსავალი, ხოლო მარცხენაში გასავალი. შეთავება, როგორც ამ დამხმარე დავთრისა, აგრეთვე კასსა-მემორიალის ,,საწევრო გადასახადის, სათადარიგო და სხვა თანხების" ანგარიშისა ხდება ისევე, როგორც საპირადო ანგარიშების დავთრის და კასსა-მემორიალის ,,სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა" ანგარიშისა.

## VI. კასსა-მემორიალის წლიური შეთავება

წლის დამლევს ჩვეულებრივ ბრუნვების გარდა კასსა-მემორიალში და დამხმარე დავთრებში ვწერთ რამდენიმე ბრუნვას. ეს ბრუნვები შემდეგია: კოოპერატივში შემოსულ ნასესხზე, შესანახად მობარებულ ფულზე და ნოქრის საწინდარზე ვათვლით ხვედრ სარგებელს. სარგებლის მითვლა იწერება ჯერ პირადი ანგარიშების დავთარში სათითაოდ პირადი ანგარიშების მარჯვენა უჯრაში. შემდეგ ყველა მითვლილი სარგებელი ერთ მუხლად გადაგვაქვს კასსა-მემორიალის ,,ხარჯების და შემოსავლის" მარცხენა უჯრაში და ,,სხვა და სხვა პირების" ანგარიშის მარჯვენა უჯრაში. (იხ. 831 მუხ.).

კასსა-მემორიალში ერთ მუხლადვე იწერება სარგებელი, რომელიც მიათვალა

რომელიმე საკრედიტო დაწესებულებამ კოოპერატივის მიერ შეტანილს ფულზე (იხ. 832 მუხ.).

შემდეგ იწერება გადაუხდელი ხარჯები, რომლებიც უნდა გაეწია საანგარიშო წელს, მაგრამ რაიმე მიზეზით დარჩა გაუსტუმრებელი. ეს ხარჯები იწერება კასსა-მემორიალის ,,ხარჯების და შემოსავლის'' მარცხენა უჯრაში და ,,სხვა და სხვა პირთა'' ანგარიშის მარჯვენა უჯრაში (იხ. მუხ. 833). კასსა-მემორიალიდან ეს ბრუნვა გადიწერება პირადი ანგარიშების დავთარში (იხ. ზემოდ ნიმუში 10 საპირადო ანგარიშისა).

ამის შემდეგ უნდა ჩაიწეროს წინ და წინ საანგარიშო წლის მიერ მომავალ წლის ანგარიშში გაწეული ხარჯები, თუ, რასაკვირველია, ასეთი ხარჯები იქნება. ჩვენს მაგალითებში მოყვანილია საწყობის მომავალი წლის ქირა, რომელიც მისცა საანგარიშო წელიწადმა (იხ. 48 მუხლი). ეს ბრუნვაც უნდა გადაიწეროს საპირადო დავთარში (იხ. ზემოდ ნიმუში 11 საპირადო ანგარიშებისა). კასსა-მემორიალში ამ ბრუნვის ჯამს ვწერთ ,,ხარჯების და შემოსავლის'' მარჯვენა უჯრაში და ,,სხვა და სხვა პირების ანგარიშის'' მარცხენა უჯრაში (იხ. 834).

მომავალი წლის ხარჯებში უნდა გადიწეროს აგრეთვე კოოპერატივის საწყობში წლის ბოლოს დარჩენილი საქონლის ხვედრი მოსატანი ხარჯები. რადგანაც დარჩენილს საქონელს ,,გადავცემთ'' მომავალ წელს, რომელიც აიღებს მის (წლის ბოლოს დარჩენილ საქონლის) მოგებას, ამიტომ ამ საქონლის მოტანაში გაწეულს ხარჯებსაც მომავალ წელს ვაკუთნებთ. ასეთი გადაწერა ხარჯებისა უფრო სწორედ გვიჩვენებს საანგარიშო წლის ბრუნვათა შედეგს. ამ ხარჯების ჯამს ვწერთ კასსა-მემორიალის „ხარჯების და შემოსავლის'' მარჯვენა უჯრაში და „სხვა და სხვა პირების ანგარიშის'' მარცხენა უჯრაში (იხილე 835 მუხ.)

ასევე იწერება დარჩენილი შესახვევი მასალის (შესახვევი ქაღალდის, ქაღალდის პარკების, კანაფის ძაფის და სხვათა) ღირებულება (იხ. 836 მუხლი).

შემდეგ იწერება ქონების ღირებულების ნაწილის გაბათილება. ჯამი გაბათილებულ ქონების ღირებულებისა იწერება კასა-მემორიალის ,,ხარჯების და შემოსავლის'' მარცხენა უჯრაში და ,,ქონების'' ანგარიშის მარჯვენა უჯრაში (იხ. 837 მუხ.).

დასასრულ, როდესაც შევამოწმებთ დარჩენილს საქონელს და გავიგებთ ამ საქონლის ნაყიდობის და გასასყიდს ფასებს (იხილე ქვემოდ თავი: ,,საქონლის შემოწმება''), კასსა-მემორიალში ჩავწერთ ერთს ან ორს მუხლს იმის და მიხედვით, თუ როგორ შედეგს მივიღებთ საქონლის შემოწმების შემდეგ. თუ დანაკლისი საქონლისა არ აღემატება საზოგადოთ მიღებულ ზომას ($^1/_2$-1% მთელი წლის განმავლობაში გასული საქონლის ღირებულებისას), დაკლებულ საქონლის ღირებულებას გავატარებთ საქონლის დღიურში და კასსა-მემორიალში, როგორც დაღ-

ვრილს, დამშრალს, წონაში გადაყოლილს დანაკლისს. ღირებულება დანაკლისი საქონლისა იწერება კასსა-მემორიალის ,,ხარჯების და შემოსავლის'' მარცხენა და ,,საქონლის'' ანგარიშის მარჯვენა უჯრებში (იხ. მუხ. 838).

თუ საქონლის დანაკლისი აღემატება ზემოდ აღნიშნულ პროცენტს, ღირებულება დანაკლისი საქონლისა დაეწერება პასუხის მგებელ ნოქარს ან გამგეს. ჯამი დაკლებული საქონლის ღირებულებისა ამ შემთხვევაში ჩაიწერება კასსა-მემორიალის „საქონლის" ანგარიშის მარჯვენა და „სხვა და სხვა პირთა ანგარიშების" მარცხენა უჯრებში. (იხ. 839 მუხ.). კასსა-მემორიალიდან ეს ბრუნვა გადავგაქვს საპირადო ანგარიშების დავთარში (იხ. ზემოდ ნიმუში 14 პირადი ანგარიშებისა).

ამ ბრუნვების შემდეგ კასსა-მემორიალში ყველა ანგარიშებს ვუწერთ ჯამებს ჯერ დეკემბრისას და შემდეგ წლის დასაწყისიდან, როგორც ეს ზემოდ გვქონდა ახსნილი; შემდეგ ხელ ახლად კიდევ გადავხაზავთ კასსა-მემორიალს და ჩამოვწერთ ჯამებს მთელი წლისას წინა წლის ნაშთებით (იხ. კასსა-მემორ. ნიმუში).

ამის შემდეგ უნდა შევუდგეთ კასსა-მემორიალის ყველა ანგარიშების სათითაოდ შეთავებას და საბოლოვო ბალანსის შედგენას. (ვიმეორებთ, სანამ შევუდგებოდეთ კასსა-მემორიალის ანგარიშების შეკვრას, უნდა შევათაოთ დამხმარე დავთრები, რომლის ჯამებიც უნდა შეედაროს კასსა-მემორიალის სათანადო ანგარიშის ჯამებს).

## 1. კასსის ანგარიშის შეთავება.

კასსა-მემორიალის ანგარიშების შეთავებას ვიწყებთ „კასსის" ანგარიშიდან. ამ ანგარიშის მარცხენა უჯრის ჯამი გვიჩვენებს, თუ რამდენი შემოვიდა ფული მთელი წლის განმავლობაში, ხოლო მარჯვენა—რამდენი გავიდა. განსხვავება მარცხენა და მარჯვენა უჯრებისა გვიჩვენებს, თუ რამდენი რჩება ნაღდი ფული დახლში. ნაღდი ფული კასსის დღიურითაც იმდენივე უნდა გამოდიოდეს, რამდენიც კასსა-მემორიალის „კასსის" ანგარიშით. ნაღდი ფულის ჯამს ანუ განსხვავებას „კასსის" ანგარიშის მარცხენა და მარჯვენა უჯრებისას ვწერთ „საერთო ბრუნვაში", ,,კასსის'' ანგარიშის მარჯვენა უჯრაში და ,,ბალანსის'' სვეტის მარცხენა უჯრაში (აქტივში). ამის შემდეგ ,,კასსის'' ანგარიშის მარცხენა და მარჯვენა უჯრის ჯამები გათანასწორდებიან, ანუ ,,კასის'' ანგარიში შეთავდება (იხ. კას.-მემ. შეთავება მუხ. 1).

## 2. საქონლის ანგარიშის შეთავება.

შემდეგ უნდა შეთავდეს „საქონლის'' ანგარიში. ,,საქონლის'' ანგარიშის მთელი წლის ჯამები წინა წლის დანარჩენებით გვიჩვენებენ: მარცხენა უჯრის—რამდენისა იყო საქონელი გასასყიდი ფასით, მარჯვენისა—რამდენისა გავიდა საქონელი

(გაიყიდა, დაიხარჯა დუქნის საჭიროებისათვის, დააკლდა და სხვა) იმავე ფასებით. მარჯვენა უჯრის ჯამს უნდა მივუმატოთ დარჩენილი საქონელი გასასყიდი ფასით. ამის შემდეგ მარცხენა და მარჯვენა უჯრის ჯამები გათანასწორდებიან, ანუ ანგარიში შეთავდება. დარჩენილ საქონლის ღირებულება იწერება „საერთო ბრუნვაში" და „ბალანსის" სვეტის მარცხენა უჯრაში (აქტივში). (იხ. იქვე მუხ. 2).

### 3. სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა ანგარიშის შეთავება.

ამ ანგარიშის შეთავებამდე უნდა შეთავდეს სათითაოდ ყველა ანგარიში საპირადო ანგარიშების დავთარში და შესდგეს ანგარიშთა აღმოწერითი სია, როგორც ეს ზემოდ გვქონდა მოხსენებული საპირადო დამხმარე დავთრის წარმოების ახსნის დროს. აღმოწერითი სიის მარცხენა უჯრის ჯამი უნდა ჩავწეროთ კასსა-მემორიალში ჯერ „საერთო ბრუნვაში" შემდეგ „სხვა და სხვა პირთა და დაწესებ. ანგარიშის" მარჯვენა უჯრაში და „ბალანსის" სვეტის მარცხენა უჯრაში (აქტივში). იმავე სიის მარჯვენა უჯრის ჯამს ვწერთ „საერთო ბრუნვის" შემდეგ ჯერ „სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა ანგარიშის" მარცხენა უჯრაში და „ბალანსის" სვეტის მარჯვენა უჯრაში (პასსივში). (იხ. იქვე მუხ. 3, 4 და 5).

### 4. ხარჯების და შემოსავლის ანგარიშის შეთავება.

ამ ანგარიშის მარცხენა უჯრის ჯამი გვიჩვენებს, თუ რამდენია დახარჯული მთელი წლის განმავლობაში, ხოლო მარჯვენა უჯრისა—რამდენი იყო შემოსავალი. შეთავება ამ ანგარიშისა ასე ხდება: მარცხენა უჯრის ჯამს ჩვენს ნიმუშში **1178** მ. **39** კ. ვუმატებთ დარჩენილ საქონელზე დადებულს მოგებას **430** მ. = **1608** მ. **39** კ. შემდეგ მარჯვენა უჯრის ჯამს, ჩვენს ნიმუშში **2362** მ. **50** კ., რომელიც გვიჩვენებს მთლად საქონელზე დადებულს მოგებას და შემთხვევითი შემოსავალს მთელი წლის განმავლობაში, ვაკლებთ მარცხენა უჯრის ჯამს—**1608** მ. **39** კ., ნაშთი იქნება წმინდა მოგება საანგარიშო წლისა ჩვენს ნიმუშში **754** მ. **11** კ. ამ რიცხვს ვწერთ „ხარჯების და შემოსავლის" მარცხენა უჯრაში, რის შემდეგაც ეს ანგარიში შეთავდება. დარჩენილ საქონელზე დადებულ მოგებას ვწერთ „ბალანსის" სვეტის მარჯვენა უჯრაში (პასსივში). (იხ. იქვე მუხ. 6 და 7).

„ხარჯების და შემოსავლის" ანგარიშის მარცხენა უჯრა გვიჩვენებს მთელი წლის განმავლობაში კოოპერატივის მიერ გაწეულ ხარჯების საერთო ჯამს, რაიც საკმარისი არ არის, რადგანაც ძნელდება იმის გათვალისწინება, თუ კოოპერატივმა რა და რა ხარჯები გასწია წლის განმავლობაში. ამიტომ კარგი იქნება კოოპერატივის ხარჯი თითო თვისა ერთად ჩამოიწეროს ცალკე ხარჯების ცხრილში, რომლის ნიმუშიც აქვე მოგვყავს (იხ. გვ. **66—67**).

| სახელწოდება ხარჯებისა | გადადებულია ხარჯთ-აღრიცხვით | | 1915 წ. სავაჭრო | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | იანვარი | | თებერვალი | | მარტი | | აპრილი | |
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 1. შენობის ქირა | 50 | — | — | — | — | — | | | | |
| 2. შენობის შეკეთება | 50 | — | 1 | — | — | — | | | | |
| 3. ჯამაგირი მოსამსახურეთ | 500 | — | 25 | — | — | — | | | | |
| 4. სანოვაგე მოსამსახურეთ | 30 | — | — | — | — | — | | | | |
| 5. სასყიდელი გამგეობის და სარევიზიო კომ. წევრებს | 220 | — | 5 | — | — | — | | | | |
| 6. საზოგადო საქმეების გამო მოგზაურობა | 100 | — | — | — | — | — | | | | |
| 7. გათბობა და განათება | 10 | — | — | — | — | — | | | | |
| 8. თამბაქოს პატენტი | 8 | — | 8 | — | — | — | | | | |
| 9. ფოსტა-ტელეგრაფის და საგერბო ხარჯები | 30 | — | — | 29 | — | — | | | | |
| 10. ქონებისა და საქონლის დაზღვევა | 20 | — | 12 | — | — | — | | | | |
| 11. უძრავი ქონების დაზღვევა | 12 | — | — | — | — | — | | | | |
| 12. დავთრები, ბლანკ. და სხვა საკანც. ხარჯები | 20 | — | 2 | — | — | — | | | | |
| 13. წლიური ანგარიშების დაბეჭდვა | 50 | — | — | — | — | — | | | | |
| 14. საქონლის მოტანის ხარჯები | 100 | — | 15 | — | — | — | | | | |
| 15. საზოგადო კრებების ხარჯები | 50 | — | — | — | — | — | დანარჩენ თვეებ | | | |
| 16. ჟურნალ-გაზეთების და სხვა კოოპ. გამოც. გამოწერა | 50 | — | — | — | — | — | | | | |
| 17. კულტურულ-განმანათლ. მიზნით დახარჯული | 100 | — | — | — | — | — | | | | |
| 18. საქონლის შესახვევ-შესაკრავი მასალა | 50 | — | — | — | — | — | | | | |
| 19. წამხდარი და დაწუნებული საქონელი | 50 | — | 1 | — | — | — | | | | |
| 20. ფასდაკლებული და დათმობით გაყიდ. საქონელი | 20 | — | — | — | — | — | | | | |
| 21. სარგებელი ნასესხზე და მობარ. ფულზე | 100 | — | — | — | 5 | — | | | | |
| 22. ქონების გაბათილება | 150 | — | — | — | 6 | — | | | | |
| 23. წვრილი ხარჯები | 20 | — | — | — | — | — | | | | |
| 24. მოულოდნელი ზარალი | 50 | — | 37 | 60 | — | — | | | | |
| 25. ნოქართან ხელშეკრულების ფარგლებში დაკლებული საქონელი | 150 | — | — | — | — | — | | | | |
| | 2000 | — | 106 | 89 | 11 | — | — | — | — | — |

*) აქ სანიმუშოდ ხარჯები აღნიშნულია საერთო ჯამებით; ნამდვილად განაწილებული

| ხარჯები თვე და თვე | | | | | | | | | | | | | | | | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაისი | | ივნისი | | ივლისი | | აგვისტო | | სექტემბერი | | ოქტომბერი | | ნოემბერი | | დეკემბერი | | | |
| მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| | | | | | | | | | | | | | | 25 | — | | |
| ბში დახარჯულია | | | | 600*) | . | . | . | . | . | . | . | . | . | 100*) | — | 1178 | 39*) |
| | | | | | | | | | | | | | | 71 | 50 | | |
| | | | | | | | | | | | | | | 120 | — | | |
| | | | | | | | | | | | | | | 144 | — | | |
| — | — | — | — | 600 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 460 | 50 | 1178 | 39 |

უნდა იყოს თავთავის უჯრაში.

### 5. ქონების ანგარიშის შეთავება.

ამ ანგარიშის მარცხენა და მარჯვენა უჯრების ჯამების განსხვავება გვიჩვენებს, თუ რა ღირებულების ქონება გვაქვს ანგარიშის მოხდენის დროს. ეს განსხვავება უნდა უდრიდეს „ქონების" დავთრის ჯამს. ამ განსხვავებას ვწერთ კასა-მემორიალის „ქონების" ანგარიშის მარჯვენა უჯრაში, რის შემდეგაც „ქონების" ანგარიშის მარჯვენა და მარცხენა უჯრის ჯამები გათანასწორდება. ამავე განსხვავების ჯამს ვწერთ „ბალანსის" სვეტის მარცხენა უჯრაში-აქტივში. (იხილე 8 მუხლი).

### 6. საპაიო თანხის ანგარიშის შეთავება.

ეს ანგარიშიც უნდა შეთავდეს იმის შემდეგ, როცა შევათავებთ წევრთა საპაიო დავთარს. ამ უკანასკნელი დავთრით მთლად დარჩენილი საპაიო თანხა უნდა უდრიდეს კასა-მემორიალის „საპაიო თანხის" ანგარიშის უჯრების განსხვავებას. ანგარიშის შესათავებლად განსხვავებას ვწერთ კასა-მემორიალის ჯერ „საპაიო თანხის" მარცხენა უჯრაში და შემდეგ "ბალანსის" სვეტის მარჯვენა უჯრაში-პასივში (იხ. 9 მუხ.).

### 7. საწევრო გადასახადის, სათადარიგო და სხვა თანხების ანგარიშის შეთავება.

ჯერ უნდა შეთავდეს ამ თანხების დამხმარე დავთრის ანგარიშები და შესდგეს ამ ანგარიშების აღმოწერითი სია. კასსა-მემორიალის „საწევრო გადასახადის, სათადარიგო და სხვა თანხების" ანგარიში შეთავდება ისევე, როგორც" საპაიო თანხის" ანგარიში. (იხ. მუხ.10).

ამ გვარად შევათავებთ კასსა-მემორიალის ყველა ანგარიშებს და „ბალანსის" სვეტს. ყველა ანგარიშების და ბალანსის მარცხენა და მარჯვენა უჯრების ჯამები უნდა გაუთანასწორდნენ ერთი-ერთმანეთს.

## VII. საქონლის შემოწმება (დუქნის აღწერა).

დარჩენილ საქონლის შემოწმება ანუ დუქნის აღწერა ყველაზე საძნელო მოქმედებაა წლიური ანგარიშის შედგენის დროს. საქონლის აღწერა მეტად საწვალებელი და მოსაბეზრებელი სამუშაოა. მიუხედავად ამისა იგი მაინც დიდის გულმოდგინებით უნდა იქმნეს შესრულებული, რადგანაც წლიური ანგარიშის სინამდვილე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორედ არის აღწერილი საქონელი.

საქონლის აღწერის დროს ზედმიწევნით უნდა გავიგოთ ნაყიდობის და გასასყიდი ფასები დუქანში დარჩენილი საქონლისა. ზოგიერთ კოოპერატივში კმაყოფილდებიან დარჩენილ საქონლის მხოლოდ ნაყიდობის ფასის გაგებით, რისთვისაც გასასყიდს ფასებს აკლებენ ვარაუდით მოგებას; ზოგან ამითაც კი არ იწუხებენ თავს, იწვევენ გამოცდილს ვაჭარს, რომელიც ერთი თვალის გადავლებით „ასწერს"

საქონელს. ასეთი შემოწმება არაფრად არა ღირს და არც უნდა იხმარებოდეს კოოპერატივის სავაჭროს აღწერის დროს. რაოდენობა დარჩენილი საქონლისა უნდა გაიზომოს არშინით და სასწორით, ხოლო ნაყიდობის ფასები უნდა ამოიწეროს ანგარიშებიდან, რომლებითაც ნაყიდია საქონელი, თუ თვით საქონელზედ არ აწერია ფასები.

დუქნის აღწერის დროს ვაჭრობა უნდა შესწყდეს. რომ აღწერა მალე გათავდეს, საჭიროა წინდაწინვე მომზადება. უნდა წინდაწინვე შემზადდეს საქონელი ასაწერად. საქონელს, რომელსაც ზედ არ აწერია ნაყიდობის და გასასყიდი ფასები, უნდა წაეწეროს ეს ფასები. ყუთებს და სხვა ჭურჭელს, რომლებშიაც ინახება საქონელი, წინდაწინვე უნდა წაეწეროს წონა, რათა აღწერის დროს დუქნის ამწერთ არ მოუხდეთ ყუთების წონის გაგება და სხვა.

აღწერა საქონლისა უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიით, რომლის ნიმუშიც აქვე მოგვყავს:

| საქონლის სახელწოდება | რაოდენობა | წონა | | ნაყიდობის | | | | გასასყიდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფასი | | ღირებულება | | ფასი | | ღირებულება | |
| | | ფუთი | გირ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| შაქარი . . | — | 10 | 20 | 8 | — | 84 | — | 10 | — | 105 | — |
| და სხვა . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| სულ . . | — | — | — | — | — | 1949 | 05 | — | — | 2290 | — |

როგორც ამ სიიდან სჩანს, აღწერის დროს იწერება დარჩენილი საქონლის რაოდენობა, საქონლის ნაყიდობის ფასი, ნაყიდობის ღირებულება, გასასყიდი ფასი და გასასყიდი ღირებულება. როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, აღწერის დროს უნდა ვეცადოთ საქონლის ფასები ზედმიწევნითი იყოს. თუ აღწერის დროს აღმოჩნდა უვარგისი საქონელი, უნდა ცალკე აიწეროს და შემდეგ ჩამოიწეროს ჯერ საქონლის დღიურში და შემდეგ კასსა-მემორიალში. საქონელი, რომელიც დაჰკარგავს პირვანდელს ღირებულებას, ხელ ახლად უნდა შეფასდეს და ფასის დაწევა ამ საქონლისა აღინიშნოს საქონლის დღიურში და კასსა მემორიალში ისე, როგორც ზემოდ გვქონდა აღნიშნული.

უნდა აიწეროს ცალკე ნაყიდობის ფასით დარჩენილი შესახვევი ქაღალდი, ქაღალდის პარკები და სხვა, რომლის ღირებულებაც სყიდვის დროს სავაჭრო ხა-

რჯებში გვქონდა გატარებული. რადგანაც ეს დარჩენილი შესახვევი მასალაც გადადის ახალ წელში, ე. ი. ეს მასალა უნდა იხმაროს მომავალმა წელმა, ამიტომ ამ შესახვევ მასალის ხარჯიც უნდა ვაკუთნოთ მომავალს წელს (იხ. კას.-მემ. ნიმუში მუხ. 836 და საპირადო დავთრის ნიმუში 13).

როდესაც გავათავებთ საქონლის აღწერას და გავიგებთ მის ნაყიდობის და გასასყიდს ღირებულებას, ვათავებთ კასსა-მემორიალში „საქონლის" ანგარიშს ისე, როგორც ეს ზემოდ გვქონდა ახსნილი.

## VIII. წლიური ანგარიშის შედგენა.

წლის დამლევს უნდა შესდგეს წლიური ანგარიში კოოპერატივისა. რომ წევრთ საშუალება მიეცეთ გაეცნონ კოოპერატივის საქმეთა მდგომარეობას, საჭიროა წლიური ანგარიში კოოპერატივისა დაიბეჭდოს ცალკე და დაურიგდეს წევრთ და დაინტერესებულ პირთ კოოპერატივის საზოგადო ყრილობის მოწვევამდე. ანგარიში რაც შეიძლება სრული უნდა იყოს. ციფრებითი ცნობებს დართული უნდა ჰქონდეს უეჭველად ვრცელი განმარტებანი გამგეობისა.

ქვემოდ მოგვყავს ნიმუში წლიური ანგარიშისა, რომელსაც ჩვეულებრივ ადგენენ მომხმარებელი კოოპერატივები და რომლებსაც უდგენენ სარევიზიო კომისიის განხილვის შემდეგ საზოგადო ყრილობას.

წლიური ანგარიშის დასაწყისში იწერება სხვა და სხვა ცნობები, სახელდობრ: როდის არის კოოპერატივი რეგისტრაციაში შეტანილი, როდის დაიწყო ვაჭრობა, სახელწოდება კოოპერატივისა, ადგილმდებარეობა, საანგარიშო პერიოდი, მერამდენე საანგარიშო წელიწადი შეათავა, რამდენი სავაჭრო აქვს კოოპერატივს; რამდენი ჰყავს დაქირავებული მსახური; აქვს თუ არა კოოპერატივს საკუთარი წარმოება. თუ საკუთარი წარმოება აქვს, რამდენი ჰყავდა წარმოებაში მოსამსახური საანგარიშო წელს, რამდენი დაამზადა ნაწარმოები და რამდენი საზოგადო კრება ჰქონდა წლის განმავლობაში. შემდეგ იწერება ცნობები გამგეობის შემადგენლობის შესახებ. ნიმუშში მოყვანილ კითხვებიდან ცხადია, თუ როგორ უნდა ჩაიწეროს საჭირო ცნობები, ამიტომ აქ მას აღარ განვმარტავთ. ამის შემდეგ იწერება ცნობები წევრთა რიცხვის, საპაიო თანხის შესახებ. ამ ცნობების ცხრილის მარცხენა მხარეს იწერება, თუ რამდენი იყო კოოპერატივში წევრი და რამდენი ჰქონდათ საპაიო თანხა საანგარიშო წლის დასაწყისში. იქვე იწერება თუ რამდენი მიემატა წევრი საპაიო თანხით წლის განმავლობაში, აგრეთვე რამდენმა წევრმა მოიტანა საპაიო ფული და რამდენი რჩება საანგარიშო წლის ბოლოს წევრთა რაოდენობა საპაიო თანხით. ცხრილის მარცხენა და მარჯვენა ნაწილების საბოლოვო ჯამები უნდა გაუთანასწორდნენ ერთი-ერთმანეთს (იხ. ნიმუში).

| | | |
|---|---|---|
| კავშირის სიით | წესდება შეტანილია რეესტრში | 1915 წ. |
| № ........ | ვაჭრობა დაიწყო | 1915 წ. |

# ანგარიში

არაშენდის მომხმარებელი კოოპერატივისა „მეურნე"

სოფელი არაშენდა. ტფილისის გუბ. დუშეთის მაზრა

1915 წლის „1" იანვრიდან 1916 წლის „1" იანვრამდე

მეორე საანგარიშო წელიწადი.

## სხვა და სხვა ცნობები საზოგადოების შესახებ.

კოოპერატივს აქვს ერთი სავაჭრო. კოოპერატივის დაქირავებულ მოსამსახურეთა რიცხვი არის 2 კოოპერატივის საკუთარ წარმოებას შეადგენს — წარმოებაში მოსამსახურეთა რიცხვი — წლის განმავლობაში საკუთარი ნაწარმოები დამზადებულია — მ. — კ.

საზოგადო კრება იყო 3

## ცნობები გამგეობის შემადგენლობის შესახებ.

წლის დასაწყისში გამგეობა შესდგებოდა შემდეგი პირებისაგან: თავმჯდომარე: ........

მდივანი: ........ ხაზინადარი: ........

წევრნი: ........

წლის განმავლობაში გავიდნენ: ........

„ „ არჩეულ იქნენ: ........

## ცნობები წევრთა რიცხვისა და საპაიო თანხის შესახებ

| | წევრთა რიცხვი | თანხის რაოდენობა | | დაუბრუნდათ: | წევრთა რიცხვი | თანხის რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლის დასაწყისს ირიცხებ. კოოპერატ. | 249 | 2493 | — | კოოპერატივიდან გასულებს | 1 | 10 | — |
| წლის განმავლობაში შემოვიდა | 12 | 460 | — | ზედმეტი პაიები „—" წევრს მათი განცხადების თანახმად | — | — | — |
| წლის განმავლობაში მოიმატეს პაიები | — | — | — | | | | |
| „248" წევრმა | — | 246 | 58 | წლის ბოლოს რჩება კოოპერატივში | 260 | 3189 | 58 |
| სულ. | 261 | 3199 | 58 | სულ. | 261 | 3199 | 58 |

## ბრუნვათა უწყება.

შემდეგ წლიურ ანგარიშს უნდა ჩაერთოს მთელი წლის ბრუნვათა უწყება კასსა-მემორიალიდან შემდგარი. ამ უწყების მეორე უჯრაში იწერება წინა წლის ნაშთები, მესამეში ბრუნვათა ჯამები, და, დაბოლოს, მეოთხეში-სალდოები; ეს უკანასკნელები გამოიანგარიშება ისევე, როგორც თვიურ ანგარიშების შედგენის დროს, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ. საჭიროდ მიგვაჩნია აქ აღვნიშნოთ მხოლოდ სალდოს გამოყვანა „ხარჯების და შემოსავლის“ ანგარიშში. თვიურ ბრუნვათა უწყების შედგენის დროს ჩვენ ამ ანგარიშის სალდო არ გამოგვყავდა და ვწერდით პირდაპირ სალდო დებეტში (ანუ აქტივში) ხარჯებს, ხოლო სალდო კრედიტში (ანუ პასივში) შემოსულს მოგებას. წლიურ ანგარიშის შედგენის დროს კი უნდა გავიგოთ სალდო, რისთვისაც ამ ანგარიშის კრედიტს ვაკლებთ ამავე ანგარიშის დებეტს; ნაშთი გვიჩვენებს დარჩენილ საქონლის მოგებას და წმინდა მოგებას. პირველ ციფრს, სახელდობრ დარჩენილ საქონელზე დადებულს მოგებას ვწერთ „ხარჯების და შემოსავლის“ ანგარიშის სალდო კრედიტში (ანუ პასსივში), ხოლო წმინდა მოგებას გადავწერთ “მოგება-ზარალის“ ანგარიშის სალდო კრედიტში (პასსივში).

1 2 3 4

**კასსა-მემორიალის ანგარიშების მოძრაობა**

| ანგარიშები | 1915 წ. 1-ლ იანვრისათვის იყო | | | | მთელი წლის ბრუნვა | | | | 1916 წ. 1-ლ იანვრისათვის არის | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აქტივი | | პასსივი | | დებეტი | | კრედიტი | | აქტივი | | პასსივი | |
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| კასსა . . . . | 885 | — | — | — | 15030 | 20 | 14801 | 29 | 1113 | 91 | — | — |
| საქონელი . . . . | 2097 | - | — | — | 15184 | — | 14414 | 60 | 2866 | 40 | — | — |
| სხვა და სხვა პირნი და დაწესებულ. | 48 | — | 1187 | — | 7671 | 50 | 7799 | 50 | 452 | — | 1719 | — |
| საპაიო თანხა . . . | — | — | 2493 | — | 10 | — | 706 | 58 | — | — | 3189 | 58 |
| ხარჯები და შემოსავალი . . | — | — | 273 | — | 1178 | 39 | 2089 | 50 | — | — | 430 | — |
| ქონება . . . . | 2007 | — | — | — | 552 | — | 138 | — | 2421 | — | — | — |
| ძირითადი, სათადარიგო და სხვა თანხები . . . | — | — | 474 | — | 299 | 58 | 586 | 20 | — | — | 760 | 62 |
| მოგება და ზარალი . . | — | — | 610 | — | 610 | — | — | — | — | — | 754 | 11 |
| | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ............ | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ............ | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| **ბალანსი** . . | 5037 | — | 5037 | — | 40535 | 67 | 40535 | 67 | 6853 | 31 | 6853 | 31 |

## საქონლის ანგარიში.

ბრუნვათა უწყებაში მოყვანილი ზოგიერთი ანგარიშების საერთო ჯამები საკმარის სურათს არ იძლევიან, ამიტომ საჭიროა წლიური ანგარიში ცალკე იყოს

მოყვანილი დაწვრილებითი ანგარიშები საქონლისა და ხარჯების და შემოსავლისა. საქონლის ანგარიშის მოყვანა საჭიროა კიდევ იმიტომ, რომ საქონლის ანგარიში კოოპერატივში უმთავრესია, იგი გვიჩვენებს, თუ რამდენი შემოვიდა საქონელი წლის განმავლობაში რამდენი იყო საქონელზე დადებული მოგება, რამდენი იყო აწეული ფასი საქონელზე და სხვა. მეორეს მხრივ საქონლის ანგარიში გვიჩვენებს, თუ რამდენისა გაიყიდა საქონელი ნაღდზე, რამდენისაა ვაჭრებისათვის უკან დაბრუნებული საქონელი, დუქნის საჭიროებისათვის დახარჯული და სხვა. რამდენისა დააკლდა საქონელი და აქედან რამდენისაა ზომიერი დანაკლისი და რამდენისაა ზედმეტი და, დაბოლოს, რამდენისა რჩება საქონელი საანგარიშო წლის ბოლოს. ყველა ამ ცნობებს იძლევა საქონლის ანგარიში იმ სახისა, როგორც ქვემოდ გვაქვს მოყვანილი.

## საქონლის ანგარიში.

| შეომსავალი | მან. | კაპ. | გასავალი | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წლის დასაწყისში დარჩენილი იყო გასასყიდი ფასებით . . . . . . . | 2097 | — | გაიყიდა ნაღდად . . . . | 14202 | — |
| წლის განმავლობაში შემოვიდა ნაყიდობის ფასით . | 13204 | — | დაუბრუნდა გამყიდველთ ნაყიდობის ფასით . . | 14 | — |
| წლის განმავლობაში შემოსულ საქონელს დაედო მოსაგები . . . . . . | 1980 | — | დაიხარჯა დუქნის საჭიროებისათვის . . . . | 3 | — |
| გამომცხვარი პურის მოგება | — | — | ფასდაკლებული და დათმობით გაყიდული . . . | — | — |
| საქონელზედ აწეული ფასი . | — | — | წამხდარი და დაწუნებული . | 1 | — |
| | | | შემთხვევითი ზარალი . . | — | 60*) |
| | | | სულ . . . | 14220 | 60 |
| | | | საქონლის ნაშთი აღწერილობითი სიით . . . . | 2866 | 40 |
| | | | **სულ ნაშთით** . | 17087 | — |
| | | | ნოქართან ხელშეკრულობის ფარგლებში დაკლებული საქონელი . . . . . | 144 | — |
| | | | ხელშეკრულობის გარეშე დაკლებული საქონელი . . | 50 | — |
| ჯამი . . . | 17281 | — | ჯამი . . . | 17281 | — |

## ხარჯების და შემოსავლის ანგარიში.

ხარჯების და შემოსავლის ანგარიში წარმოადგენს ამოწერას კასსა-მემორიალის ამავე სახელწოდების ანგარიშიდან, ამიტომ აქ უნდა იყოს მოყვანილი ყველა ის ციფრები, რომლებიც კი გვაქვს კასა-მემორიალის ხარჯების და შემოსავლის ანგარიში. ხარჯები ნიმუშში მოყვანილი გვაქვს საერთო ჯამით, ნამდვილად ცალცალკე უნდა იყოს დანაწილებული.

*) საქონლის შემთხვევით ზარალში ჩვენ ჩამოწერილი გვაქვს უკან დაბრუნებულ საქონელზე დადებული მოგება. (იხილე ზემოდ უკან დაბრ. საქონ. შესახებ).

# ხარჯების და შემოსავლის ანგარიში.

**დახარჯულია.**

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| **საანგარიშო წლის ხარჯები** | | |
| შენობის ქირა . . . . | | |
| შენობის შეკეთება . . . . | | |
| ჯამაგირი მოსამსახურეთ . . | | |
| სანოვაგე მოსამსახურეთ . . | | |
| სასყიდელი გამგეობის და სარევიზ. კომ. წევრებს . . | | |
| საზ. საქმეების გამო მგზავრობა | | |
| გათბობა და განათება . . . | | |
| თამბაქოს პატენტი . . . | | |
| ფოსტა-ტელეგრაფის და საგერბო ხარჯები . . . . . | | |
| ქონების და საქონლის დაზღვევა | | |
| უძრავ ქონების დაზღვევა . . | | |
| დავთრები, ბლანკები და სხვა საკანც. ხარჯები . . . . | | |
| წლიური ანგარიშების დაბეჭდვა | | |
| საქონლის მოტანის ხარჯები. | | |
| საზოგადო კრების ხარჯები . | | |
| ჟურნალ-გაზეთების და სხვა კოოპერატ. გამოც. გამოწერა | 1178 | 39 |
| კულტურულ-განმანათლ. მიზნით დახარჯული . . . . | | |
| საქონლის შესახვევ-შესაკრავი მასალა. . . . . . . | | |
| წამხდარი და დაწუნებული საქონელი . . . . . . | | |
| ფასდაკლებული და დათმობით გაყიდ. საქონელი . . . | | |
| სარგებელი ნასესხზე და მობარებულ ფულზე . . . | | |
| ქონების გაბათილება . . . | | |
| წვრილი ხარჯები . . . . | | |
| შემთხვევითი ზარალი . . . | | |
| ნოქართან ხელშეკრულების ფარგლებში დაკლებული საქონელი . . . . . . . | | |
| **სულ დახარჯულია** | 1178 | 39 |
| **მომავალი წლის მოგება:** | | |
| წლის ბოლოს დარჩენილ საქონლის მოგება . . . . | 430 | — |
| **წმინდა მოგება** . | 754 | 11 |
| **სულ** . . . | 2362 | 50 |

**ჩარიცხულია მოგებაში.**

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| **საანგარიშო წლის შემოსავალი:** | | |
| საანგარიშო წლის დასაწყისში დარჩენილი საქონლის მოგება . . . . . . . | 273 | — |
| წლის განმ. შემოსული საქონლის მოგება . . . . | 1980 | — |
| საქონელზედ აწეული ფასი . | — | — |
| ბანკებში და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში მიბარებული ფულის სარგებელი . | 4 | — |
| შემთხვევითი შემოსავალი . . | 25 | 50 |
| **მომავალი წლისთვის წინასწარ გაწეული ხარჯები:** | | |
| შენობის ქირა . . . . . | 30 | — |
| თამბაქოს პატენტი . . . . | — | — |
| საქონლის და ინვენტარის დაზღვევა . . . . . . . | — | — |
| კანტორის დავთრები და ბლანკები . . . . . . . | — | — |
| შესახვევ-შესაკრავი მასალა . . | 10 | — |
| საქონლის მოსატანი ხარჯი . | 40 | — |
| **ზარალი** . . . | | |
| **სულ** . . . | 2362 | 50 |

## ბალანსი.

წლიურ ბრუნვათა უწყებიდან ისევე, როგორც თვიურ უწყებიდან, სდგება ბალანსი. წლიური ანგარიშის ბალანსში დაწვრილებით უნდა იყოს ჩამოთვლილი ყველა ანგარიშები ცალ-ცალკე, როგორც აქტივისა, აგრეთვე პასსივისა. ბრუნვათა უწყებაში „სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათა“ ანგარიშის სალდოები საერთო ჯამითა გვაქვს მოყვანილი, ბალანსში კი ეს საერთო ჯამები უნდა განცალ-ცალკევდეს და სათითაოდ მუხლობრივ ჩაიწეროს, თუ ვისზე და რამდენი აქვს კოოპერატივს გასესხებული, ან ვისი და რამდენი მართებს თვით კოოპერატივს. ასევე ვიქცევით „საწევრო გადასახადის, სათადარიგო და სხვა თანხების“ ანგარიშის შესახებაც. ამ ანგარიშის სალდოც ბრუნვათა უწყებაში საერთო ჯამითაა აღნიშნული, ბალანსში კი უნდა გამოიყოს სათითაოდ, თუ სახელდობრ რა და რა თანხებისაგან შესდგება ეს ანგარიში.

## ბ ა ლ ა ნ ს ი

(ქონებისა და თანხების მდგომარეობა)

1916 წლის 1-ლ იანვრისათვის

| აქტივი (ნაღდი და გაცემული) | მან. | კაპ. | პასსივი (თანხები და ვალი) | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| ნაღდი ფული კასაში | 1113 | 91 | საპაიო თანხა | 3289 | 58 |
| საკრედიტო დაწესებულებებში შენახული | 72 | — | საწევრო გადასახადი | 206 | — |
| სარგებლიანი ქაღალდები | — | — | ძირითადი თანხა | 60 | — |
| საქონელი გასასყიდი ფასით | 2866 | 40 | სათადარიგო თანხა | 344 | 20 |
| საპაიო თანხა კოოპერატივთა კავშირში | 250 | — | სხვა და სხვა თანხები | 150 | 42 |
| ავანსი, თანხა კოოპერატივთა კავშირში | — | — | კავშირიდან წაღებული საქონლის ვალი | — | — |
| სხვა დაწესებულებებში შეტანილი | — | — | სხვა ფირმებისაგან წამოღებ. | — | — |
| კოოპერატივისა მართებთ სხვა და სხვა პირებს | 50 | — | კოოპერატ. სხვა და სხვა ვალები | 688 | — |
| ქონება | 2421 | — | ნასესხი დაწესებულებათაგან | — | — |
| წინასწარ გაწეული ხარჯები | 80 | — | ნასესხი კერძო პირებისაგან | 798 | 50 |
| | | | მსახურთა საწინდარი | 75 | — |
| | | | მობარებული წევრთაგან | 157 | 50 |
| | | | წინა წლების გაუნაწილებელი მოგება | — | — |
| | | | საანგარიშო წლის გაუწეველი ხარჯები | — | — |
| | | | დარჩენილი საქონლის მოგება | 430 | — |
| ზარალი | — | — | წმინდა მოგება | 734 | 11 |
| ჯამი | 6853 | 31 | ჯამი | 6853 | 31 |

## წმინდა მოგების განაწილება.

გამგეობამვე უნდა შეადგინოს პროექტი ანუ ვარაუდი მიღებულ წმინდა მოგების განაწილებისა. პროექტი უნდა წარედგინოს საზოგადო ყრილობას დასამტკიცებლად. ამ ვარაუდში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს ნაჩვენები, თუ რას უნდა მოხმარდეს წმინდა მოგება. წესდებით წმინდა მოგება უნდა განაწილდეს ასე: არა ნაკლებ $20^0/_0$-სა უნდა გადაიდოს სათადარიგო თანხაში, ხოლო არა ნაკლებ $10^0/_0$ ძირითად თანხაში. შემდეგ უნდა გადაიდოს სარგებელი პაიებზე ანუ დივიდენდი. წესდებით დივიდენდათ შეიძლება მიეცეთ წევრთ $6^0/_0$ წლიური თვითეულ საპაიო მანეთზე. (იხ. დამატებაში თავი: „პაიზე სარგებლის მითვლა და ნავაჭრზე საჩუქრის მიცემა"). შემდეგ უნდა გადაიდოს პრემიად ნავაჭრზე როგორც წევრთათვის, აგრეთვე გარეშეთათვის მისაცემად. ამასთანავე გამგეობას შეუძლიან წინადადება მისცეს საზოგადო ყრილობას, რათა წევრებმა არ გაიტანონ კოოპერატივიდან ხვედრი დივიდენდი და პრემია, არამედ მიითვალონ პაიებზე. ამის შემდეგ მოგების ნაწილი უნდა გადაიდოს რაიმე საზოგადო თანხების დასაარსებლად, მაგალითად: საკუთარ შენობის ასაშენებელი თანხა და კულტურულ-განმანათლებელ მიზნისთვის და სხვა.

## მოგების განაწილების პროექტი.

გამგეობა წინადადებას აძლევს საზოგადო კრებას წმინდა მოგება 754 მან. 11 კ. გაანაწილოს- ასე:

| | | | |
|---|---|---|---|
| სათადარიგო თანხაში მოგებიდან $20^0/_0$ | 150 მ. 82 კ. | მოსამსახურეთ ჯილდოთ | 50 მ. — კ. |
| ძირითად თანხაში $10^0/_0$ | 75 მ. 41 კ. | კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისთვის | 60 მ. — კ. |
| დივიდენდად პაიების მიხედვით მანეთზედ $6^0/_0$ | 181 მ. 40 კ. | საკუთარ შენობის ასაშენებელ თანხაში | 85 მ. 66 კ. |
| პრემიად ნავაჭრზედ წევრებს $10^0/_0$ | 75 მ. 41 კ. | | მ. კ. |
| პრიმიად ნავაჭრზედ გარეშეებს $10^0/_0$ | 75 მ. 41 კ. | | მ. კ. |

## ხარჯთ-აღრიცხვა.

წლიურ ანგარიშს დართული უნდა ჰქონდეს აგრეთვე მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯთ აღრიცხვა უნდა შესდგებოდეს ორი ნაწილისაგან-შემოსავლისა და ხარჯებისაგან.

შემოსავალს ვვარაუდობთ კოოპერატივის ბრუნვათა კვალობაზე, ე. ი. იმის და მიხედვით, თუ დაახლოვებით რამდენისა გაიყიდება წლის განმავლობაში საქონელი და რამდენი პროცენტი დაედება საქონელს მოგებად. ჩვენს ნიმუშში საქონლის ბრუნვა გასული წლის მიხედვით ნავარაუდევია 20,000 მანეთი; მოგება კიდევ ნა-

ვარაუდევი გვაქვს საშუალოდ 15%, მაშასადამე საერთო საქონლის მოგება მოსალოდნელია დაახლოვებით 3,000 მანეთი.

ხარჯების ვარაუდისათვის ჯერ უნდა ჩამოითვალოს, თუ რა და რა საჭიროებისათვის ჰფიქრობს კოოპერატივი ხარჯებს, შემდეგ რამდენი იყო გადადებული წინა წელს ამა თუ იმ საჭიროებისათვის და ნამდვილად რამდენი დაიხარჯა გასულ წელს; ამის შემდეგ უნდა აღინიშნოს, თუ რამდენი არის დაახლოვებით საჭირო მომავალი წლისათვის. თუ კოოპერატივს ხარჯის რომელიმე მუხლში ნაჩვენები აქვს იმაზე მეტი, რაც წინა წელს დაიხარჯა, უნდა შენიშვნაში განიმარტოს, თუ რა მოსაზრებით აქვს ნაჩვენები ზედმეტი ხარჯი წინა წლის ხარჯთან შედარებით.

საერთო ჯამი ხარჯებისა, ცხადია, არამც თუ არ უნდა აღემატებოდეს ნავარაუდევ შემოსავალს, პირიქით ნაკლები უნდა იყოს, რათა კოოპერატივს ცოტაოდენი წმინდა მოგებაც დარჩეს.

## შემოსავალ-გასავალის ხარჯთაღრიცხვის პროექტი 1916 წლისათვის.

შემოსავალი. ნავარაუდევია, რომ ამ წელს გაიყიდება საქონელი 20,000 მან. და ამ საქონლის გადაბრუნებით დარჩება 15 % საერთო მოგება, რაც შეადგენს 3.000 მანეთს.

| ხ ა რ ჯ ე ბ ი: | ხარჯთაღრიცხვა 1915 წლისა | | ნამდვილად დაიხარჯა 4915 წელს. | | საჭიროა 1916 წლისათვის. | | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შენობის ქირა და შეკეთება | 150 | — | | | 170 | — | |
| ჯამაგირი და სანოვაგე მოსამსახურეთ | 530 | — | | | 600 | — | |
| სასყიდელი გამგ. და სარევიზიო კომ. წევრთ | 220 | — | | | 300 | — | |
| მოგზაურობა საზოგადოების საქმეების გამო | 100 | — | | | 150 | — | |
| გათბობა და განათება | 10 | — | | | 12 | — | |
| თამბაქოს პატენტი, ფოსტა-ტელეგრაფ. და გერბის ხარჯები | 38 | — | | | 38 | — | |
რომ სარევიზიო კომისია დარწმუნდეს იმაში, თუ რამდენად სწორედ არის გამგეობის მიერ შეთავებული საანგარიშო დავთრები, მან უნდა იცოდეს დავთრების შეთავების წესები, რისთვისაც უნდა გადაიკითხოს ეს სახელმძღვანელო. ამის გარდა უნდა განიხილოს, თუ რამდენად სწორედ არის ნაჩვენები ანგარიშების ნაშთები—საქონლისა, ფულისა, ქონებისა და სხვა, ამისათვის საჭიროა სარევიზიო კომისიის წევრნი დაესწრნენ დარჩენილ საქონლის და ავეჯის აღწერას და ნაღდი ფულის გამოთვლას დახლში 1-ლ იანვრისათვის. საქონლის აღწერა უნდა მოახდინონ გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებმა ერთად. როდესაც სარევიზიო კომისიას ეცოდინება საქონლის და კასსის ნაშთები, დანარჩენი ანგარიშების ნაშთებს გამოიყვანს დავრთრებით. ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ბალანსის ციფრებს. სარევიზიო კომისია უნდა დარწმუნდეს, რომ ყოველი ციფრი ბალანსისა სწორეა. თუ სარევიზიო კომისიის წევრნი დარწმუნდებიან იმაში, რომ ბალანსი სწორედაა შედგენილი, უნდა შესაფერი შენიშვნა გაუკეთონ და შეამოწმონ ხელმოწერით. თუ კომისიის წევრთ ბალანსის რომელიმე ციფრი საეჭვოდ მიაჩნიათ, უნდა შენიშვნაში აღინიშნოს ეს და ამასთანვე იქვე ჩაიწეროს, თუ რა საბუთით მიაჩნია კომისიას საეჭვოდ.

სარევიზიო კომისია აგრეთვე ათვალიერებს გამგეობის მიერ შედგენილ წმინდა მოგების და ხარჯთ-აღრიცხვის პროექტებს და თუ სწორედ სცნობს, უკეთებს საერთო შენიშვნას იმ ფორმით, როგორც ეს ნაჩვენებია ზემოდ წლიურ ანგარიშის ბოლოში.

## 3. კოოპერატივის საქმის წარმოება.

საქმის წარმოების წესიერად მოწყობა კოოპერატივში ისევე საჭიროა, როგორც ანგარიშის წარმოება, ამიტომ საჭიროა ერთ-ერთს გამგეობის წევრს მიენდოს ზრუნვა საქმის წარმოების შესახებ, ანუ ამორჩეულ იქმნეს მდივნად. კოოპერატივის დაარსებიდანვე საჭიროა რიგზე ხდებოდეს ჩაწერა წევრთა; უნდა რიგზე იწერებოდეს და ინახებოდეს ყველა წერილები და საბუთები, რომლებსაც კოოპერატივი მიიღებს, ასევე რიგზე უნდა იწერებოდეს კოოპერატივის მიერ გაგზავნილი წერი-

ლები და, დაბოლოს, უნდა რიგზედვე იწერებოდეს და ინახებოდეს ყველა ოქმები გამგეობის სხდომებისა და საერთო კრებებისა.

განვიხილოთ ყველა ფორმები საქმის წარმოებისა.

1. წევრთა ჩაწერა. კოოპერატივის გამგეობას უნდა ჰქონდეს სხვა და სხვა საჭიროებისათვის ცნობები ყველა წევრთა შესახებ. ამ ცნობებს კოოპერატივის გამგეობა ჰკრებს წევრის ჩაწერის დროს კოოპერატივში; ამ მიზნით იწერება განცხადება, რომელსაც აძლევს გამგეობას წევრად ჩაწერის მსურველი. მოგვყავს აქვე ამ განცხადების ფორმა.

---

№.........

არაშენდის მომხმარებელი კოოპერატივის გამგეობის

განცხადება

მსურს რა აღნიშნულ კოოპერატივში წევრად ჩაწერა, ამით ვაცხადებ, რომ დავემორჩილები კოოპერატივის წესდებას და საზოგადო კრებების დადგენილებებს.

| | |
|---|---|
| გვარი . . . . | მოსიაშვილი |
| სახელი . . . . | პეტრე |
| მამის სახელი . . . | ივანეს ძე |
| წლოვანობა . . . | 30 წლისა |
| ოჯახური მდგომარეობა . . | ცოლ-შვილიანია |
| ხელობა . . . . | მხვნელ მთესველი |
| სად მუშაობს . . . | სახლში |
| მისამართი . . . . | სოფ. არაშენდა |

(ხელის მოსაწერი ადგილი) ..............................

1915 წ. იანვრის 3-სა.

---

ეს განცხადებანი ერთნაირი ფორმისა უნდა იყოს, ამიტომ საჭიროა ამ განცხადებების ბლანკები დაიბეჭდოს და მიეცეს წევრად ჩაწერის მსურველთ.

ყოველ მიღებულს ბლანკს განცხადებისას თავში დაესმის ნომერი რიგისამებრ. ეს ნომერი იქნება ამ წევრის ნომერი, როგორც წევრთა სიაში, აგრეთვე საწევრო საპაიო დავთარში და მის საწევრო წიგნაკში.

2. მიღებულ წერილების ჩასაწერი რეესტრი. ყველა შემოსული წერილი ან ანგარიში უნდა იწერებოდეს განსაკუთრებულს რეესტრში რიგისამებრ. ამ წიგნში იწერება ნომრები რიგზე, წერილის მიღების დრო, ვისგან არის წერილი მიღებული, წერილის თარიღი, ნომერი და მოკლე შინაარსი წერილისა. თვით წერილები

უნდა ინახებოდეს ცალკე პაპკაში-რეესტრში შეტანის რიგისამებრ. აქვე მოგვყავს ნიმუში რეესტრისა.

| №№ რიგისამებრ | როდის შემოვიდა წერილი | ვისგან არის წერილი | წერილის თარიღი | №-რი წერილისა | მოკლე შინაარსი წერილისა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 იანვარი | კოოპერატივთა კავშირისაგან. | 3 იანვარი | 20 | კოოპერატივის წლიური ანგარიშის 1 ეკზემპლიარის კავშირში წარდგენის შესახებ. |

3. გაგზავნილ წერილების რეგისტრაცია. როგორც მიღებული, აგრეთვე გაგზავნილი წერილები იწერება რიგზე განსაკუთრებულ წიგნში. ამ წიგნში იწერება ნომრები რიგისამებრ; ესევე ნომერი დაესმის თვით წერილსაც: თარიღი, ვის ეგზავნება წერილი და წერილის მოკლე შინაარსი. ამ რეესტრის წარმოება საჭიროა იმისათვის, რომ მუდამ შესაძლებელი იყოს იმის გაგება, თუ ვის რა წერილი გაეგზავნა და როდის.

გაგზავნილ წერილების რეესტრის ფორმა.

| №№ რიგისამებრ | თვე და რიცხვი | ვის გაეგზავნა წერილი | მოკლე შინაარსი წერილისა |
|---|---|---|---|
| 1 | 9 იანვარი | კოოპერატივთა კავშირს | წლიური ანგარიშის გაგზავნის შესახებ. |
| 2 | 9 " | არაშენდის საკრედიტო საზოგადოებას | იმის შესახებ, თუ რამდენი მიათვალა ამხანაგობამ [illegible] კოოპერატივის მიერ მიბარებულ ფულზე 1-ლ იანვრისათვის. |

**4. ოქმის წიგნი.** ოქმის წიგნი აუცილებელია ყველა კოოპერატივისათვის. ყველა დადგენილებებზე როგორც გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, აგრედვე საზოგადო კრებისა სდგება ოქმები, რომლებიც იწერება განსაკუთრებულ ოქმების წიგნში. საჭიროა გამგეობის, სარევიზიო კომისიის და საზოგადო კრების ოქმებისათვის ცალ-ცალკე წიგნები ჰქონდეს კოოპერატივს.

### ა. გამგეობის სხდომების ოქმის წიგნი.

ამ წიგნში იწერება ოქმები გამგეობის სხდომებისა. ოქმში უნდა იყოს აღნიშნული, თუ როდის მოხდა სხდომა, გამგეობის წევრთაგან რომლები დაესწრენ სხდომას, რა საკითხები იყო განხილული და რა დადგენილებანი იქმნა გამოტანილი. ოქმს სწერს მდივანი.

ქვემოდ მოგვყავს გამგეობის სხდომის ოქმის ნიმუში.

**ოქმი № 1.**

1918 წ. იანვრის 3-სა.

დაესწრნენ: თავმჯდომარე გამგეობისა ი. ვ. პეტრიაშვილი, წევრნი: ქ. მ. ივანაშვილი და პ. გ. უიშვილი.

| განსახილველი საკითხები | დადგენილებანი | შენიშვნა დადგენილების სისრულეში მოყვანის შესახებ |
|---|---|---|
| 1. მოწერილობა კოოპერატივთა კავშირისა თვიურ ანგარიშების წარდგენის შესახებ. | რადგანაც კოოპერატივთა კავშირი მოითხოვს კოოპერატივის თვიურ ანგარიშებს, გაეგზავნოს ხოლმე კავშირს თითო ცალი ანგარიშისა. | |
| 2. საკითხი ღამის ყარაულის მოწვევის შესახებ. | მოწვეულ იქმნეს კოოპერატივის სავაჭროსათვის ღამის ყარაული ამა თვის 4-დან ჯამაგირი თვეში 50 მ. | |

ოქმი გამგეობის სხდომისა უნდა ხელმოწერილი იქმნეს ყველა დამსწრე გამგეობის წევრთა მიერ.

### ბ. საზოგადო კრების ოქმის წიგნი.

საზოგადო კრების ოქმები იწერება ცალკე ოქმების წიგნში. ოქმები საზოგადო კრებისა სდგება ისევე, როგორც გამგეობის სხდომებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ოქმის თავში არ ჩამოითვლებიან კრებაზე დამსწრე წევრნი. ოქმში

უნდა იყოს მოხსენებული მხოლოდ საერთო რიცხვი კრებაზე დამსწრე წევრთა. ოქმს უნდა დაერთვას კრებაზე დამსწრე წევრთა სია, რომელსაც ადგენს კრების დაწყებამდე ერთ-ერთი გამგეობის წევრი, ან და თვით წევრნი აწერენ ხელს თავის ქაღალდზე, რომელიც უნდა იდოს მაგიდაზე კრებაზე შესავალ კარებთან. რადგანაც კრების თავმჯდომარეს და მდივანს ირჩევს კრება, ამიტომ ოქმში უნდა იყოს მოხსენებული, თუ ვინ იყვნენ არჩეულნი კრების თავმჯდომარედ და მდივნად. საზოგადო კრების ოქმს აწერენ ხელს კრების თავმჯდომარე, მდივანი და რამდენიმე დამსწრე წევრი სურვილისამებრ.

## 4. კოოპერატივთან არსებულ თონის ანგარიშის წარმოება.

ზოგიერთს მომხმარებელ კოოპერატივს აქვს საკუთარი თონე და აცხობს პურს წევრთათვის. სამწუხაროდ იშვიათია ისეთი კოოპერატივი, რომელსაც რიგზე ჰქონდეს მოწყობილი შესაფერისი ანგარიშის წარმოება, ამიტომ აქ განვიზრახეთ მოკლეთ აღვწეროთ, თუ როგორ უნდა მოეწყოს პურის საცხობის ანგარიშის წარმოება.

უპირველეს ყოვლისა კასსა-მემორიალში უნდა გაიხსნას ცალკე ანგარიში სახელწოდებით: „თონის ანგარიში“. ამ ანგარიშის დებეტში (შემოსავალში) ჩაიწერება ღირებულება შეძენილი ფქვილისა და მარცვლეულობისა ნაყიდობის ფასით, ხოლო კრედიტში (გასავალში)—გამომცხვარი პურის ღირებულება იმის მიხედვით, თუ რამდენისაა გამომცხვარ პურზე დახარჯული ფქვილი.

გარდა კასსა-მემორიალში გახსნილი „თონის ანგარიშისა“, უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებული დამხმარე დავთარი, რომელშიაც უნდა გაიხსნას ცალ-ცალკე ანგარიშები: ფქვილისა, ხორბლისა, ქერისა, სიმინდისა თუ, რასაკვირველია, ამ საგნებს კოოპერატივი ყიდულობს თონისთვის. ამავე დავთარში უნდა გაიხსნას გამომცხვარი პურის ანგარიში. მიზანი ამ ანგარიშისა არის ჩამოთვლილ საგნების რაოდენობითი ანგარიშის გაწევა. თონის დამხმარე დავთრად გამოდგება ჩვეულებრივი საკონტორო დავთარი საშუალო ზომისა. თვითეულ ანგარიშისთვის საკმარისია 10—20 ფურცელი. რადგანაც ანგარიშები ამ დავთარში გაფანტული იქნება სხვა-და-სხვა ადგილს და რომ ადვილი იყოს პოვნა ამა თუ იმ ანგარიშისა, დავთარს თავში უნდა ჩაერთვას სარჩევი, რომელშიაც იქნება მოხსენებული სახელწოდება ანგარიშისა და დავთრის გვერდის ნომერი, რომელზედაც მოთავსებულია ეს ანგარიში. თუ წარმოება დიდია, შეიძლება თვითეულ ზემოდ ჩამოთვლილ საგნის ანგარიშისთვის შემოღებული იქნეს ცალ-ცალკე დავთრები.

რომ უფრო გასაგები იყოს ჩვენი საუბარი, განვიხილოთ ყველა ბრუნვები, რომლებსაც თონის ანგარიშის წარმოებაში ექნება ადგილი.

საზოგადო კრილობის დადგენილების თანახმად მომხმარებელი კოოპერატივის გამგეობა აწყობს თონეს, მაშასადამე პირველი ბრუნვა, რომელიც თონეს შეეხება, იქნება თონის მოწყობილების შეძენა. თონის ქონების ღირებულება კასსა მემორიალში ჩაიწერება საერთო ჯამით „კასსის“ ანგარიშის კრედიტში და „ქონების“ დებეტში (იხ. კასსა-მემ. ნიმუში მუხლი 10), ხოლო კოოპერატივის საერთო ქო-

ნების დავთარში ანუ ქონების სიაში ჩაიწერება დაწვრილებით სათითაოდ, თუ რა და რა ქონებაა შეძენილი თონისთვის.

შემდეგი ბრუნვა იქნება ფქვილის ან მარცვლეულის შეძენა. ნაყიდ ფქვილის ან მარცვლეულის ნაყიდობის ღირებულებას კასსა-მემორიალში ვწერთ „კასსის“ კრედიტში და „თონის ანგარიშის“ დებეტში (იხ. კას.-მემ. ნიმუში მუხლები 25 და 30). დამხმარე „თონის დავთარში“ ამ საგნებს, როგორც ზემოთაც გვქონდა მოხსენებული, ვუხსნით ცალკე ანგარიშებს და შემოსულ საგნებს ვწერთ მარცხენა შემოსავლის—გვერდზე (იხილე ნიმუშები „ანგარიში ფქვილისა“ და „ანგარიში ხორბლისა“).

თონის წარმოების ხარჯებს, თონის და საწყობის ქირას, შეშის, მარილის, ხორბლის დასაფქველს. მეპურის ჯამაგირს და სხვა და სხვა წვრიმალს ხარჯებს, ჩვენ ვაკუთვნებთ კოოპერატივის საერთო ხარჯებს და ამიტომ კასსა—მემორიალში ვწერთ „კასსის“ კრედიტში და „ხარჯების“ დებეტში. (იხ. ნიმუში მუხლები 46, 50, 62, 84, და 175)

ფქვილს, რომელსაც ვიხმართ პურის გამოსაცხობად, ჩამოვწერთ გასავალში მხოლოდ დამხმარე დავთრის „ფქვილის ანგარიში.“ კასსა—მემორიალში კი ეს ბრუნვა არ იწერება. გამომცხვარს პურს ჯერ ვწერთ დამხმარე დავთრის „გამომცხვარი პურის ანგარიშის“ შემოსავალში *). როდესაც მეპურე გამომცხვარს პურს გადასცემს კოოპერატივის სავაჭროს გამგეს ან პასუხის მგებელ ნოქარს, ეს პური „გამომცხვარ პურის ანგარიშში“ ჩამოიწერება გასავალში (იხ. ნიმუში). კოოპერატივის გამგე ან ნოქარი გამომცხვარს პურს შეიტანს „საქონლის დღიურში“, როგორც ჩვეულებრივს საქონელს. ნაყიდობის ფასი გამომცხვარი პურისა იქნება ღირებულება მასზე დახარჯულ ფქვილისა, ხოლო გასაყიდი ფასი გამოიანგარიშება ნიხრის მიხედვით. ამის შემდეგ გამომცხვარი პური, როგორც შემოსული საქონელი, ჩაიწერება კასსა—მემორიალის „საქონლის“ დებეტში და „თონის ანგარიშის“ კრედიტში (იხ. კას.—მემ. ნიმუში მუხლები 70, 78. და 85). განსხვავებას ნაყიდობის და გასასყიდი ფასებისას ანუ დადებულს მოგებას ვწერთ, როგორც ჩვეულებრივ საქონელზე დადებულს მოგებას, „საქონლის“ დებეტში და „ხარჯების“ კრედიტში (იხილე ნიმუში მუხლები 71, 79 და 86).

ქატო, რომელიც აუვა, უნდა ჩამოიწეროს „ფქვილის ანგარიშის“ გასავალში იმ ღირებულებით, რაც ღირს ქატოს წონის ფქვილი. (იხილე ნიმუში) ქატოს ღირებულებას ვწერთ კასსა—მემორიალშიც „თონის ანგარიშის“ კრედიტში და „ხარჯების“ დებეტში (იხ კას.—მემ. ნიმ. მუხლი 88). თუ ქატო გაიყიდა, ბრუნვა ჩაიწერება მხოლოდ კასსა—მემორიალში—„კასსის“ დებეტში და „ხარჯების“ კრედიტში, როგორც შემთხვევითი შემოსავალი. (იხილე ნიმუში მუხლი 89).

თუ ხორბლის დაფქვის შემთხვევა გვექნება, დასაფქველად აღებული ხორბლის რაოდენობა და ღირებულება ჩამოიწერება „ხორბლის ანგარიშის“ გასავალში, ხოლო მიღებული ფქვილი იწერება „ფქვილის ანგარიშის“ შემოსავალში (იხილე ნიმუშები). ეს ბრუნვა კასსა-მემორიალშიაც ჩაიწერება ასე: „თონის ანგა-

---

*) ჩვენს ნიმუშში გამომცხვარი პური ფქვილის წონასთან შედარებით 13 გირ. მეტი გვაქვს აღნიშნული, რადგანაც გამოცდილებით მიღებულია, რომ თვითეულ ფუთ ფქვილზე გამომცხვარი პური მატულობს 13 გირვანქას. ეს, რასაკვირველია, ადგილობრივაც უნდა შემოწმდეს.

# ნიმუში კასსა-მემორიალისა.

1918 წ. იანვარი.

| რიცხვი | №№ ორიგინალების | შინაარსი ბრუნვისა | საერთო ბრუნვა | კასსა | | საქონელი | | თონის ანგარიში | | ხარჯები და შემოსავალი | | ქონება | | და სხვა ანგარიშები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | დებ. | კრედ. | დებ. | კრედ. | დებ. | კრედ. | დებ. | კრედ. | დებ. | კრედ. | |
| 8 | 10 | მიეცა თონის მოწ. ორ. № 25 | 1000 | — | 1000 | — | — | — | — | — | — | 1000 | — | |
| — | 25 | მოვისყიდეთ ფქვილი ორ. № 40 | 2000 | — | 2000 | — | — | 2000 | — | — | — | — | — | |
| — | 30 | მოვისყიდეთ ხორბალი № 48 | 3000 | — | 3000 | — | — | 3000 | — | — | — | — | — | |
| — | 46 | მიეცა ღღნ. და საწ. ქირა ორ. № 50 | 20 | — | 20 | — | — | — | — | 20 | — | — | — | |
| — | 50 | მოვისყიდეთ შეშა თონისთ. № 59 | 15 | — | 15 | — | — | — | — | 15 | — | — | — | |
| — | 62 | მარილი და სხვა წვრ. ხარ. № 75 | 10 | — | 10 | — | — | — | — | 10 | — | — | — | |
| — | 70 | შემ. თონ. კოოპ. სავაჭროში გამომცხვარი პური 2 ფ. 26 გ. | 200 | — | — | 200 | — | — | 200 | — | — | — | — | |
| — | 71 | ამ პურზე დადებული მოგება | 65 | — | — | 65 | — | — | — | — | 65 | — | — | |
| 9 | 78 | შემოვიდა თონიდან გამომცხვარი პური 4 ფ. | 300 | — | — | 300 | — | — | 300 | — | — | — | — | |
| — | 79 | ამ პურზე დადებული მოგება | 100 | — | — | 100 | — | — | — | — | 100 | — | — | |
| 10 | 84 | მიეცა მეწ. ხორ. დაფ. № 90 | 10 | — | 10 | — | — | — | — | 10 | — | — | — | |
| — | 85 | შემოვიდა თონიდან გამომცხვარი პური 4 ფ. | 300 | — | — | 300 | — | — | 300 | — | — | — | — | |
| — | 86 | ამ პურზე დადებული მოგება | 100 | — | — | 100 | — | — | — | — | 100 | — | — | |
| — | 88 | ჩამოიწერა ხარჯებში თონ. ანგარიშიდან ქატო $1/_2$ ფ. | 50 | — | — | — | — | — | 50 | 50 | — | — | — | |
| — | 89 | გაიყიდა ქატო $1/_2$ ფ. | 10 | 10 | — | — | — | — | — | — | 10 | — | — | |
| — | 90 | დავაფქვევინეთ ხორბალი | 1000 | — | — | — | — | 1000 | 1000 | — | — | — | — | |
| — | 91 | ჩამოიწერა ხარჯ. თონ. ანგარიშიდან ხორბლის ნარჩენი | 50 | — | — | — | — | — | 50 | 50 | — | — | — | |
| 31 | 175 | მიეცა მეპ. ჯამაგ. ორ. № 320 | 60 | — | 60 | — | — | — | — | 60 | — | — | — | |
| | | სულ იანვარში | 8290 | 10 | 6115 | 1065 | — | 6000 | 1900 | 215 | 275 | 1000 | — | |
| | | დანარჩენი თვეების ჯამები | 9900 | — | 6500 | 3400 | — | 6000 | 2600 | 500 | 800 | — | | |
| | | სულ წლის დასაწყისიდან | 18190 | 10 | 12615 | 4465 | — | 12000 | 4500 | 715 | 1075 | 1000 | — | |
| | | ნაშთი თონეში: 1. ფქვილი | — | — | — | — | — | — | 5550 | — | — | — | — | |
| | | 2. ხორბალი | — | — | — | — | — | — | 1950 | — | — | — | — | |
| | | ბალანსი | | | | | | 12000 | 12000 | | | | | |

# თონის დამხმარე დავთარი

1. — I. ანგარიში ფქვილისა. — 1.

| შემოსავალი | წონა | ღირებულება | გასავალი | წონა | ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 8 იანვარს მოვისყიდეთ 4 ტომარა ფქვილი ფუთი 100 მ. . . | 20 ფ. | 2000 მ. | 8 იან. ვიხმარეთ ფქვილი პურის გამოსაცხობად . . . . | 2 ფ. | 200 მ. |
| | | | 9 იან. კიდევ . . . | 3 „ | 300 „ |
| 10 იან. შემოვიდა ფქვილი 20 ფ. ხორბლის დაფქვით . . . . | $19^1/_2$ ფ. | 1000 „ | 10 იან. კიდევ . . . | 3 „ | 300 „ |
| | | | 10 იანვ. ქატო აუვიდა | $^1/_2$ „ | 50 „ |
| დანარჩენ თვეებში მოსყიდული . . . | 60 ფ. | 6000 „ | დანარჩენ თვეებში ფქვილის გასავალი . . | 26 „ | 2500 „ |
| | | | ს უ ლ . . | $34^1/_2$ ფ. | 3450 მ. |
| | | | რჩება 1919 წ. 1-ლ იანვრისათვის. . . . | 65 „ | 5550 „ |
| | $99^1/_2$ ფ. | 9000 მ. | | $99^1/_2$ ფ. | 9000 მ. |

II. — II. ანგარიში ხორბლისა. — II.

| შემოსავალი | წონა | ღირებულება | გასავალი | წონა | ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 8 იანვარს მოვისყიდეთ 12 ტომარა ხორბალი ფუთი 50 მან. . | 60 ფ. | 3000 მ. | 10 იან. დავაფქვევინეთ ხორბალი . . | 20 ფ. | 1000 მ. |
| | | | „ ხარჯი აუვიდა ხორბალს . . . | 1 „ | 50 „ |
| | | | | 21 ფ | 1050 მ. |
| | | | რჩება 1919 წ. 1-ლ იანვრისათვის . . . | 39 „ | 1950 „ |
| | 60 ფ. | 3000 მ. | | 60 ფ. | 3000 მ. |

21. III. გამომცხვარი პურის ანგარიში. 21.

| შემოსავალი | წონა | ღირებულება ფქვილისა | გასასყიდი ფასი პურისა | გასავალი | წონა | ღირებულება ფქვილისა | გასასყიდი ფასი პურისა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 იან. გამოცხვა 2 ფ. ფქვილიდან პური გირვინქა 2 მან. 50 კ. . . . | 2 ფ. 26 გ. | 200 მ. | 265 მ. | 8 იან. გადაეცა კოოპერატივის სავაჭროს (ან პასუხის მგებელ ნოქარს) გამომცხვარი პური. | 2 ფ. 26 გ. | 200 მ. | 265 მ. |
| 9 იანვარს კიდევ 3 ფ. . . . | 4 „ — | 300 „ | 400 „ | 9 იან. კიდევ . . | 4 „ — | 300 „ | 400 „ |
| 10 იანვარს კიდევ 3 ფ. . . . | 4 „ — | 300 „ | 400 „ | 10 იან. კიდევ. . | 4 „ — | 300 „ | 400 „ |
| დანარჩენ თვეებში 26 ფ. ფქვილიდან გამოცხვა . | 34 „ — | 2600 „ | 3400 „ | დანარჩენ თვეებში . . . . . | 34 „ — | 2600 „ | 3400 „ |
| | 44 ფ. 26 გ. | 3400 მ. | 4465 მ. | | 44 ფ. 26 გ. | 3400 მ. | 4465 მ. |

რიშის“ კრედიტში ჩამოწერთ სრულიად დასაფქველად აღებულ ხორბლის ღირებულებას, ხოლო რადგანაც თონე ამავე ღირებულების ფქვილს იღებს, ამიტომ იმავე ჟამს ვწერთ „თონის ანგარიშის“ დებეტში (იხილე ნიმუში მუხლი 90).

ხორბლის ხრჯი (ნაკმაზი), რომელიც ხორბალს აუვა გაკეთების დროს, ჩაიწერება ისევე, როგორც ქატო (იხილე მუხლი 91).

ასე სწარმოებს თონის ან ფურნის ანგარიში მთელი წლის განმავლობაში. წლის ბოლოს კოოპერატივის საზოგადოთ ყველა ანგარიშების შეთავების დროს უნდა შეთავდეს თონის ანგარიშიც; ამისთვის უნდა აიწეროს თონეში და საწყობში დარჩენილი ფქვილი და მარცვლეული და შეედაროს ნაშთს, რომელიც რჩება დავთრებით. თუ ნამდვილად დარჩენილი ნაშთი უდრის დავთრების ნაშთს, ან იმდენი განსხვავებაა, რამდენიც მიღებულია ზომიერ დანაკლისად, ანგარიშები შეთავდება. იმის გასაგებად პურის საცხობმა მოგება, თუ ზარალი მოგვცა, უნდა საერთო „ხარჯების“ ანგარიშიდან გამოვკრიბოთ ჯერ პურზე დადებული მოგება, შემდეგ გაწეული ხარჯები და ეს ორი ჯამი შევადაროთ ერთმანეთს. თუ პირველი ჯამი აღემატება მეორეს, იქნება მოგება; თუ პირიქით მეორე ჯამი აღემატება პირველს, მივიღებთ ზარალს.

## 5. მომხმარებელ კოოპერატივის განყოფილებათა ანგარიშის წარმოება.

მომხმარებელ კოოპერატივების რაოდენობითი ზრდა ჩვენში თითქმის დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. უკვე იშვიათია ისეთი რაიონი, სადაც შეიძლებოდეს ახალი კოოპერატივის დაარსება. ხოლო რადგანაც თვითეული კოოპერატივის სამოქმედო რაიონში შედის რამდენიმე ერთი-ერთმანეთზე დაშორებული

სოფლებს, რომლებსაც კოოპერატივის ერთი სავაჭრო ვერა სწვდება, ამიტომ ამ ბოლო ხანებში ხშირი მოვლენაა შეიქნა ახალი კოოპერატივის დაარსება ისეთს სოფელში, რომელიც შედიოდა რომელიმე მახლობელ კოოპერატივის რაიონში. რადგანაც ასეთი გამოყოფა და ამ გვარად ახალი კოოპერატივის დაარსება იწვევს მოქმედ ძალების დაქსაქსვას და ნივთიერ საშვალებათა დანაწილებას, ამიტომ საჭიროა წინაღვუდგეთ ასეთს მოვლენას. ერთად-ერთი საშუალება უკვე არსებული კოოპერატივიდან ახალის გამოყოფის წინააღმდეგ საბრძოლველი არის განყოფილებათა გახსნა. ზოგიერთი კოოპერატივი უკვე დაადგა ასეთს გზას და გახსნა განყოფილებანი. აქ ჩვენ არ შევუდგებით დაწვრილებით იმის აღნიშვნას, თუ როგორ პირობებში უნდა გაიხსნას განყოფილება, რადგანაც ამ წერილში ჩვენ მიზნად გვაქვს მხოლოდ განმარტება ანგარიშის წარმოებისა ისეთი კოოპერატივის, რომელსაც აქვს განყოფილებანი. ყოველს შემთხვევაში უნდა შევნიშნოთ, რომ კოოპერატივის განყოფილება ამა თუ იმ სოფელში უნდა გაიხსნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სოფლიდან წევრები საკმარისად ჩაეწერებიან.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ განყოფილება შეადგენს მხოლოდ ნაწილს კოოპერატივისას და, მაშასადამე, იგი ანგარიშებსაც არ უნდა აწარმოებდეს საკუთრივ. განყოფილება აწარმოებს მხოლოდ ისეთს დავთრებს, რომლებშიაც ანგარიში გაეწევა განყოფილების საქონელს და ფულს, ამისთვის კი საკმარისია მხოლოდ „საქონლის“ და „კასსის“ დღიურების წარმოება. ამ დღიურების მიხედვით ფურცლებს საბუთებით (ორდერები, ხელწერილები, ანგარიშები და სხვა) განყოფილება უგზავნის კოოპერატივის მოანგარიშეს კოოპერატივის საერთო დავთრებში გასატარებლად.

კოოპერატივი განყოფილებას კასსა-მემორიალის ერთ-ერთს თავისუფალს უჯრაში უხსნის განსაკუთრებულს ანგარიშს სახელწოდებით „ანგარიში არაშენდის განყოფილებისა“. თუ კოოპერატივს რამდენიმე განყოფილება აქვს, საჭირო არ არის ყველა განყოფილებისათვის ცალ-ცალკე ანგარიშების გახსნა „კასსა-მემორიალში“. ყველა განყოფილებათა ანგარიშები „კასსა-მემორიალის“ ერთს უჯრაში უნდა მოთავსდეს საერთო სახელწოდებით „განყოფილებათა ანგარიში“. ასეთს შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა ცალკე დამხმარე დავთრები თვითეულ განყოფილებისათვის. „კასსა-მემორიალის“ „განყოფილებათა ანგარიშში“ იწერება მხოლოდ საქონლის ბრუნვები. (დებეტში იწერება მთავარი დუქნიდან განყოფილებისავე მიერ ნაყიდი საქონელი, ხოლო კრედიტში—საქონლის გასავალი: გაყიდული, დუქანში დაბრუნებული, გაფუჭებული, უკან დაბრუნებული და სხვა). განყოფილების ყველა დანარჩენი ბრუნვები იწერება კოოპერატივის საერთო ანგარიშებში. მაგალითად, ქონება, შეძენილი განყოფილებისათვის, იწერება „კასსა-მემორიალის“ „ქონების“ ანგარიშში; განყოფილების ხარჯებიც იწერება აგრეთვე საერთო „სავაჭრო ხარჯების“ ანგარიშში. რომ ვიცოდეთ, თუ რა და რა ქონებაა ამა თუ იმ განყოფილებაში, ქონების დამხმარე დავთარში ვწერთ ცალკე იმ ქონებას, რომელიც ნაყიდია ამ განყოფილებისათვის. ასევე ვიქცევით სავაჭრო ხარჯების თვიურ დავთარშიაც.

რომ უფრო გასაგები იყოს ჩვენი საუბარი, ქვემოდ მოვიყვანთ სამაგალითო ბრუნვებს, რომელსაც ადგილი ექნებათ განყოფილებიან მომხმარებელ კოოპერატივში.

**1. განყოფილების დუქნისათვის მოწყობილების შეძენა.** ეს ბრუნვა „კასსა-მემორიალში" ჩაიწერება ასე: „კასსის" ანგარიშის კრედიტში და „ქონების" ანგარიშის დებეტში. დამხმარე ქონების დავთარში ცალკე გამოვყოფთ რამდენიმე ფურცელს და დაწვრილებით ჩავწერთ, თუ რა და რა ქონებაა შეძენილი განყოფილებისათვის. თუ განყოფილებას კოოპერატივის მთავარი დუქნიდან გაეგზავნება წინად ნაყიდი ქონება, რომელიც უკვე ჩაწერილი იქნება „ქონების" ანგარიშში, ეს ბრუნვა „კასსა მემორიალში" არ გატარდება; გაგზავნილი ნივთი ჩამოიწერება დამხმარე ქონების დავთრის მთავარი დუქნის სიიდან და გადაიწერება განყოფილების ქონების სიაში. თუ განყოფილება უკან დაუბრუნებს მთავარ დუქანს რაიმე ქონებას, ჩამოიწერება აგრეთვე დამხმარე ქონების დავთარში განყოფილების სიიდან და გადიწერება მთავარი დუქნის ქონების სიაში. დანარჩენი ბრუნვები ქონების შესახებ, როგორადაც: გაფუჭებულ-გატეხილი ქონების ჩამოწერა, წლის ბოლოს ქონების ღირებულების ნაწილის გაბათილება და სხვა იწერება ჩვეულებრივად.

**2. განყოფილების სავაჭრო ხარჯების გაწევა.** განყოფილების სავაჭრო ხარჯებს ეწევა კოოპერატივის მთავარი დუქანი და თვითონ განყოფილება. როგორც პირველს, აგრეთვე მეორე შემთხვევაში სავაჭრო ხარჯები „კასსა-მემორიალში" იწერება „კასსის" ანგარიშის კრედიტში და „სავაჭრო ხარჯების" დებეტში. დამხმარე „სავაჭრო ხარჯების თვიურ დავთარში ცალკე ვწერთ განყოფილების ხარჯებს, რათა წლის ბოლოს მზა-მზარეულად გვქონდეს მთელი ჯამი განყოფილებაზე გაწეული ხარჯებისა. რასაკვირველია, გაწეული სავაჭრო ხარჯები სანამ „კასა მემორიალში" ჩაიწერებოდეს უნდა გატარდეს „კასსის" დღიურში. თუ ხარჯებს გასწევს მთავარი დუქანი, „კასსის" დღიურშიაც მთავარი დუქანი გაატარებს. ხოლო თუ ხარჯებს გაიღებს განყოფილება, „კასსის" დღიურშიაც ეს უკანასკნელი ჩასწერს. (იხილე ნიმუში).

**3. საქონლის შემოსავალი.** განყოფილება საქონელს იღებს ორი გზით, — **ან** მთავარი დუქნიდან და ან სყიდვით.

**ა. საქონლის მიღება მთავარი დუქნიდან.** განყოფილება უმთავრესად საქონელს ღებულობს მთავარი დუქნიდან. საქონელს მთავარი დუქანი უგზავნის განყოფილებას ნუსხით, რომლის ნიმუშიც აქვე მოგვყავს. ნუსხაში იწერება გაგზავნილი საქონლის რაოდენობა და ფასები ნაყიდობისა და გასასყიდი.

ნიმუში I. საქონლის ნუსხა №

| სახელწოდება საქონლისა | რაოდენობა | წონა | | ნაყიდობის | | | | გასასყიდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფასი | | ღირებ. | | ფასი | | ღირებ. | |
| | | ფ. | გირ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| შაქარი . . . . | 2 ტომ. | 12 | — | 32 | — | 384 | — | 40 | — | 480 | — |
| ჩაი . . . . | 1 ყუთი | 1 | — | 400 | — | 400 | - | 480 | — | 480 | — |
| საპონი . . . . | 1 „ | 3 | — | 40 | — | 120 | — | 50 | — | 150 | — |
| სპიჩკა 1 ყუთი . . . | 1000 ც. | — | — | — | 10 | 100 | — | — | — | 120 | — |
| სულ . . | — | — | — | — | - | 1004 | — | — | — | 1230 | — |

**მთავარი დუქნის გამგე**..................

ნუსხა საქონლისა იწერება სამ პირად. რომ გაადვილდეს სამპირის დაწერა, პირველი პირი უნდა იწერებოდეს ქიმიური ფანქარით, ხოლო მეორე და მესამე ფურცლებს შუა უნდა ჩაიწყოს გადასაყვანი ქაღალდი, რომლის საშუალებითაც სამივე პირი ერთად დაიწერება. პირველი ორი პირი ნუსხისა მთავარი დუქნის გამგის მიერ ხელმოწერილი საქონელთან ერთად ეგზავნება განყოფილებას. განყოფილების გამგე ერთ პირს ნუსხისას თვითონ იტოვებს, ხოლო მეორე თავისი ხელმოწერილს აბრუნებს მთავარს დუქანში, რომელიც ინახავს როგორც საბუთს საქონლის გასავლისას.

განყოფილებაში გაგზავნილს საქონელს მთავარი დუქნის გამგე გამოსწერს გასავალში მთავარი დუქნის „საქონლის“ დღიურში ამ გვარად: საქონლის ნაყიდობის ღირებულებას ჩამოსწერს დღიურის მუხლში: „გაიგზავნა განყოფილებაში“, ხოლო საქონელზე დადებულს ფასს (ნაყიდობის და გასასყიდი ფასების განსხვავება—ჩვენს მაგალითში 1230—1004—226 მანეთს) ჩამოსწერს მუხლში „ფასის დაკლება“ (იხილე მთავარი დუქნის საქონლის დღიური).

### ნიმ. П. მთავარი დუქნის საქონლის დღიური.

საქონლის დღიური №..................

1918 წ. იანვარის „7“

**საქონლის გასავალი**

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| გაიყიდა საქონელი ნაღდზე . . . | — | |
| დაიხარჯა დუქნის საჭიროებისათვის . . | — | — |
| დაეთმო მყიდველებს დაწესებული ფასიდან . | — | — |
| ფასის დაკლება . . . . . | 226 | — |
| დაწუნებული და გაფუჭებული . . . | — | — |
| დაუბრუნდა უკან . . . . . | — | — |
| გაიგზავნა განყოფილებაში . . . | 1004 | — |
| სულ დღის განმავლობაში . . | 1230 | — |

გამგე (ან ნოქარი).............................

გამგეობის წევრი..................................

მოსახვევი გვერდი დღიურისა; იწერება იქვევე.

„კასსა-მეშორიალში“ გაგზავნილი საქონელი ჩაიწერება საქონლის „კრედიტში“ და „განყოფილების ანგარიშის“ დებეტში ცალ-ცალკე ჯერ საქონლის ნაყიდობის ფასით დაშემდეგ ამ საქონლის მოგება. განყოფილების გამგე მიღებულს სა-

ქონელს ადარებს ნუსხაში აღნიშნულს რაოდენობას და, თუ სწორედ აღმოჩნდა, ჩასწერს განყოფილების „საქონლის“ დღიურის შემოსავალში (იხილე ნიმუში).

ნიმ. III. განყოფილების საქონლის დღიური.

| საქონლის დღიური №........... 1918 იანვრის „7“ **საქონლის შემოსავალი** | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ნაყიდობა | | გასასყიდი ფასი | | მოსახვევი გვერდი დღიურისა; იწერება იგივე. |
| გადმოტანილი წლის დასაწყისიდან | — | — | — | — | |
| მიღებულია მთავარი დუქნიდან საქონელი ნუსხა № . . . | 1004 | — | 1230 | — | |
| ........................................ | — | — | — | — | |
| ........................................ | — | — | — | — | |
| დღის განმავლობაში . . . | 1004 | — | 1230 | — | |
| აიწია საქონლის ფასი . . | × | × | — | — | |
| სულ აწეული ფასით . | 1004 | — | 1230 | — | |

გამგე

ბ) **საქონლის სყიდვა განყოფილების მიერ.** თუ განყოფილებას შემთხვევა ექნება საქონლის სყიდვისა, ნაყიდს საქონელს განყოფილება თითონვე განიხრავს ანუ დაადებს გასასყიდს ფასს. ნაყიდი საქონლის ღირებულება ჩაიწერება განყოფილების ,,კასსის'' დღიურის გასავალში და ,,საქონლის'' დღიურის შემოსავალში. ,,კასსა-მემორიალში'' ჩაიწერება ,,კასსის'' კრედიტში და ,,განყოფილების ანგარიშის'' დებეტში. ასეთს საქონელზე დადებული მოგება ჩაიწერება „განყოფილების ანგარიშის“ დებეტში და „ხარჯების'' კრედიტში.

4 **საქონლის გასავალი. ა. გაყიდვა საქონლისა.** ვაჭრობა განყოფილებაში უნდა ხდებოდეს ,,ჩეკებით'', რისთვისაც საჭიროა განყოფილებაში განსაკუთრებული მოლარეს ყოლა. თუ განყოფილება პატარაა და ნოქარი შესძლებს ფულის მიღებასაც, მაშინ ,,ჩეკები'' აღარ იქნება საჭირო. ასეთს შემთხვევაში ნოქარს უნდა საწინდარი ჰქონდეს შეტანილი კოოპერატივში. სადამოთი ნავაჭრი პირველს შემთხვევაში გამოითვლება ,,ჩეკებით'', ხოლო მეორე შემთხვევაში დაითვლება დახლი... თუ რაიმე შემთხვევითი შემოსავალი იყო დღის განმავლობაში, ასეთი შემოსავალი გამოაკლდება საერთო დახლს და დანარჩენი იქნება დღიური ნავაჭრი.

საქონლის დღიურს ნავაჭრს განყოფილების ნოქარი ჯერ სწერს ,,საქონლის'' დღიურის გასავალში — ,,გაიყიდა ნაღდზე'', შემდეგ ,,კასსის'' დღიურის შემოსავალში — ,,შემოვიდა ნავაჭრი''; ,,კასსა-მემორიალში'' განყოფილების ნავაჭრი ჩაიწერება ,,კასსის'' დებეტში და განყოფილების კრედიტში. (იხილე ნიმუში).

ბ. **უკან დაბრუნება საქონლისა.** თუ განყოფილებას ექნება შემთხვევა საქონლის უკან დაბრუნებისა, განყოფილების ნოქარი უკან დაბრუნებულ საქონლის ღირებულებას გასასყიდი ფასით ჩამოსწერს მხოლოდ ,,საქონლის'' დღიურის გასავალში. ,,კასსა-მემორიალში'' ჩაიწერება ,,საქონლის'' ანგარიშის დებეტში და „განყოფილების'' ანგარიშის კრედიტში (იხილე ნიმუში).

გ. **დუქნის საჭიროებისათვის დახარჯული და გაფუჭებული საქონელი.** საქონელი, რომელიც დაიხარჯება დუქანში (ნავთი, სპიჩკა, ქაღალდი მელანი და სხვა), ან გაფუჭდება და გასასყიდათ უვარგისი გახდება ჩამოიწერება განყოფილების ,,საქონლის'' დღიურის გასავალში თავ თავის უჯრაში. ,,კასსა-მემორიალში'' ასეთი საქონლის ღირებულება გასასყიდი ფასით ჩაიწერება ,,განყოფილების'' ანგარიშის კრედიტში და ,,ხარჯების'' დებეტში (იხ. ნიმუში).

ნიმუში IV. განყოფილების საქონლის დღიური.

საქონლის დღიური №..................

1918 იანვრის ,,7''

**საქონლის გასავალი**

| | მან. | კ. | |
|---|---|---|---|
| გაიყიდა საქონელი ნაღდზე | 200 | — | მოსახვევი მეორე დღიურისა; იწერება იგივე. |
| დაიხარჯა დუქანში . . . . . . | 10 | — | |
| გაფუჭებული საქონელი . . . . | 20 | — | |
| უკან დაბრუნებული . . . . . . | 100 | — | |
| **სულ** . | 330 | — | |

გამგე ან (ნოქარი)..................................................

გამგეობის წევრი..................................................

## ნიმუში V. კასსა-ჟურნალი.

| შინაარსი ბრუნვისა | საერთო ბრუნვა | კასსა | | საქონელი | | განყოფილება | | ხარჯები და შემოსავალი | | ქონება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დებ. | კრ. | დებ. | კრ. | დებ. | კრ. | დებ | კრ. | დებ. | კრ. |
| ნაყიდია ქონება განყოფილებისათვის . . . . | 500 | — | 500 | — | — | — | — | — | — | 500 | — |
| მიეცა განყოფილების დუქნის ქირა . . . . . | 100 | — | 100 | — | — | — | — | 100 | — | — | — |
| გაეგზავნა განყოფილებას საქონელი . . . . | 1004 | — | — | — | 1004 | 1004 | — | — | — | — | — |
| ამ საქონლის მოგება გადაიწ. გან. ანგ. . . . . | 226 | — | — | — | 226 | 226 | — | — | — | — | — |
| საქონელის გადასატანი ხარჯი განყოფილ. . . . | 5 | — | 5 | — | — | — | — | 5 | — | — | — |
| იყიდა განყოფილებამ საქონელი . . . . . | 300 | — | 300 | — | — | 300 | — | — | — | — | — |
| ამ საქონლის მოგება . . | 50 | — | — | — | — | 50 | — | — | 50 | — | — |
| შემოვიდა განყოფილების ნავაჭრი . . . . . | 200 | 200 | — | — | — | — | 200 | — | — | — | — |
| განყოფილებიდან დაბრუნებული საქ. . . . . | 100 | — | — | 100 | — | — | 100 | — | — | — | — |
| განყ. დუქნის საჭიროებ. დახარჯ. . . . . . | 10 | — | — | — | — | — | 10 | 10 | — | — | — |
| ჩამოწ. განყოფ გაფუჭ საქონ | 20 | — | — | — | — | — | 20 | 20 | — | — | — |

**5. წლიური ანგარიშის შედგენა.** კოოპერატივი, რომელსაც ერთი ან რამდენიმე განყოფილება აქვს, წლიურს ანგარიშს ადგენს ისევე, როგორც ჩვეულებრივი კოოპერატივი; განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ „კასსა-ჟურნალში" საბოლოო ბალანსის გამოყვანის დროს საწყობში და თვითეულ განყოფილებაში დარჩენილ საქონლის ღირებულებას ცალ-ცალკე ჩამოსწერს. ცალ-ცალკევე იწერება განყოფილებებში და საწყობში დარჩენილ საქონელზე დადებული მოგება.

იმის გასაგებად თვითეული განყოფილება იძლევა მოგებას, თუ ზარალს, უნდა შესდგეს ცალ-ცალკე ყველა განყოფილების მოგება-ზარალის ანგარიშები. ამ ანგარიშის კრედიტში ჩაითვლება ის მოგება, რომელიც დადებული იყო განყოფილებაში გაგზავნილს საქონელზე, განყოფილების მიერ ნაყიდს საქონელზე და აგრეთვე რაიმე შემთხვევითი მოგება განყოფილებისა, ხოლო დებეტში განყოფილების ხარჯები განყოფილების მიერ გაწეული, კოოპერატივის საერთო ხარჯების ნაწილი, რომელიც შეხვდება განყოფილებას პროპორციონალურად მისი საერთო ბრუნვისა და აგრეთვე განყოფილებაში დარჩენილ საქონელზე დადებული მოგება. განსხვავება დებეტისა და კრედიტის ჯამებისა გვიჩვენებს განყოფილების მოგებას ან ზარალს.

## 6. წევრთა ნაწარმოების მიღება საქონელში.

ზოგიერთი კოოპერატივი ფულის მაგიერ საქონელში იღებს წევრთა ნაწარმოებს, როგორადაც: კვერცხებს, ერბო-ყველს, წინდებს, მატყლს, ქინახულს და სხვა. ჩვეულებრივად კოოპერატივი არავითარ ანგარიშს არ უწევს ასეთს საგნებს. ნოქარი იღებს, მაგალითად, კვერცხებს, როგორც ნაღდს ფულს. ვიდრე კვერცხებს გაჰყიდიდეს, საქონელი, რომელიც მიცემულია საბადლოდ კვერცხებში, იგულისხმება გაუყიდავად, ხოლო როდესაც კვერცხები გაიყიდება, მაშინ ნოქარი კვერცხების გაყიდვით აღებულ ფულს უთვლის ხაზინადარს, როგორც ნავაჭრს. ასეთი წესი სწორი არ არის ჯერ ერთი იმიტომ, რომ კვერცხის და საბადლოდ მიცემულ საქონლის ფარდვა ძნელდება და მეორეც—მოგება, რომელიც შეიძლება კვერცხების გაყიდვით შემოვიდეს, ეკარგება კოოპერატივს. რომ ეს მოგება არ დაჰკარგოს, კოოპერატივმა წესად უნდა დაიდოს უპირველეს ყოვლისა მიღება რაიმე ზემოდ ჩამოთვლილ საგნისა ნაღდს ფულზე, როგორც ჩვეულებრივად ნაყიდ საქონლისა. კოოპერატივში გადასაცვლელად მიტანილს, მაგალითად, კვერცხებს იგი იღებს ნაღდს ფულზე. ამ ფულს აძლევს კვერცხების მომტანს და ეს უკანასკნელი ყიდულობს იმ საქონელს, რომელიც მას ჰსურს. ნოქარი ან გამგე მთელი დღის განმავლობაში იღებს კვერცხებს, ერბოს, მატყლს, ქინახულს და სხვა და იწერს ცალკე დღიურში, რომლის ნიმუშიც ქვემოდ მოგვყავს. დღიურში ნოქარი სწერს ყოველ მიღებულ საგნის რაოდენობას, ფასს ერთი ცალის ან გირვანქის და მთლად მიღებულ საქონლის ღირებულებას.

1918 წ. იანვრის 3 სა.

| მიღებულია | | | | | | | | | | | ნაყიდობის | | | | გასასყიდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კვერცხი | ერბო | | ყველი | | მატყლი | | პური | | ქერი | | ფასი | | ღირებულება | | ფასი | | ღირებულება | |
| ცალი | ფუთი | გ. | ფუთ. | გ. | ფუთი | გ. | ფუთი | გ. | ფუთი | გ. | მან. | კ. | მან | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 10 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 20 | 2 | — | | | | |
| — | — | 10 | — | — | — | — | — | — | — | — | 5 | — | 50 | — | | | | |
| — | — | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | 3 | — | 120 | — | | | | |
| 20 | — | — | — | | — | — | — | — | — | — | — | 20 | 4 | — | | | | |

საღამოთი დღიური ნავაჭრის ჩაბარების დროს ნოქარი ხაზინადარს დღიურ ნავაჭრში უთვლის კვერცხებში და სხვა საგნებში მიცემულს ფულსაც. მთელი დღის განმავლობაში მიღებულ საგნებზე სდგება ანგარიში, რომელსაც ამოწმებს ხელის მოწერით ერთ-ერთი გამგეობის წევრი. მიღებულს საქონელს დაედება გა-

სასყიდი ფასი და, როგორც ჩვეულებრივი ნაყიდი საქონელი, ჩაიწერება საქონლის დღიურში და კასსა-მემორიალში.

ასეთი წესი ანგარიშის გაწევისა საკმარისია, თუ კოოპერატივი წევრთა ნაწარმოებს ცოტას იღებს. თუ, წინააღმდეგ, კოოპერატივი ფართოდ აწარმოებს წევრთა ნაწარმოების მიღება-გასაღების ოპერაციებს, მაგალითად ბლომად იღებს წევრთაგან ქინახულს, ზემოდ აღნიშნული წესი ანგარიშის გაწევისა საკმარისი არ იქნება. უკანასკნელს შემთხვევაში საჭიროა კასსა-მემორიალში ამ ოპერაციებს გაეხსნას ცალკე ანგარიში, რომელიც გვიჩვენებს მუდამ საჭიროების დროს ამ ოპერაციების მდგომარეობას; იგივე ანგარიში დაგვანახვებს შედეგს წევრთა ნაწარმოების მიღება გასაღების ოპერაციებისას. კასსა-მემორიალში გახსნილ ანგარიშს გარდა ამ ოპერაციებისათვის უნდა სწარმოებდეს ცალკე დამხმარე დავთრები, რომლებშიაც წევრთა ნაწარმოებს გაეწევა რაოდენობითი ანგარიში.

## 7. სახარაზოს ანგარიშის გაწევა.

ხშირი მოვლენაა, ჩვენში მომხმარებელ კოოპერატივებთან სახარაზოს მოწყობა წევრთათვის ჩუსტების დასამზადებლად. თითქმის იშვიათია ისეთი კოოპერატივი, რომელსაც სახარაზო—ეს ჩანასახი კოოპერატივის საკუთარი წარმოებისა—არა ჰქონდეს მოწყობილი, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ აღვწეროთ, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს სახარაზოს ანგარიშის გაწევა.

ვიდრე შევუდგებოდეთ სახარაზოს ანგარიშის წარმოების აღწერას, მოკლედ აღვნიშნავთ, თუ, როგორ უნდა მოეწყოს კოოპერატივთან სახარაზო საქმე.

ჩვეულებრივად კოოპერატივები იწვევენ ხარაზს თავისი იარაღით, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სახარაზოს აწყობს თვით კოოპერატივი. ხარაზს იწვევენ არა თვიური ჯამაგირით, არამედ ნაჭრობლივ, ე. ი. ხელფასი მიეცემა იმდენი რამდენ წყვილ ჩუსტსაც დაამზადებს ხარაზი გადაწყვეტილს ფასებში. კონტროლის გასაწევად ხარაზს ან უნდა წონით მიეცეს საჩუსტე მასალა და წონითვე იქნეს უკან მიღებული შეკერილი ჩუსტები, ან და უკეთესია, თუ კვირაში ერთ-ორ დღეს გამგეობის წევრის ზედამხედველობით ხარაზს მხოლოდ გამოაჭრევინებენ საჩუსტე მასალას, მიუთვლიან ამ გამოჭრილს მასალას და ხარაზი კვირის დანარჩენ დღეებში შეუდგება კერვას.

ზემოდ დასახელებული კანტროლის გასაწევი ორი საშუალება რასაკვირველია, არავისთვის სავალდებულო არ არის. შესაძლებელია პრაქტიკამ ადგილობრივ მომუშავეთ უკეთესი საშუალება დაანახოს კანტროლის შესასრულებლად.

სახარაზოს ანგარიშის გასაწევად კასსა-მემორიალის ერთ-ერთ თავისუფალს უჯრაში ეხსნება ცალკე ანგარიში, სახელწოდებით „სახარაზოს“ ანგარიში. ამ ანგარიშის დებეტში იწერება სახარაზოსათვის ნაყიდი მასალა-ტყავები, ძაფი, წმინდა სანთელი, კუპრი და სხვა. (იხ. ნიმუში მუხლები 3, 4, 5, და 6,) დებეტშივე ამავე ანგარიშისა იწერება ყველა სახარაზოზე გაწეული ხარჯები. (იხ. ნიმ. მუხ. 1 და 8) ავეჯი სახარაზოსათვის ნაყიდი იწერება კოოპერატივის ქონების საერთო ანგარიშში, (იხ. ნიმ. მუხ. 2) მხოლოდ დამხმარე ქონების დავთარში ცალკე სდგება სია სახარაზოს მოწყობილობა-ვეჯისა.

სახარაზოსათვის ნაყიდი მასალა კოოპერატივის ჩვეულებრივ საქონლის დღიურში არ იწერება.

საჩუსტე მასალა, რომელიც ხარაზს გადაეცემა შესაკერად, გასავალში არ ჩამოიწერება. გასავალში ჩამოიწერება მაშინ, როდესაც ხარაზი შეკერილს ჩუსტებს დაუბრუნებს კოოპერატივს. შეკერილი ჩუსტების ღირებულება გასასყიდი ფასით ჩამოიწერება კასსა-მემორიალის ,,სახარაზოს'' ანგარიშის კრედიტში (იხ. ნიმ. მუხ. 8). დამზადებული ჩუსტები უნდა მიეთვალოს ნოქარს და ჩაიწეროს საქონლის დღიურშიაც როგორც ჩვეულებრივად შემოსული საქონელი ნაყიდობის და გასასყიდი ფასებით. ნაყიდობის ფასი ჩუსტებისა იქნება ისე, რაც უღირს თვით კოოპერატივს დამზადებული ჩუსტები, ე. ი. მასალის ღირებულება, ხარაზის ხელფასი და სხვა სახარაზოს ხარჯები. დამზადებული ჩუსტები იწერება კასსა-მემორიალის ,,საქონლის'' ანგარიშშიც. გაყიდული ჩუსტები ჩაიწერება, როგორც ჩვეულებრივად გაყიდული საქონელი, ანუ ნავაჭრი „კასსის" შემოსავალში და „საქონლის" გასავალში. (იხ. ნიმ. მუხ. 9). ქვემოდ მოგვყავს კასსა-მემორიალის ნიმუში, რომელშიაც გატარებულია სახარაზოს სამაგალითო ბრუნვები. ნიმუშში სიადვილისათვის მოგვყავს კასსა-მემორიალის ის ანგარიშები, ანუ სვეტები, რომლებიც სახარაზოს შეეხება.

| შინაარსი ბრუნვებისა | საერთო ბრუნვა | კასსა | | საქონელი | | ხარჯები და შემოსავალი | | ქონება | | სახარაზო | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დებ. | კრ. | დებ. | კრ. | დებ | კრ | დებ. | კრ. | დებ. | კრ. |
| 1. მიეცა სახარაზო შენობის ქირა | 50 | — | 50 | — | — | — | — | — | — | 50 | — |
| 2. „ სახარაზოს მოწყობ.—ვეჯში | 500 | — | 500 | — | — | — | — | 500 | — | — | — |
| 3. მოვისყიდეთ სახარაზოსათვის ტყავი. | 1000 | — | 1000 | — | — | — | — | — | — | 1000 | — |
| 4. „ „ ძაფი | 10 | — | 10 | — | — | — | — | — | — | 10 | — |
| 5. „ „ სანთელი | 10 | — | 10 | — | — | — | — | — | — | 10 | — |
| 6. „ „ კუპრი | 5 | — | 5 | — | — | — | — | — | — | 5 | — |
| 7. მიეცა ხარაზს ხელფასი | 80 | — | 80 | — | — | — | — | — | — | 80 | — |
| 8. შემოვიდა ხარაზისაგან ჩუსტები ანგ. № 1 | 800 | — | — | 800 | — | — | — | — | — | — | 800 |
| 9. „ ნავაჭრი | 400 | 400 | — | — | 400 | — | — | — | — | — | — |
| 10 გადაირიცხა ხარჯების და შემოსავლის ანგარიში სახარაზოს მოგება | 145 | — | — | — | — | — | 145 | — | — | 145 | — |
| სულ წლის განმავლობაში | 3000 | 400 | 1655 | 800 | 400 | — | 145 | 500 | — | 1300 | 800 |
| რჩება სახარაზო მასალა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 500 |
| | | | | | | | | | | 1300 | 1300 |

მთელი წლის განმავლობაში ბრუნვები სახარაზოს შესახებ იწერება ისე, როგორც ეს არის გატარებული ნიმუშის პირველ ცხრა ბრუნვაში. წლის ბოლოს, როდესაც შევათავებთ ყველა ანგარიშებს, როგორც ეს ზემოდ თავის დროზე გვქონდა აწერილი, უნდა შევათავოთ სახარაზოს ანგარიშიც. ამ მიზნით ჯერ უნდა აიწეროს, თუ რამდენისაა დარჩენილი სახარაზო მასალა. დარჩენილ სახარაზო მასალის ღირებულებას (ჩვენს ნიმუშში 500 მანეთს) ვუმატებთ „სახარაზოს“ ანგარიშის კრედიტს (ჩვენი ნიმუშში 800+500=1300 მ.) და ამის შემდეგ ვიგებთ ანგარიშის სალდოს, რომელიც გვიჩვენებს სახარაზო ოპერაციების მოგებას ან ზარალს. ჩვენს ნიმუშში სახარაზო ოპერაციების მოგება უდრის (1300—1155) 145 მანეთს, ეს მოგება უნდა გადაირიცხოს საერთო „ხარჯების და შემოსავლის“ ანგარიშში (იხ. ნიმ. მუხლი 10) და ამგვარად კოოპერატივის საერთო მოგებას მიეთვალოს სახარაზოს მოგებაც. თუ ვინიცობაა, სახარაზო ზარალს მისცემს კოოპერატივს, ზარალი გადმოიწერება კოოპერატივის საერთო ხარჯებში და დაიფარება კოოპერატივის საერთო მოგებით.

# სარჩევი.


წინასიტყვაობა . . . . . . . . . . . III
შესავალი . . . . . . . . . . . 5
I. მოკლე ცნობები საზოგადო ანგარიშის წარმოებიდან ანუ ბუჰგალტერიიდან . —
II. ძირითადი საფუძველნი ანგარიშთა წარმოებისა . . . . . 7
III. საანგარიშო დავთრები. . . . . . . . . 12
მომხმარებელ კოოპერატივის ანგარიშის წარმოება. . . . . . 13
I. საანგარიშო დავთრები და საბუთები . . . . . . . —
II. კასსის შემოსავლის და გასავლის ორდერები. . . . . . 14
1. შემოსავლის ორდერი . . . . . . . . —
2. გასავლის ორდერი . . . . . . . . —
III. წინასწარი დამხმარე დავთრები. . . . . . . . 16
1. კასსის დღიური . . . . . . . . . —
2. საქონლის დღიური . . . . . . . . . 17
IV. მთავარი დავთარი ანუ კასსა-მემორიალი. . . . . . . 25
დანიშნულება კასსა-მემორიალისა . . . . . . . . —
კასსა-მემორიალის ფორმა . . . . . . . . . —
კასსა-მემორიალის წარმოება . . . . . . . . 26
საბუთები კასსა-მემორიალში ჩასაწერად . . . . . . . 30
ბრუნვათა ჩაწერა კასსა-მემორიალში . . . . . . . —
კასსა-მემორიალის გვერდის ჯამები და შემოწმება გვერდზე ჩანაწერისა. . . 37
კასსა- მემორიალის ჯამები თვიური და წლის დასაწყისიდან . . . 39
თვიური ბრუნვათა უწყება და ანგარიშთა მდგომარეობა ანუ ბალანსი . —
მომხმარებელ კოოპერატივის თვიური ანგარიში . . . . . 41
V. დამატებითი დამხმარე დავთრები. . . . . . . . 45
1. წევრთა საპაიო დავთარი . . . . . . . . —
წევრთა საანგარიშო წიგნაკი . . . . . . . . 47
2. ქონების დავთარი . . . . . . . . . —
3. საპირადო ანგარიშების დავთარი . . . . . . . 50
4. საწევრო გადასახადის, სათადარიგო და სხვა თანხების დავთარი . . 58
VI. კასსა-მემორიალის წლიური შეთავება . . . . . . 62
VII. საქონლის შემოწმება (დუქნის აღწერა). . . . . . 68
VIII. წლიური ანგარიშის შედგენა . . . . . . . 70
IX. დავთრების წარმოება მეორე წლიდან . . . . . . 78
X. კასსა-მემორიალის ნიმუში . . . . . . . . 79
დამატება . . . . . . . . . . . 110
1. პაიზე სარგებლის და ნავაჭრზე საჩუქრის გამოთვლა . . . . .
2. სარევიზიო კომისიის მოვალეობა და მოქმედება . . . . . 111
3. კოოპერატივის საქმის წარმოება . . . . . . . —
4. კოოპერატივთან არსებულ თონის ანგარიშის წარმოება . . . . 115
5. მომხმარებელ კოოპერატივის განყოფილებათა ანგარიშის წარმოება . . 119
6. წევრთა ნაწარმოების მიღება საქონელში . . . . . . 126
7. სახარაზოს ანგარიშის გაწევა . . . . . . . . 127

# უმთავრეს შეცდომათა გასწორება.

| | | | | | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|---|---|---|---|---|
| გვერდი | 5 | სტრიქონი | 10 | ზემოდან | თანხა საკუთარი და სხვა | თანხა. საკუთარი და სხვა |
| „ | — | „ | 11 | „ | თანხა. ეწოდება და სხ. | თანხა ეწოდება და სხ. |
| „ | 8 | „ | 2 | ქვემოდან | ნივთიერი და პირობითი | ნივთიერი ან პირობითი |
| „ | 15 | „ | 2 | „ | სრულიად | სრულად |
| „ | 17 | „ | 3 | ზემოდან | საპაიო და მესამეზე და სხ. | საპაიო, მესამეზე და სხ. |
| „ | „ | „ | 5 | „ | სტრიქონზე, | სტრიქონზე. |
| „ | 18 | „ | — | ჯამი 280 | დაბეჭდილია ხაზ ზევით | უნდა იყოს ხაზს ქვეშ. |
| „ | 26 | „ | 6 | ზემოდან | თოხის | თონის |
| „ | 30 | „ | 16 | „ | თუ რამე | თუ რამდენი |
| „ | „ | „ | „ | „ | თუ რაიმე | თუ რამდენი |
| „ | „ | „ | 7 | ქვემოდან | საბუთებით | საბუთები |
| „ | 33 | „ | 9 | „ | 33 | 32 |
| „ | „ | „ | 4 | „ | მიცემის | მიცემული |
| „ | 51 | „ | 4 | ზემოდან | ჩაერთვას | დაერთვას |
| „ | 51 | „ | 15 | „ | 20 „ | 5 „ |
| „ | „ | „ | 16 | „ | 20 „ | 5 „ |
| „ | „ | „ | 17 | „ | 20 „ | 5 „ |
| „ | „ | „ | 5 | ქვემოდან | 10 იანვარს | 5 იანვარს |
| „ | „ | „ | 4 | „ | 15 „ | 5 „ |
| „ | „ | „ | 2 | „ | 32 15 იანვარს | 30 5 იანვარს |
| „ | 54 | „ | 6 | „ | 3 თებერვ. | 1 თებერვ. |
| „ | 56 | „ | 4 | ზემოდან | 1615 წ. | 1915 წ. |
| „ | 63 | „ | 3 | ქვემოდან | ($^1/-_2$ $^0/_0$ და სხ. | ($^1/_2$—1$^0/_0$ და სხ. |
| „ | 69 | „ | 12 | „ | ს. ლ 1949-05 - - 2290 - | 2436-40 - - 2866-40 |
| „ | 75 | აქტივში | | | ავანსი, თანხა კოოპერატივთა და სხ. | ავანსი კოოპერატივთა და სხ. |
| „ | „ | პასივში | | | საპაიო თანხა 3289—58 | საპაიო თანხა 3189—58 |
| „ | „ | „ | | | კავშირიდან წაღებული | კავშირიდან წამოღებული |
| „ | 78 | სტრიქონი | 18 | ქვემოდან | კოოპერატივსა ევალება | კოოპერატივს ევალება |
| „ | 82 | ხარჯების და შემოსავლის უჯრაში ციფრი 50 არის მერვე სტრიქონზე ქვემოდან უნდა იყოს მეშვიდე სტრიქონზე ქვემოდან. | | | | |
| „ | 83, 85, 87 და 89 | საპაიო თანხის მარცხენა უჯრის სახელწოდება უნდა იყოს მარჯვენა უჯრაში და მარჯვენისა წინაალმდეგ მარცხენისაში. | | | | |
| „ | 84 | სტრიქონი | 15 | ქვემოდან | საქონელ. . . | საქონლის ფასი |
| „ | 86 | „ | 18 | „ | 24 5 | 24 „ |
| „ | „ | „ | 13 | „ | 26 6 | 26 „ |
| „ | 88 | ხარჯების და შემოსავლის უჯრაში ციფრი 37—50 არის მეექვსე სტრიქონზე ქვემოდან უნდა იყოს მეშვიდეზე ქვემოდან. | | | | |
| „ | 88 | სტრიქონი | 13 | ქვემოდან | მივისყიდეთ. | მოვისყიდეთ |
| „ | 90 | „ | 6 | „ | 36 | 46 |
| „ | 92, 93, 94, 95, 96 და 97 | სტრიქონი | 1 | ზემოდან | 1815 წ. იანვარი | 1915 წ. თებერვალი |
| „ | 80-დან 105-დე | სტრიქონი | 1 | ზემოდან | 1815 წ. | 1915 წ. |
| „ | 104 და 105 | გვერდებზე უნდა გადმოტანილი იყოს წინა გვერდიდან ჯამები ძველ წინა წლის ნაშთებით. | | | | |

| | | | | | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|---|---|---|---|---|
| გვერდი | 105 | სტრიქონი | 1 | ზემოდან | იანვარი | დეკემბერი |
| „ | 106 | „ | 1 | „ | 1815 წ. დეკემბერი | 1916 წ. იანვარი |
| „ | 108 | „ | 1 | „ | 1815 წ. დეკემბერი | 1916 წ. იანვარი |
| „ | „ | „ | 3 | „ | ნაღდი ფული გადმოვიდა 813 ი. 21 კ. უნდა იყოს ნაღდი ფული გადმოვიდა 1113 მ. 91 კ. | |
| „ | 112 | სტრიქონი | 9 | „ | გამგეობის | გამგეობას |
| „ | 118 | „ | 8 | „ | 26 ფ. 2500 მ. | 26 ფ. 2600 მ. |
| „ | 119 | „ | 21 | ქვემოდან | ჩამოწერთ სრულიად | ჩამოვწერთ სრულად |
| „ | 122 | „ | 13 | ზემოდან | 1004—226 მ. | 1004=226 მ. |
| „ | „ | „ | 1 | ქვემოდან | ფასით | ფასი |
| „ | 125 | „ | 17 | „ | ჩამოწ. | ჩამოიწერა |
| „ | 128 | „ | 9 | ზემოდან | ისე, | ის, |
| „ | „ | „ | 16 | ქვემოდან | 2. „ | 2. მიეცა |
| „ | „ | „ | 6 | „ | 9. „ | 9. შემოვიდა |

ფასი 7 მან.

33
ა 375

# კოოპერაციის პრინციპები:

კოოპერაცია არ იცნობს პოლიტიკურ პარტიებს: პარტიული მიმართულება ყველა მონაწ ლის კერძო საქმეა.

ის იცნობს მხოლოდ ორ პარტიას:—პარტიას სხვისი შრომით მცხოვრებ ადამიანებისას და მეორეს მხრივ—იმ ადამიანების პარტიას, რომელნიც საკუთარი შრომით არსებობენ.

კოოპერაცია არ არჩევს სარწმუნოებას და მოუწოდებს ყველას, იმის და განურჩევლად, თუ ვის რომელი ღმერთი სწამს.

მან იცის მხოლოდ ორი სარწმუნოება: სარწმუნოება სიყვარულისა და საერთო კეთილდღეობისა და სარწმუნოება ეგოიზმისა და პირადი გაუმაძღრობისა.

კოოპერაცია არ იცნობს სხვა და სხვა ენებს,—არც ერთს მათგანს არ აძლევს უპირატესობას.

ის იცნობს მხოლოდ ორ ენას: სიმართლისა და სიცრუისას.

კოოპერაცია არ არჩევს ეროვნებებს. მან იცის მხოლოდ ორი ერი: დამჩაგვრელების და დაჩაგრულებისა.

კოოპერაცია არ იცნობს სახელმწიფოთა საზღვრებს. საზღვრის ბოძები ხელს ვერ შეუშლის ამხანაგურ შეთანხმებას და ძმურ სიყვარულს.

კოოპერაცია იცნობს მხოლოდ ორ სამეფოს: თანამედროვე სამეფოს უვიცობისა, უთანასწორობისა და ძალადობისას, და მომავლის სამეფოს—თანასწორობისა, სინათლისა და თავისუფლებისას.